დანართი №3

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი

წევრები:
ნინო კახიძე
თამარ ძველაია
გიული გურგენიძე
ქეთევან ღვანიძე
თამილა გრძელიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: ---- **247865289** ---

სახე:

- [X] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

- [ ] დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)
- [X] დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 მაისის MES 3 25 0000601798 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 11-13 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში (აჭარის ა. რ. შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები „ხიჭაური“). ვიზიტის მიზანს შეადგენდა დაწესებულების პირობების და საგანმანათლებლო პროგრამების („საექთნო განათლება", "ბუღალტრული აღრიცხვა", "სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი") საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. ასევე სატელეფონო საუბრები გაიმართა საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტების წარმომადგენლებთან. დათვალიერებულ იქნა დაწესებულების მატერიალური რესურსი.

„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, მიმდინარე ეტაპისთვის ახორციელებს მე-5 დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ვიზიტის დროს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსი, ასევე მათი საკმარისობა, შემოწმდა ორივე განათლების დონესთან მიმართებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის შეფასებით, დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის, გამოყოფილი რესურსი (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური) არ წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს განათლების მოცემული დონეებისთვის. პერსონალის დატვირთვა, რომლებიც ასევე ასწავლიან საბაკალავრო პროგრამებზეც, არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას. ამასთან პროფესიული განათლების პროგრამებისთვის გამოყოფილია ინდივიდუალური სასწავლო კაბინეტები შესაბამისი აღჭურვით, რომლებიც არ ზიარდება განათლების სხვა დონეების პროგრამებისთვის, ხოლო დაწესებულების ბიბლიოთეკა, სამუშაო ადგილებითა და წიგნადი ფონდით, უზრუნველყოფს სრულყოფილს საბიბლიოთეკო მომსახურებას დაწესებულების განათლების ყველა დონისთვის.

„ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა 2019 წელს (პსდ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება #29, 23.08.2019). დაწესებულების მიერ ავტორიზაციისთვის თვითშეფასების დოკუმენტით ავტორიზაციის მოქმედების ვადა განსაზღვრულია - 26.08.2025 წლამდე.

დაწესებულების მიერ, თვითშეფასების დოკუმენტით, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებულია „სრული შესაბამისობით“, გარდა 5.1.1.4 და 5.1.2.1 ინდიკატორებისა. აღნიშნული ინდიკატორები დაწესებულების მიერ შეფასებულია „ნაწილობრივი შესაბამისობით. რის საფუძველზეც, თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილი იყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ, ბრძ. #02-05-04/02). ინდიკატორების შესაბამისობაში მოყვანის პერიოდი განსაზღვრულია 18 თვიანი პერიოდით - 2025 მაისი-2026 ნოემბერი). ვიზიტის დროს, აღნიშნულ ბრძანებაში/დოკუმენტში დაწესებულების მიერ განხორციელდა ცვლილება, შესაბამისობის გეგმას დაემატა 4.1.2 კომპონენტი, რაც განაპირობა შეფასებისას გამოვლენილმა გარემოებამ - პერსონალის ყველა პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები. ინდიკატორის შესრულების პერიოდი დაწესებულების მიერ განისაზღვრა 1 თვით (2025 წლის 16 ივნისი-2025 წლის 16 ივლისი), რაც გაითვალისწინეს ექსპერტებმა და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“.

შეფასების შედეგად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობა შეფასდა სრული შესაბამისობით, ხოლო 5.1.1 კომპონენტი (კონკრეტულად 5.1.1.4 და 5.1.2.1 ინდიკატორები) შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისი, 4.1.2 კომპონენტი შეფასდა - მეტწილი შესაბამისობით.

ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. დაწესებულება ასევე გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის კორესპონდენციით (№01-16/11 19/07/2025) ადასტურებს დოკუმენტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და ეთანხმება გამოთქმულ შესაბამისობის და განმავითარებელ რეკომენდაციებს.

III. ინფორმაცია იმ უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
საექთნო განათლება	პროგრამა არა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	აჭარის ა. რ. შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები „ხიჭაური“
ბუღალტრული აღრიცხვა	პროგრამა არა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	-	აჭარის ა. რ. შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები „ხიჭაური“
სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი	პროგრამა არა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	აჭარის ა. რ. შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები „ხიჭაური“

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საქმთნო განათლება	60	5	18	6
ბუღალტრული აღრიცხვა	60	7	8	7
სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი	30	19	2	5

შენიშვნა: *დაწესებულების მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით 2022-2025 წლების პერიოდში კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 77-ს, საიდანაც 51 დასაქმებულია და ამ პერიოდის კურსდამთავრებულთა 66 % -ს შეადგენს. ექსპერტთა მიერ ასევე გამოთხოვილი იქნა, ვიზიტის პერიოდისთვის 2025 წელს საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებული აპლიკანტების სტატისტიკური მონაცემები. დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ვიზიტის პერიოდისთვის 2025 წელს რეგისტრირებული და ერთიანი ტესტირების შედეგებით პოტენციური სტუდენტების სტატისტიკა ასეთია:*

- *„საქმთნო განათლება“ 1 - ტესტირებაზე არ გასულა.*
- *„ბუღალტრული აღრიცხვა“ - 5 აპლიკანტი, ტესტირება გაირა 4 პირმა;*
- *„სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ - 7 აპლიკანტი, ტესტირება გაიარა 7 პირმა.*

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საექთნო განათლება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ბუღალტრული აღრიცხვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 4.1.2.1 პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად

შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის პირადი საქმეების და შრომითი ხელშეკრულებების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, დაწესებულების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (შესრულების ვადა: 16.07.2025).

ინდიკატორი 5.1.1.4 შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

შესაბამისობის რეკომენდაცია - შენობა-ნაგებობა ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფა დაწესებულებამ განახორციელოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ. ბრძ. #02-05-04/02), განსაზღვრულ ვადებში. გეგმით განსაზღვრული შესრულების ვადა: 2026 წლის ნოემბერი.

ინდიკატორი 5.1.2.1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები

შესაბამისობის რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა და მისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით (შესაბამისობის გეგმით განსზღვრული პერიოდი: 2025 წლის მაისი-2026 წლის ნოემბერი).

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.1.1.3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

განმავითარებელი რეკომენდაცია - დაწესებულების მიერ, მისია ხედვა, განსაზღვრულია საქმიანობის მიმართულების/განათლების დონეების მიხედვით, მათ შორის, ღირებულებებიც. გამომდინარე იქედან, რომ ღირებულებები, ზოგადად ხელს უწყობს დაწესებულების ერთიან, შიდა საზოგადოებისა და კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებას, რომელმაც უნდა განაპირობოს დაწესებულებისა და მისი საქმიანობის წარმატება, სასურველია, ღირებულებები, ასევე მისიაც, ფორმულირებული იყოს დაწესებულებისთვის ერთი საერთო, საქმიანობის ყველა მიმართულებისთვის.

ინდიკატორი 1.2.1.1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედაია

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია -</u> სასურველია დაგეგმვის პროცესის მოქნილობის, მისი მართვისა და მონიტორინგის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს ერთი დოკუმენტი, რომელშიც გაერთიანდება, სამოქმედო გეგმების (სტრატეგიული, სამოქმედო) დაგეგმარების, მონიტორინგის, შესრულების ეფექტურობის და პროცესის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მართვის მექანიზმები.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u> - დაწესებულების სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მათი არა მხოლოდ ფაქტობრივად შესრულების დადასტურება, არამედ მიზნის/ამოცანის მიღწევის დონის ან/და შესრულების ეფექტურობის შეფასებაც.

ინდიკატორი 1.2.2.2 პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u> - სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, შესრულებული საქმიანობის/სამოქმედო გეგმების ანგარიშის/ანალიზის და საქმიანობის გაუმჯობესების რეკომენდაციების დოკუმენტირება.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u> - სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები/პროგრამა ან გაწეროს აღნიშნული ფუნქცია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებაში.

ინდიკატორი 4.1.1.1 პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
მმართველი ორგანოების, ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციებისთვის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება სხვადასხვა დოკუმენტებით, მ.შ. ხშირ შემთხვევაში ერთი და იმავე პოზიციისთვის. სასურველია რეგულირდებოდეს ერთი დოკუმენტით, ან/და განხორციელებული ცვლილებები ასახოს ყველა დოკუმენტში, რათა თავიდან აირიდოს განსხვავებული დასახელებების გამოყენებით გამოწვეული ბუნდოვანება.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაწესებულებაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u> - სასურველია დასაქმების/პოზიციის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად იყოს მითითებული სამუშაო აღწერილობაში. ამასთან სამუშაო აღწერილობა წარმოდგენილი იყოს არა ცალკე დოკუმენტი, არამედ როგორც შრომითი ხელშეკრულების დანართი.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u> - სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებს და უფრო მკაფიოდ გაავლოს ზღვარი, რომელიც ხარისხის მართვის მენეჯერს შეუზღუდავს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის ან/და აპელაციის პროცესებში მონაწილეობას.

ინდიკატორი 4.1.2.1 პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და რეგულაციაში ცალკე პუნქტად გამოყოს იმ ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა, რომლებიც ადმინისტრაციულთან ერთად ახორციელებენ პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობასაც. აღნიშნული პერსონალისთვის დააწესოს საათობრივი შეზღუდვა .

ინდიკატორი **4.2.1.2** პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
სასურველია დაიხვეწოს პერსონალის განვითრების გეგმა და მიეთითოს კონკრეტული აქტივობებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი, განხორციელების ვადები, განხორციელებასა და აქტივობის/გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 5.1.1.1 - დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u> - მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი არ ავალდებულებს მხარეებს უძრავი ნივთის დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებული გარიგების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, სასურველია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, მესამე პირთა მიმართ რეესტრის უტყუარობის პრეზუმციის გავრცელების მიზნით.

ინდიკატორი 5.1.1.2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u> - ინკლუზიური გარემოს მოწყობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, ასევე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, პანდუსის კონსტრუქცია ჩანაცვლდეს/მოეწყოს ცეცხლგამძლე მასალით.

ინდიკატორი 5.1.1.5 დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u>
სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო-სამუშაო გარემოში არსებული რისკების იდენტიფიცირებისა, მართვისა და პრევენციული ღონისძიებების დოკუმეტირება/გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი 5.2.1.3 <u>დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას</u>
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ თანხმობის დადასტურება, ყველა იმ პირთან, რომელთა მონაცემების დამუშავების ალბათობაც არსებობს. ამასთან უზრუნველყოს თანხმობის ფურცელში ყველა იმ მონაცემის განსაზღვრა, რომლის დამუშავებასაც ახდენს ასევე, პირად საქმეებში განთავსდეს დოკუმენტების ისეთი ასლები, სადაც არ იქნება სხვა პირთა პერსონალური მონაცემები მითითებული.

ინდიკატორი 5.2.2.1 პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ბრძანებების ინდივიდუალურად გამოცემა ან გამოცემული დოკუმენტების ასლებში დაიშიფროს ინფორმაცია, ან მომზადდეს ამონაწერი. ასევე დაინერგოს ბრძანებების პროექტების კონტროლი და ბრძანების სამართლებრივი საფუძვლები მოარგოს ინდივიდუალურ შემთხვევას, შეცვალოს შაბლონური ტექსტი სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკიდან გამომდინარე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დოკუმენტის საკონსტატაციო და განკარგულებითი ნაწილების თანხვედრა. ასევე კონტროლი განხორციელდეს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სხვადასხვა პროცესების ანგარიშების/დასკვნების დოკუმენტებზე განთავსდეს დოკუმენტის ავტორის შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტის მომზადების თარიღი. ასევე გაკონტროლდეს უწყისების რეგისტრაციის პროცესი.

ინდიკატორი 5.2.2.2 პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

სასურველია, დაწესებულებამ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა გამოიყენოს არა მხოლოდ შემოსული და გასული კორესპონდენციებისთვის, არამედ სხვა ოფიციალური დოკუმენტების მომზადებისთვისაც (მაგალითად ბრძანებების, განცხადებები, ცნობების და სხვა), რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის სანდოობასა და სამართლებრივი დოკუმენტების ფორმის დაცულობას.

ინდიკატორი 5.2.2.3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

დაწესებულების პასუხისმგებელი პირის მიერ, განხორციელდეს პერიოდული რევიზია, ბაზაში ასახული ინფორმაციის სისრულისა და აქტუალობის თვალსაზრისით. სრულყოფილად იქნეს მითითებული პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავლილი ტრენინგების შესახებ ინფორმაცია. კურსდამთავრებულებთან, დიპლომის ელექტრონულ ასლებთან ერთად ატვირთ ული იქნეს დოკუმენტის დანართიც.

ინდიკატორი 5.2.3.4 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასურველია, დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი გაამდიდროს სტუდენტური ცხოვრების ამსახველი ფოტო მასალით, ასევე განთავსდეს დაწესებულების მისია, ხედვა, ძირითადი მიზნები და სერვისების შესახებ ინფორმაცია, რათა გახდეს უფრო მრავალფეროვანი და დაინტერესებულ მხარეთათვის საინტერსო და მარტივად აღქმადი.

ბ. II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად გაცემული რეკომენდაციები.

რეკომენდაციები ვრცელდება ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე:

ინდიკატორი 2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

ურთიერთდასწრების ეფექტურად ორგანიზებისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ყველა მოდულის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, ურთიერთდასწრების გეგმა-გრაფიკი წინასწარ იქნეს შემუშავებული და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ დამტკიცებული. ასევე, სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დასწრების შედეგების/შეფასებისა და უკუკავშირის დოკუმენტირება.

ინდიკატორი 2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

- ქართული ენის მოდულების განხორციელების სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნეს მოდულის სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების/დადასტურების ვადები;
- სასწავლო პროცესის/საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის დაგეგმვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილი იქნეს კალენდარული გეგმებში მეცადინეობათა უფრო დეტალური და ეფექტური დაგეგმვა.

ინდიკატორი **2.4.2.1** პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

- შემუშავდეს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი, სადაც განისაზღვრება პროცესის ეფექტურად და ორგანიზებულად წარმართისთვის მნიშვნელოვანი საკითხები
- დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულის ფარგლებში არსებული სწავლის შედეგების ინტეგრირებულად დადასტურება ერთი ტესტის/კომპლექსური პრაქტიკული დავლებების გამოყენებით.
- თეორიული კომპონენტის შეფასებისას, ინსტრუმენტის ავტორებმა უზრუნველყონ მრავალფეროვანი ტესტური დავალებების შემუშავება, ხოლო ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესში ჩართულმა პირებმა, აქცენტები გააკეთონ აღნიშნული მიმართულებითაც და არ შემოიფარგლონ, მხოლოდ შეფასების ინსტრუმენტის მოდულის/სწავლის შედეგთან შინაარსობრივი ან დადგენილი სტრუქტურის ტექნიკურად შესაბამისობის შეფასებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გადახედილი იქნეს შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებთან/ტერმინებთან;
- პროგრამის/ მოდულის ფარგლებში შემუშავდეს ისეთი შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც უზრუნველყოფს გამოირიცხოს დადასტურებული სწავლის შედეგის/კრიტერიუმის კვლავ დადასტურება.

ინდიკატორი 2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
სასურველია დაწესებულებამ გადახედოს არსებულ ვერიფიკაციის წესს. დახვეწოს/შეიმუშაოს პროცესის სრულყოფილად დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტების წარმოების/მართვის ინსტრუქციები.

ინდიკატორი **2.4.2.3.** პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
სასურველია გადაიხედოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და უზრუნველყოფილი იქნეს საკითხის ურთიერთგამომრიცხავი დებულებების რედაქტირება.

რეკომენდაცია ვრცელდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „საქართნო განათლება“
ინდიკატორი **2.4.1.5** პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
დაწესებულებამ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესის შემუშავება.

რეკომენდაცია ვრცელდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე „საქართნო განათლება“
2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნეს კვალიფიკაციის მინიჭების, ხოლო 2024 წლის მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილ სასწავლო გეგმებში, შუალედური შეფასების პერიოდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად ზოგადი შინაარსის განმავითარებელი რეკომენდაციები:

ქართული ენის მოდულების განხორციელება - საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, წარმოდგენილი სასწავლო გეგმების მიხედვით, ქართული ენის მოდულების (A2, B1 კრედიტების საერთო რაოდენობა: 30) სწავლების ხანგრძლივობა სხვადასხვაა („საექთნო განათლება“ - 26 კვირა; „ბუღალტრული აღრიცხვა“ - 20 კვირა, „სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელი“ - 40), სასურველია, დაწესებულების მხრიდან გადაიხედოს ქართული ენის მოდულების სასწავლო გეგმები და უზრუნველყოს განხორციელების ერთგვაროვანი მიდგომა.

დოკუმენტების აქტუალიზაცია და ტერმინოლოგია - დაწესებულების შიდა დოკუმენტებში ფიქსირდება პროფესიული განათლებისთვის არამართებული ტერმინები, მაგ. „სასწავლო კურსები“, „ECTS“, „აკადემიური პერსონალი“, ასევე „მოდულური პროგრამა“ და სხვა. სასურველია, დაწესებულებამ დანერგოს პრაქტიკა, სისტემატიურად გადახედოს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს და ასახოს მასში უახლესი საკანონმდებლო ან/და შიდა სტრუქტურული/პროცესუალური ხასიათის ცვლილებები. დოკუმენტებში უზრუნველყოს პროფესიული განათლების სისტემის/საკანონმდებლო აქტების შესაბამისი ტერმინები.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს -

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა და ახორციელებს როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ორი მისია, საერთო „უნივერსიტეტის მისია“ და „პროფესიული განათლების მისია“. დაწესებულების ორივე განაცხადი თავსებადია, საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ მე-2 მუხლით განსაზღვრულ პროფესიული განათლების მიზნებთან.

უნივერსიტეტის მისიაა - „ქართველი ერის კეთილდღეობის, მართლმადიდებლური ქრისტიანული სულიერების ამაღლების, ეროვნული ღირებულებებისა და თვითშეგნების დაცვისა და განმტკიცების, ეკონომიკური ძლიერებისათვის უნივერსიტეტი:

- ქმნის თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობისთვის შესაბამის გარემოს, სადაც შესაძლებელია შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, <u>ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და ასაკის შეუზღუდავად, პროფესიის დაუფლება, შეცვლა და კვალიფიკაციის ამაღლება.</u>
- სთავაზობს მაღალი ხარისხის <u>პროფესიულ</u> და აკადემიურ <u>საგანმანათლებლო პროგრამებს.</u>
- <u>უზრუნველყოფს პროფესიული და</u> აკადემიური მიმართულებით <u>კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას და განათლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე.</u>
- ხელს უწყობს მაღალი ეროვნულ-მოქალაქეობრივი შეგნების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებას“

ცალკე განსაზღვრულია ასევე პროფესიული განათლების მისია, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: „ქართველი ერის კეთილდღეობისა და <u>ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის</u> უნივერსიტეტი ქმნის პროფესიული განათლების მისაღებ შესაბამის გარემოს და უზრუნველყოფს <u>კვალიფიციური პროფესიული სპეციალისტის მომზადებას,</u> ხელს უწყობს მაღალი ეროვნულ-მოქალაქეობრივი შეგნების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებას“.

ინდიკატორის 1.1.1 (1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან - გაცხადებული მისიების თანახმად დაწესებულება, არ იფარგლება კონკრეტული მიმართულებების სწავლებით (პროფილით). საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლებსაც ახორციელებს უნივერსიტეტი, მისი საქმიანობა მრავალ პროფილურია, ამასთან მისიაში ხაზგასმითაა აღნიშნული მისი როლი საზოგადოებისთვის, „ქართველი ერის კეთილდღეობის, **მართლმადიდებლური ქრისტიანული სულიერების ამაღლება, ეროვნული ღირებულებებისა და თვითშეგნების დაცვა და განმტკიცება.** დაწესებულების თვითმყოფადობას განსაზღვრავს ასევე ხედვაც, სადაც ხაზგასმითაა მისი მიზანი და როლი რეგიონის განვითარებისთვის - **„ეროვნული თვითშეგნების, მართლმადიდებელი ქრისტიანობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საწყისებზე, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონის და ქვეყნის განვითარებაში“** - რითაც ის გამოირჩევა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის 1.1.1 (2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
დაწესებულებას, საქმიანობის მიმართულებებისთვის/განათლების დონეებისთვის, ინდივიდუალურად აქვს იდენტიფიცირებულია მისია (იხ. 1.1.1 (1) ინდიკატორის აღწერა), შესაბამისად, ცალ-ცალკეა მიმართულებებისთვის განსაზღვრული სტრატეგიული ხედვაც. უმაღლესი და პროფესიული განათლებისთვის განსაზღვრული ხედვა გამომდინარეობს მისიიდან, ასევე შესაბამისობაშია წესდებით განსაზღვრულ დაწესებულების მიზნებთან (ა(ა)იპ ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის წესდება, მუხლი 4).

უმაღლესი განათლების მიმართულებით დაწესებულების ხედვაა, დაიკავოს „წამყვანი უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია. ეროვნული თვითშეგნების, მართლმადიდებელი ქრისტიანობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საწყისებზე, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონის და ქვეყნის განვითარებაში. ამასთან ***იყოს ორიენტირებული როგორც პროფესიული, ისე აკადემიური სტუდენტებისა და პერსონალის წარმატებაზე“,*** ხოლო პროფესიული განათლების ნაწილში დაწესებულების სტრატეგიულ ხედვას წარმოადგენს - ***„პროფესიული სტუდენტის განათლების ხარისხი პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს და ამ გზით გახდეს სანდო და აღიარებული დაწესებულება“.***
დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ღირებულებები, რომელთა გათვალისწინებით წარმართავს საქმიანობას. ღირებულებებიც, ისევე როგორც მისია და ხედვა, განსაზღვრულია განათლების დონეების შესაბამისად და ხაზს უსვამს დაწესებულების თვითმყოფადობას. პროფესიული განათლების ნაწილში განსაზღვრული ღირებულებებია: „მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და გუნდური სამუშაო გარემოს ორგანიზება“ და „ეროვნულ-მოქალაქეობრივი თვითშეგნების ხელშეწყობა“, ხოლო უმაღლესი განათლების ნაწილში: „მართლმადიდებლური ქრისტიანობა“, „ობიექტურობა და სამართლიანობა“, „წიგნიერება“, „ეროვნული ღირებულებების და თვითშეგნების დაცვა და განმტკიცება“, „გუნდური მუშაობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული ღირებულებები თანხვედრაშია მისიასა და ხედვასთან. გამომდინარე იქედან, რომ ღირებულებები, ზოგადად ხელს უწყობს დაწესებულების ერთიან, შიდა საზოგადოებისა და კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებას, რომელმაც უნდა განაპირობოს დაწესებულებისა და მისი საქმიანობის წარმატება, სასურველია, ღირებულებები ფორმულირებული იყოს დაწესებულებისთვის ერთი.

ინდიკატორი 1.1.1 (3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
დაწესებულების მიერ, მისია ხედვა, განსაზღვრულია საქმიანობის მიმართულების/განათლების დონეების მიხედვით, მათ შორის, ღირებულებებიც. გამომდინარე იქედან, რომ ღირებულებები, ზოგადად ხელს უწყობს დაწესებულების ერთიან, შიდა საზოგადოებისა და კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებას, რომელმაც უნდა განაპირობოს დაწესებულებისა და მისი საქმიანობის წარმატება, სასურველია, ღირებულებები, ასევე მისიაც, ფორმულირებული იყოს დაწესებულებისთვის ერთი საერთო, საქმიანობის ყველა მიმართულებისთვის.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი - დოკუმენტები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების (ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, სტუდენტები და ა.შ.) ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისად, მათთვის აღნიშნული დოკუმენტები გაზიარებული და ხელმისაწვდომია. ამასთან, მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. დოკუმენტები განთავსებულია ასევე დაწესებულების შიდა სივრცეში. პერსონალის განმარტებით, დოკუმენტების გაცნობა-გაზიარება ხდება პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან (პარტნიორები, სხვადასხვა ორგანიზაციები, კურსდამთავრებულები და ა.შ.) შეხვედრების დროს. დოკუმენტების წარდგენა-გაცნობა ხდება ასევე სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციასა და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1 (4) შესაბამისია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული სწავლების მისია (ბრძანება № 01-03/26, 08.12.2022);
2. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მისია და ხედვა;
3. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წესდება;
4. დაწესებულების ვებ გვერდი https://tbeli.ge/ge/universiteti/universitetis-misia-da-khedva; https://tbeli.ge/ge/profesiuli/misia
5. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას** - ამ მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 3 დოკუმენტი:

— ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (12.08.2021 წ. ბრძანება № 01-03/19).

— ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი (28.12.2018 წ. ბრძანება № 01-03/25)

— (ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმი და შეფასების სისტემა (25.01.2019 წ. ბრძანება №01-03/07).

დოკუმენტებით განსაზღვრულია: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილების შეტანისა და გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცედურები, მათ შორის, დაგეგმვისა და მონიტორინგის ჯგუფების ფორმირებებისა და ინიცირების შესახებ საკითხები. დაწესებულების მეთოდოლოგიის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შემოიფარგლება 3 თვიანი პერიოდით. ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროში ხდება „სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის გეგმის“ შედგენა, რომლის ამოცანებიც შეიძლება იყოს: დაინტერესებულ პირთა მოლოდინების განსაზღვრა; ორგანიზაციული შესაძლებლობების და გარემოს ანალიზი; სამომავლო ხედვისა და მისიის ფორმირება; სტრატეგიული მიზნების და მათი მიღწევის მექანიზმების, რესურსების განსაზღვრა; გეგმის განხილვა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა.

მეთოდოლოგიის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვის ან/და მოქმედი გეგმის გადახედვის ინიცირება ხდება რექტორის მიერ შემდეგი გარემოებების დადგომისას: ა) მოქმედი სტრატეგიის გეგმის ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 3 თვით ადრე და ბ) მონიტორინგის პროცესში იმგვარი გარე თუ შიდა ფაქტორების წარმოჩენის შემთხვევაში, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების განვითარებაზე და საჭიროებს რეაგირებას.

მართვის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმისა და შეფასების სისტემის პროცედურის თანახმად მონიტორინგის ამოცანებია: დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის განვითარება; საქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზი; შიდა და გარე ცვლილებებიდან გამომდინარე, სტრატეგიული მიზნების დაზუსტება და შესრულების უზრუნველყოფა; ჩატარებული მუშაობის მოსალოდნელი და ფაქტობრივი შედეგების სისტემური შედარება; კორექტირების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვა-გატარება.

აღნიშნული დოკუმენტით დაწესებულება ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. დაწესებულების გეგმები შემუშავებულია განსაზღვრული მეთოდოლოგიის თანახმად, რაც დასტურდება წარმოდგენილი სამოქმედო გეგმებით: სტრატეგიული გეგმა (დაგეგმვის პერიოდი 2021-2027, დამტკიცების რეკვიზიტები: 19.03.2021 წ. ბრძანება #01-03/08) და 2025 წლის სამოქმედო გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: 19.03.2021 წ. ბრძანება #01-03/08) და შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1 (1) შესაბამისია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>სასურველია დაგეგმვის პროცესის მოქნილობის, მისი მართვისა და მონიტორინგის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს ერთი დოკუმენტი, რომელშიც გაერთიანდება, სამოქმედო გეგმების (სტრატეგიული, სამოქმედო) დაგეგმარების, მონიტორინგის, შესრულების ეფექტურობის და პროცესის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მართვის მექანიზმები.</u>

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს** - დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, რექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ერთეულია. დაგეგმვის ჯგუფს, ხელმძღვანელობს რექტორი ან მისი წარმომადგენელი. ჯგუფი პასუხისმგებელია დაგეგმვის პროცესში ფართო საზოგადოების ჩართვაზე. მეთოდოლოგიის თანახმად, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: ფაკულტეტებიდან ერთი წარმომადგენელი და მის საბჭოებში ჩართული სტუდენტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, ასევე, შესაძლოა ჩართული იყოს გარე შეფასების მხარეები (დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა).

სტრატეგიული გეგმის შემუშავება მოიცავს ასევე დაინტერესებულ პირთა მოლოდინების განსაზღვრას, რაც გულისხმობს: სამიზნე ჯგუფების, ფოკუს ჯგუფების, როგორც დაინტერესებულ პირთა გამოკითხვას (წერილობითი ან/და ზეპირი გასაუბრების ფორმით). გამოვლენილი საკითხები აისახება დოკუმენტის პროექტში, რომლის განხილვაც ხდება საჯაროდ.

სტრატეგიული გეგმა (დაგეგმვის პერიოდი 2021-2027, დამტკიცების რეკვიზიტები: 19.03.2021 წ. ბრძანება #01-03/08) ერთი მხრივ ეფუძნება დაწესებულების ფაქტობრივ მონაცემებს, მტკიცებულებებს და კვლევების შედეგებს, მეორე მხრივ, საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობით განხორციელებული თვითშეფასების შედეგებს. გეგმის მიზნები მოიცავს მისიას და გრძელვადიან ხედვას, დასახულია მიზნების მიღწევის გზები/ამოცანები, აგრეთვე მათი დადასტურების ინდიკატორები.

გრძელვადიანი გეგმის საფუძველზე მუშავდება სამოქმედო ერთწლიანი გეგმა, აკადემიური საბჭო განიხილავს გეგმების პროექტებს და ამტკიცებს სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის შესაბამის ბიუჯეტს.

ფართო საზოგადოებისთვის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული გეგმა ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1 (2) შესაბამისია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს** - „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა“-ში განსაზღვრულია 5 სტრატეგიული მიზანი, რომელიც მოიცავს: დაწესებულების მისიის და სტრატეგიის, საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებების, ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარებას. განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და რისკები. ყველა სტრატეგიული მიზნის პრიორიტეტულობა განსაზღვრულია 7 წლიან ვადაზე. განსაზღვრული მიზნები მისიასთან თავსებადია, ხოლო ამოცანები უზრუნველყოფენ დასახული მიზნების მიღწევას.

განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები - დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ამოცანის შესრულებას, მაგრამ არა მათი შესრულების დონის მაჩვენებელს. სასურველია, დოკუმენტში შესრულების ინდიკატორები ჩამოყალიბდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მიზნის მიღწევის დონის შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეფუძნება, ერთი მხრივ, დაწესებულების ფაქტობრივ მონაცემებს, მტკიცებულებებს და კვლევების შედეგებს და, მეორე მხრივ, საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობით განხორციელებული თვითშეფასების შედეგებს. გეგმის მიზნები მოიცავს მისიას და გრძელვადიან ხედვას, დასახულია მიზნების მიღწევის გზები/ამოცანები, აგრეთვე მათი დადასტურების ინდიკატორები. გეგმის შესრულებისთვის საჭირო ბიუჯეტს დოკუმენტთან ერთად განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1 (3) შესაბამისია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
დაწესებულების სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მათი არა მხოლოდ ფაქტობრივად შესრულების დადასტურება, არამედ მიზნის/ამოცანის მიღწევის დონის ან/და შესრულების ეფექტურობის შეფასებაც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (12.08.2021 წ. ბრძანება № 01-03/19).
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი (28.12.2018 წ. ბრძანება № 01-03/25)
3. ა(ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის კრების ოქმი (25.12.2024 წ)
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა (19.03.2021 წ. № 01-03/08 ბრძანება)
5. დაწესებულების ვებ გვერდი https://www.tbeli.ge/
6. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმის შესრულებაზე დაკვირვება ხორციელდება „ტბელის უნივერსიტეტის“ „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესის“ შესაბამისად (№01-03/25 ბრძანება, 28.12.2018). დოკუმენტით განსაზღვრულია მონიტორინგის პროცესის ეტაპები: მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და შედეგებზე რეაგირება. მონიტორინგის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება ჯგუფი, რომელშიც შესაძლებელია შედიოდნენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლი, სტუდენტები, გარე მოწვეული პირები. მონიტორინგის ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი.

მონიტორინგის ჯგუფი წელიწადში ორჯერ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ, სადაც აისახება ცალკეული საკითხების ანალიზი და რეკომენდაციები. გეგმებში ცვლილებები ხორციელდება მონიტორინგის ჯგუფის არგუმენტებისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის კრების ოქმი (25.12.2024), სადაც განხილულია იყო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების პროექტები. სხდომაზე ასევე განხილულია გეგმის შესრულებისა და შემსრულებელ პირთა მხრიდან ჩართულობასა და მის მნიშვნელობაზე. ვიზიტის დროს განხილული იყო სამოქმედო გეგმების ანგარიშები. 2023 და 2024 წლების შესრულებისა და მონიტორინგის ანგარიშები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზეც.

ინდიკატორის 1.2.2.1 მოთხოვნების დაკმაყოფილებულია - დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე - დაწესებულების მეთოდოლოგიის თანახმად, სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებს, მონიტორინგის ანგარიშს, ასევე, განხორციელებული საქმიანობის შეფასების შედეგებს ისმენს და შესაბამის რეაგირებას ახდენს აკადემიური საბჭო. შეფასების შედეგებზე რეაგირების პერიოდულობა განისაზღვრება სამოქმედო გეგმის კონკრეტული ამოცანის განხორციელების ვადების შესაბამისად. მონიტორინგის ჯგუფი წელიწადში ერთხელ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ, ძირითადი ინდიკატორების მიხედვით. მეთოდოლოგიის თანახმად: „მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშში უნდა აისახოს ცალკეული საკითხის ანალიზი და რეკომენდაციები“, რაზეც აკადემიური საბჭო საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას. წარმოდგენილი ანგარიშები არ მოიცავს რეკომენდაციებს. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს მეთოდოლოგიის შესაბამისად შესრულებული საქმიანობის ანგარიშის დოკუმენტირება, რომელშიც ასახული იქნება ასევე შესრულებული სამოქმედო გეგმის/საქმიანობის ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე მისი გაუმჯობესების რეკომენდაციები.

დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება სამოქმედო გეგმების განხილვისა და მათზე რეაგირების/გაუმჯობესების წინადადებების წარდგენა საბჭოს/დაწესებულების ადმინისტრაციის წინაშე, რაც შესაბამისად შემდგომ ისახება სამოქმედო გეგმებშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, შესრულებული საქმიანობის/სამოქმედო გეგმების ანგარიშის/ანალიზის და საქმიანობის გაუმჯობესების რეკომენდაციების დოკუმენტირება.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია - სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური შედეგები ხელმისაწვდომია ანგარიშის სახით ვებგვერდზე. შესაბამისად, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ვებგვერდზე განთავსებულია 2023 და 2024 წლების ანგარიშები. ამასთან, პსდ მართავს შეხვედრებს დაინტერსებულ მხარეებთან სტრატეგიული მიზნების გაცნობისა და მიღწეული შედეგების გაზიარების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' ავტორიზაციის სამუშაო ჯგუფის კრების ოქმი (25.12.2024)
2. ა(ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' პროფესიული განათლების სამოქმედო გეგმის 2024 წლის ანგარიში.
3. ა(ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' პროფესიული განათლების 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში.
4. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.
5. ა(ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' ვებ გვერდი https://www.tbeli.ge/

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა - დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაცია, "წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (27.01.2025 წ. ბრძანება №02-05-04/01ა), რომელშიც გაწერილი აქვს პროფესიული სტუდენტის უფლებები, კერძოდ, რეგულაცია მოიცავს: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის პროცედურები; კვალიფიკაციის მინიჭებისა და კომისიის მუშაობის წესები; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვისა და სწავლების პროცედურები, ასევე განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმების თავისებურებები და სხვა. დაწესებულების მიერ შემუშავებული წესები შესაბამისობაშია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ დებულებებთან.

ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა დაწესებულების მხრიდან ზემოთ აღნიშნული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა, შესწავლილი იქნა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები ჩარიცხული არიან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვისას გათვალისწინებულია რეიტინგული სიები, შესაბამისი განათლებისა და პროცენტულობის გაანგარიშებით. პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეტანილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის რეესტრში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების" გათვალისწინებითა და ვადების დაცვით.

დაწესებულების შიდა რეგულაციით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა უფლებები: ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის, მობილობის უფლებით, შეფასების გასაჩივრების მექანიზმით, ფორმალური განათლების აღიარებით, განმეორებითი შეფასების მექანიზმით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების უფლებით და ა.შ. (დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მიღებული შეფასების გასაჩივრების, ფორმალური განათლების აღიარებისა და ისგ-ის შემუშავების გარემოება არ დამდგარა). მარეგულირებელი წესისა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო რესურსით, საერთო საცხოვრებლით, მიიღოს ხარისხიანი განათლება. ექსპერტთა შესწავლილი იქნა ყველა აქტიური სტუდენტის საქმე, ასევე შემთხვევითი შერჩევის გზით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა (სტატუსის აღდგენის, მობილობის უფლებით სარგებლობის პრაქტიკა), რაც თავსებადი აღმოჩნდა დაწესებულების მიერ გაწერილ პროცედურებსა და მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან.

სტუდენტთა უფლებების დავისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია ასევე დაწესებულების შინაგანაწესის მე-3 თავით „სწავლის განაწესი“-თ და „ეთიკის კოდექსით“.

დაწესებულების შიდა რეგულაციებისა და პროფესიულ სტუდენტების პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ ინდიკატორის 3.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია - პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს - ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი სამივე პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. გასაუბრებისას აქცენტები გაკეთდა იცნობენ თუ არა პროფესიული სტუდენტები მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, რაზეც როგორც სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ჩარიცხვისთანავე, დაწესებულება აწყობს შეხვედრებს, სადაც მიეწოდათ ინფორმაცია სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის უფლება-ვალდებულებების, დაწესებულებაში არსებული სერვისების, პროგრამის შინაარსის, პროფესიული სტუდენტების მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შესახებ. მათი მხრიდან აღინიშნა ასევე რომ ინდივიდუალური საკითხების განხილვა ხდება უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ან/და პროგრამის ხელმძღვანელთან, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ხოლო ადმინისტრაციულ საკითხებთან მიმართებით აქვთ კონტაქტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. კონსულტაციისა და ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ასევე სოციალური ქსელის საშუალებითაც.

წარმოდგენილი პირადი საქმეებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მობილობით სარგებლობენ (გარე მობილობა - როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტში მობილობა), დაწესებულებას ჰყავს სტატუსშეჩერებული სტუდენტებიც, რაც დამატებით ადასტურებს, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებს.

შესაბამისად ინდიკატორი 3.1.1.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია - პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით** - დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” 27-ე მუხლით გაწერილი აქვს პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა, რომლის თანახმადაც, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში, შედეგის/შედეგების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიულ მასწავლებლებთან. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმა 2022, 2023 და 2024 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ შეფასების სისტემის გასაჩივრების ფაქტს, თუმცა გასაჩივრების საჭიროება არ დამდგარა.

ექსპერტების მიერ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გაკეთდა აქცენტები იცნობენ თუ არა სტუდენტები შეფასების სისტემას და სარგებლობენ თუ არა გასაჩივრების უფლებით. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეფასების შესახებ ინფორმაციას იღებენ პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან, შეუძლიათ მიმართონ პროგრამის ხელმძღვანელსაც. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ შეფასების თარიღებზე ინფორმაციას იღებენ წინასწარ და აქვთ დრო მოსამზადებლად. ასევე აღნიშნეს, რომ იმდენად ამომწურავია უკუკავშირი, რომ არ ჰქონიათ სურვილი შეფასება გაესაჩივრებინათ. უკუკავშირს მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს ინდივიდუალურად, თუმცა ჯგუფში განზოგადებულად ხდება შეფასების შედეგების განხილვა. ასევე გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ, ჯგუფები არაა დიდი, შესაბამისად, თითოეულ სტუდენტს ეთმობა საკმარისი დრო, რაც უზრუნველყოფს მასალის კარგად ათვისებას და შედეგების დადასტურებას.

ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა - ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა პროფესიულ სტუდენტის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს პირადი საქმის ნაწილს. პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი წინააღმდეგობაში არ არის მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან. დოკუმენტის მოიცავს თანხმობას შიდა მარეგულირებელი წესებისა და სტუდენტის უფლებების გაცნობის თაობაზე. შიდა მარეგულირებელი წესით გაწერილია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა, რომელიც შესაბამისია საკანონმდებლო მოთხოვნების და საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება, უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებისთვის დადგენილი სამართლებრივი მოთხოვნების დაცვას.

ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმები, კერძოდ მარეგულირებელი წესის 25-ე მუხლი ითვალისწინებს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შედგენის საჭიროებას, როდესაც დგება შემდეგ შემთხვევებში: სსს და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს სწავლის შედეგებს, ან პროფესიულ სტუდენტი საჭიროებს ინდივიდუალურ გეგმას კრედიტის დაძლევის მიზნით, მობილობით გადმოსული პირისთვის, რომლის სწავლის შედეგები განსხვავდება მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან, პირისთვის, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას და პირისთვის, რომელიც დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას და პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიულ მასწავლებელი. შემუშავების პროცესში ჩართულია პროფესიული სტუდენტი ან/და კანონიერი წარმომადგენელი. ჯგუფი 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების რექტორს. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ არ ჰქონიათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება. ექსპერტთა მიერ კითხვა დაისვა მობილობით მოსარგებლე სტუდენტებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისგ-ს საჭიროება არ დამდგარა, ვინაიდან სტუდენტებმა რომლებმაც ისარგებლეს მობილობით, უშუალოდ ერთვებოდნენ სასწავლო პროცესში, ან სწავლას იწყებდნენ მომდევნო ჯგუფთან.

ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება);
2. ა(ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' შინაგანაწესი (16.11. 2021 წ. №01-03/25 ბრძანება);
3. ა(ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' ეთიკის კოდექსი (21.05.2018 წ. № 01-03/02ა ბრძანება);
4. პროფესიულ სტუდენტის პირადი საქმეები
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად - დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულია სტუდენტის უფლება, მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია (კონსულტაცია) უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების/მოდულების, შეფასების მეთოდოლოგიის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სისტემატურად იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციისგან. პროფესიულმა სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ შესრულებულ დავალებებს პროფესიული განათლების მასწავლებელი განიხილავს მათთან ინდივიდუალურად, შესაბამისად საკუთარი მიღწევების გაუმჯობესებისთვის აქვთ უკუკავშირი. პროფესიული განათლების მასწავლებლები შედეგებს განზოგადებული სახით განიხილავს ჯგუფშიც, რაც პროფესიულ სტუდენტებს აძლევს საშუალებას უკეთ გაიაზრონ შესრულებული დავალების შინაარსი და საკუთარი შეფასება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია მიღწეული შედეგის გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 25), რის უფლებაც აქვს პროფესიულ სტუდენტს, შედეგის გაცნობიდან 2 დღეში, თუმცა, დოკუმენტით არაა განსაზღვრული რა ვადაში ხდება პროფესიული სტუდენტის ინფორმირება მიღწეული შედეგების შესახებ (მუხლი 24.). ყოველივე ზემოაღნიშნულისა და სტუდენტებთან გასაუბრების გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან - პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები - სტუდენტთა მხარდაჭერის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამსახური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტებისთვის იმართება შეხვედრები შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების (შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ეთიკის კოდექსი ა.შ.). დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებით, პრაქტიკამ აჩვენა, რომ სტუდენტებს უჭირთ დამოუკიდებლად მარეგულირებელი დოკუმენტების ბოლომდე გააზრება, ამიტომ, უნივერსიტეტმა, ამ მიზნით, დანერგა შეხვედრების ფორმატი. გარდა ამისა, გასაუბრებაზე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროგრამის ხელმძღვანელებს, ასევე ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩართული მათ სტუდენტურ ცხოვრებაში და კონსულტაციების მიღება სოციალური ქსელებითაც შეუძლიათ შეუზღუდავად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ხელს უწყობს სტუდენტების ადაპტაციას სასწავლო გარემოში, *თუმცა **სასურველია,** დაწესებულებამ შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები/პროგრამა ან გაწეროს აღნიშნული ფუნქცია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებაში.*

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები/პროგრამა ან გაწეროს აღნიშნული ფუნქცია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებაში.

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას - დაწესებულებას მარეგულირებელ წესში გაწერილი აქვს სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერისთვის წარმოების ვადები (განცხადების, აპელაციის განხილვის, შიდა/გარე მობილობის ხელშეწყობა, განათლების აღიარება და ა.შ), წარმოდგენილი ვადები არის გონივრული. დაწესებულების მიერ წარმოებისთვის დადგენილი ვადები, არ მოდის წინააღმდეგობაში საკანონმდებლო აქტებთან. პროფესიული სტუდენტები ინტერვიუს დროს ადასტურებენ, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, მყისიერად ხდება რეაგირება საჭიროებებზე.

დაწესებულების მხრიდან დოკუმენტების/კორესპონდენციაზე პასუხების გაცემის პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულება გონივრულ ვადებში უზრუნველყოფს მოთხოვნილი ცნობის/დოკუმენტის გაცემას. გონივრულ ვადებში მხარდაჭერის შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებები/დოკუმენტები იყო წარმოდგენილი მობილობით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტების პირად საქმეებში.

დამატებით, დაწესებულებაში ყველა სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს უფასო სამჯერადი კვებით და უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლით, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც არ ფინანსდება ბიუჯეტიდან, სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებს სთავაზობს უფასო სწავლებას.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედანია

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას - დაწესებულების სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო აქტივობების განხორციელებისათვის სტუდენტთა მხარდაჭერას, ამ მიზნით სხვადასხვა სოციალური პროექტების მომზადება-განხორციელების ხელშეწყობას. ექსპერტებთან გასაუბრებისას სტუდენტები/კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ სწავლის პერიოდში აქტიურად იყვნენ ჩართულები ექსტრაკურიკულურ აქტივობებში, როგორიცაა სპორტული, შემეცნებითი ღონისძიებები, ექსკურსიები, კონფერენციები და სხვა. აღნიშნული ღონისძიებების დამადასტურებელი ფოტო-მასალა განთავსებულია დაწესებულების შენობასა და სოციალური ქსელში/ვებ გვერდზე.

სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულების მე-2 ,მუხლი განსაზღვრავს სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენის წესს, კერძოდ: სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით, მათ შორის სავალდებულო წესით ერთი წევრი „უნივერსიტეტი“-ის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის განყოფილებიდან. რექტორის ბრძანებით მტკიცდება სტუდენტური პროექტების განაცხადისა და შეფასების ფორმები. უნივერსიტეტის მიზნებისა და ფუნქციების შესაბამისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშემწყობი ინიციატივებისა და პროექტების განსახორციელებლად საჭირო (აუცილებელი) ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვაზე და გამოყენებაზე გადაწყვეტილებას, შესაბამისი რესურსის ფარგლებში, იღებს „უნივერსიტეტი“-ის რექტორი. დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ასევე ინიცირებულია „უნივერსიტეტი“-ის ანსამბლების (ცეკვის, სიმღერის), შემოქმედებითი ჯგუფების და სპორტული გუნდების შექმნა.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას - ამ მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტისა და კურსდამთავრებულთა კარიერული კვლევის კითხვარები, რომელთა საფუძველზე იკვლევს სტუდენტთა კმაყოფილებას/საჭიროებებს სწავლის პერიოდში, ხოლო კურსდამთავრებულთა კითხვარით ადგენს დასაქმებულთა სტატისტიკას. დაწესებულებას კვლევის შედეგები გამოქვეყნებული აქვს ვებ გვერდზე. ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის წესით შეისწავლა ბუღალტერიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები. გამოკითხვა ემსახურებოდა პროგრამის შეფასებას (იძლევა საშუალებას გაირკვეს, რამდენად შეესაბამება სასწავლო პროცესი სტუდენტების მოლოდინებსა და რეალურ საჭიროებებს), ხარისხის გაუმჯობესებას (პასუხების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია სწავლის მეთოდების, მასალის და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება), სტუდენტზე მორგებული სწავლების განხორციელებას (უკეთესად იგეგმება მომდევნო პროგრამები სტუდენტთა ინტერესების და პროფესიული მისწრაფებების გათვალისწინებით) და პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის შეაფასებას (გამოიკვეთება, რამდენად ემთხვევა მიღებული ცოდნა დამსაქმებლების მოთხოვნებს). რაც შეეხება კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, შეფასდა რამდენად ადეკვატურად პასუხობს პროგრამა ბაზრის მოთხოვნებს, სტუდენტების კმაყოფილება სასწავლო პროცესით, რესურსებითა და მასწავლებლების პროფესიონალიზმით, ასევე არსებობს თუ არა საჭიროება თეორიული ან პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულები უნივერსიტეტის განვითარების პროცესში და სისტემატურად მონაწილეობენ გამოკითხვაში, ხოლო დაწესებულება ყოველთვის ითვალისწინებს მათ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულება (01.03.2021 წ. № 01-03/03 ბრძანება);
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური ინიციატივების, პროექტების წარმოდგენისა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების მიღების წესი (08.02.2019 წ. №01-03/21 ბრძანება);
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურად მოწყვლადი და უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტებისა და შედეგების აღწერა https://tbeli.ge/files/5.5.%20soc%20mowyvl%20stud%20mardach.pdf
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება);
5. განხორციელებული სპორტული და შემეცნებითი სტუდენტური ინიციატივების/აქტივობების/პროექტების ამსახველი ფოტოსურათები
6. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგების შესახებ ანგარიში.
7. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.
8. ა(ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' ვებ გვერდი https://www.tbeli.ge/

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის - ვიზიტის დროს პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. დაწესებულებას კარიერული მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით უვადო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსთან (25.09.2020). ურთიერთთანამშრომლობა ითვალისწინებს დაწესებულების სტუდენტებისთვის დასაქმების ხელშეწყობას, ასევე მათი განათლებისა და დასაქმების მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება-მხარდაჭერას. მემორანდუმის თანახმად, სააგენტო უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზაში სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაციასა და პერსონალური „პროფაილის“ შექმნა, დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარება და კონსულტირება დოკუმენტაციის შედგენის მიზნით, ინფორმაციის მიწოდება რეგიონში არსებული ვაკანსიების შესახებ და სხვა აქტივობების განხორციელება როგორც დასაქმების, ისე პროფესიული მომზადება/გადამზადების მიზნით.

   კურსდამთავრებულებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა რომ უნივერისტეტი აქტიურად თანამშრომლობს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან (საავადმყოფოებთან, ბაგა-ბაღებთან და სხვა კომპანიებთან) და პროფესიულ სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანტური პოზიციების და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. გასაუბრების დროს, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ, აღინიშნა, რომ დასაქმდნენ იმავე კომპანიებში, რომლებშიც გადიოდნენ პრაქტიკას. დაწესებულებას ასვე დასაქმებული ჰყავს საკუთარი კურსდამთავრებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციულ პოზიციაზე.

   დაწესებულება ასევე სისტემატურად ახდენს პოტენციურ პროფესიულ სტუდენტებთან (რეგიონის მაცხოვრებლებთან, სკოლის მოსწავლეებთან) პროფესიული ორიენტაციის მიზნით შეხვედრების ორგანიზებას და საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული განათლების შესაძლებლობების გაცნობას.

   ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით - უნივერსიტეტის კარიერული განვითარების ხელშეწყობასა და მომსახურებას ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური, რომელიც მოქნილი და კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით მოიცავს კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის განყოფილებას. დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური პასუხისმგებელია შრომის ბაზრისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან (სახელმწიფო თუ საერთაშორისო) თანამშრომლობასა და ინფორმაციის გაცვლაზე სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ მათ მუდმივი კომუნიკაცია აქვთ რეგიონში არსებულ პოტენციურ დამსაქმებლებთან, საავადმყოფოებთან, სკოლებთან, ბაღებთან. ასევე ისინი თანამშრომლობენ დასაქმების სააგენტოსთან. პროფესიული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება ხშირად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზიარებს მათ არსებულ ვაკანსიებს, ხოლო კურსდამთავრებულები ამბობენ, რომ დაწესებულება ისევ აწვდის მათ ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციას. დასაქმებულები და სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება აწვდის სოციალური ქსელის მეშვეობით, რაც მათთვის ყველაზე მეტად კომფორტულია, ვინაიდან ინფორმაციას უფრო სწრაფად ეცნობიან.
იხ. ასევე 3.2.2.1 ინდიკატორის აღწერა.

3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით - ვიზიტის დროს ექსპერტებმა გამოითხოვა კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, წლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. საერთო მაჩვენებლით, დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 66%-ს. ვიზიტის დროს განხილული იყო ასევე „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები, რომლის თანახმად პროფესიული პროგრამის დასრულებისთანავე მუშაობა დაიწყო 9.75% -მა, 2.17% დასაქმებული იყო სწავლის დასრულებამდე. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ აღნიშნა, რომ აქტიურად მუშაობენ დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესებისთვის, მოლაპარაკებებს აწარმოებენ სხვადასხვა კომპანიებთან, იძიებენ და აზიარებენ ვაკანსიებს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. კარიერული ხელშეწყობის მიზნით სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით ახდენს მათ კონსულტირებას. აღნიშნულ გარემოებებს ადასტურებენ სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც.

ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს - დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კვლევას სხვადასხვა მეთოდის (რაოდენობრივი, თვისებრივი, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოკვლევის მეთოდი) გამოყენებით. პროფესიული განათლების მიმართულებით უნივერსიტეტში მიმდინარე საქმიანობის შეფასება და მისი განვითარება ხორციელდება ობიექტური კვლევებით მიღებული შედეგების ანალიზის - შიდა და გარე საჭიროებების დადგენის საფუძველზე. კვლევის სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული განათლების მოწვეული მასწავლებელი/ინსტრუქტორი, ადმინისტრაციული პერსონალი, ხოლო გარე საჭიროებების დადგენის დროს - დამსაქმებელი, პროფესიული ასოციაციები, შრომის ბაზარი და სხვა. კვლევებით დგინდება შრომის ბაზრის მოთხოვნა, დამსაქმებლის კმაყოფილება, პროფესიული სტუდენტის, პერსონალის, კურსდამთავრებულის კმაყოფილება, და სხვა საკითხები. რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები ხორციელდება, როგორც წერილობითი და ზეპირი გამოკითხვებით, ისე ელექტრონულად Google form-ის პლატფორმის გამოყენებით. კვლევების ჩატარებისა და შედეგების შეჯამების შემდეგ შესაძლებელია შედეგების დამატებით დაზუსტება, რისთვისაც გამოიყენება თვისებრივი კვლევა. კვლევების შედეგების ანალიზის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია კვლევების განმახორციელებელი, რომელიც შესაძლოა იყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი საქმიანობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწორად დასაგეგმად (პროგრამების დამატება/მოდიფიცირება და ა.შ.), უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებზე რეაგირებას ეცნობიან კვლევაში მონაწილე დაინტერესებული მხარეები/რესპოდენტები, რაც ამაღლებს მათ მოტივაციას მიიღონ გამოკითხვაში მონაწილეობა და იყვნენ შეფასებისას/გამოკითხვისას ობიექტურები და გახსნილები.

ინდიკატორი 3.2.2.4. დაკმაყოფილებულია, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (25.09.2020);
2. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის კვლევის მეთოდოლოგია (ბრძანება №01-03/29).
3. დაწესებულების ვებ გვერდი https://tbeli.ge
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - დაწესებულებას შემუშავებული აქვს წესდება (ბოლო განახლების თარიღი: 2022 წლის 16 ივნისი), რომლითაც განსაზღვრულია დამფუძნებელი და უნივერსიტეტის მართვის ორგანოები. წესდების თანახმად, უნივერსიტეტის მართვაზე ერთპიროვნული პასუხისმგებლობა აქვს დირექტორს/რექტორს. ამასთან, უნივერსიტეტის რექტორს მინდობილი აქვს დამფუძნებლის ფუნქცია მოვალეობები. ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებამ წარმოადგინა 2007 წლის 23 იანვრის სანოტარო აქტი სპეციალური უფლებამოსილების დელეგირების შესახებ, რომლითაც დამფუძნებელი მთელ უფლებამოსილებას დაწესებულებასთან დაკავშირებით, ანდობს დაწესებულების დირექტორს/რექტორს.

   დაწესებულების დებულებით განსაზღვრულია უნივერსიტეტის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: 1) ფაკულტეტი (დეკანი, ფაკულტეტის საბჭო); 2) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; 3) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; 4) სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური; 5) იურიდიული განყოფილება; 6) შრომის უსაფრთხოების განყოფილება; 7) საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება; 8) საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება; 9) ბიბლიოთეკა; 10) პროფესიული განათლების ცენტრი. ასევე ადმინისტრაციული, სამეცნიერო, სასწავლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები (მუხლი 3), ხოლო მართვის ორგანოები/მმართველი სუბიექტებია: რექტორი პრორექტორი, ადმინისტრაცია, აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მუხლი 4). მმართველი ორგანოების ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაწესებულებას გაწერილი აქვს უნივერსიტეტის დებულებით (17.06 2022 წ. №01-03/10 ბრძანება). დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობის სქემით იდენტიფიცირებულია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: ბუღალტერია, კანცელარია, პროფესიული განათლების ცენტრი, სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და ა.შ. სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება ცალკე დებულებით. ცალკე დოკუმენტადაა შემუშავებული „პროფესიული განათლების ცენტრის დებულება“ და „ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (10.12. 2022 წ. №01-03/27 ბრძანება).

   წარმოდგენილი მმართველი ორგანოების, ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციებისთვის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე სამუშაო აღწერილობები, მეორდება სხვადასხვა დოკუმენტებში. დუბლირებული საკითხები არ მოდის წინააღმდეგობაში, უმეტესწილად ავსებენ ერთმანეთს, თუმცა სასურველია, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული მოთხოვნები/რეგულაციები ჩამოყალიბდეს ერთ დოკუმენტში. ასევე, დაწესებულების მიერ განახლებულ დოკუმენტებში (სტრუქტურა განახლებულია 2021 წლის 10 ნოემბერი, ბრძანებით N01-03/24ა, ხოლო დებულება - 2022 წლის 17 ივნისის, ბრძანებით N01-03/10) შეიცვალა ცალკეული პოზიციების/სტრუქტურული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვიდარია

ერთეულების დასახელებები. სასურველია, დაწესებულებამ ცვლილებები (სახელწოდებები) ასახოს სხვა დოკუმენტებშიც, რათა თავიდან აირიდოს განსხვავებული დასახელებების გამოყენებით გამოწვეული ბუნდოვანება.

ფაქტობრივი გარემოებებისა და დაწესებულების დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე, ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
მმართველი ორგანოების, ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციებისთვის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება სხვადასხვა დოკუმენტებით, სასურველია პროცესი/საკითხი რეგულირდებოდეს ერთი დოკუმენტით.
სასურველია დაწესებულებამ ცვლილებების განხორციელებისას ასახოს ყველა დოკუმენტებში, რათა თავიდან აირიდოს განსხვავებული დასახელებების გამოყენებით გამოწვეული ბუნდოვანება.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - უნივერსიტეტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამის განხორციელება, რისთვისაც უზრუნველყოფს შესაბამის ორგანიზაციულ მოწყობას. დაწესებულების სტრუქტურა (10.11.2021 წ. ბრძანება N01-03/24ა) მკაფიოდ განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების სუბორდინაციას/ურთიერთდამოკიდებულებას.

პროფესიული განათლების მიმართულებით, შექმნილია დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული „პროფესიული განათლების ცენტრი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი. პროფესიულ განათლების პროგრამების ადმინისტრირებაში ჩართულია დაწესებულების შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: საზოგადოებასთან ურთიერთობის, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის, ადამიანურის რესურსების მართვის, საერთაშორისო ურთიერთობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, შრომის უსაფრთხოების, იურიდიული სტრუქტურული ერთეულები, კანცელარია და ბიბლიოთეკა.

სტრუქტურული ერთეულის ძირითადი საქმიანობის სფეროები განსაზღვრულია ცენტრის დებულებით და მოიცავს პროფესიული პროგრამების შემუშავება-დანერგვა-განხორციელებასა და ადმინისტრირებას. პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების კორპუსის მართვას. ასევე პროფესიული სტუდენტების კარიერული განვითარების და დამსაქმებლებთან ურთიერთობის ღონისძიებების ორგანიზებას.

სტრუქტურული ერთეულების ეფექტური ფუნქციონირებისა და დაწესებულების მართვის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებულია დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ფუნქცია-მოვალეობებს და როლებს. სტრუქტურულ ერთეულებში შემავალ ცალკეული პოზიციებისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობები, რომლითაც განსაზღვრულია პირის/დასაქმებულის ანგარიშვალდებულება და იერარქიული დაქვემდებარება. დოკუმენტი მოიცავს სამუშაო განაკვეთის შესახებ ინფორმაციას, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქცია-მოვალეობებს და პასუხისმგებლობის სფეროებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული სამუშაო აღწერილობის ფორმა მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას დასაქმებულის სამუშაოს შესახებ, თუმცა წარმოდგენილ სამუშაო აღწერილობებში არაა მითითებული იმ სტრუქტურული ერთეულის დასახელება, სადაც საქმდება/დასაქმებულია პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასურველია დასაქმების/პოზიციის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად იყოს მითითებული სამუშაო აღწერილობაში. ამასთან სამუშაო აღწერილობა წარმოდგენილი იყოს არა ცალკე დოკუმენტი, არამედ როგორც შრომითი ხელშეკრულების დანართი.
დასაქმებულებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, ადმინისტრაციულ/პროფესიულ საქმიანობას ახორციელებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. ხარისხის სამსახურის უფროსთან გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მთლიანად აქვს მინდობილი პროგრამის ხელმძღვანელებს, რაც პროგრამის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
სასურველია დასაქმების/პოზიციის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად იყოს მითითებული სამუშაო აღწერილობაში. ამასთან სამუშაო აღწერილობა წარმოდგენილი იყოს არა ცალკე დოკუმენტი, არამედ როგორც შრომითი ხელშეკრულების დანართი.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს - დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის შექმნილი აქვს შესაბამისი სამსახური, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია ცალკე საშტატო ერთეული პროფესიული განათლების მიმართულების ხარისხის მართვის მენეჯერი. ხარისხის მართვის მენეჯერის რომლის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია ცალკე დოკუმენტით (10.12.2022 წ. ბრძანება №01-03/27). ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამების/ცენტრის ხარისხის მართვის - „დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება“ ციკლის უწყვეტობას, ახორციელებს სასწავლო პროცესის/პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს, შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში, ასევე პროცესების ეფექტურობის შენარჩუნებისთვის შეიმუშავებს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება (2022 წლის 17 ივნისი № 01-03/10 ბრძანება), ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის ადმინისტრაციის ფუნქცია მოვალეობები, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (28.02. 2022 წ. №01-03/03 ბრძანება), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის დებულება (აკადემიური საბჭოს 2022 წლის 5 სექტემბერი N02-01/05 გადაწყვეტილება), საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(2022 წლის 10 დეკემბრის №01-03/27 ბრძანება), ბრძანება), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (ბრძანება N01-03/08. 28.06.2021 წ.), არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების/დასაქმებულების ფუნქცია-მოვალეობებს შორის. მიუხედავად ამისა, წარმოების პროცესში დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია/ვერიფიკაციის განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის სამუშაო ჯგუფების დამტკიცების ბრძანებები და ოქმები. ზოგიერთი ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ხარისხის მართვის მენეჯერი მონაწილეობს, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელი. ამ ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში ხარისხის მართვის მენეჯერის მონაწილეობა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ იკვეთება, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ვინაიდან ამ პროცესების წარმართვისას არსებობს ინტერესთა კონფლიქტის რისკი, დაწესებულების შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების განვითარების მიზნით, **სასურველია, რომ** დაწესებულებამ გადახედოს პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებს და მკაფიოდ გაავლოს ზღვარი, რომელიც ხარისხის მართვის მენეჯერს შეუზღუდავს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის ან/და აპელაციის პროცესებში მონაწილეობას.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
სასურველია, რომ დაწესებულებამ გადახედოს პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებს და უფრო მკაფიოდ გაავლოს ზღვარი, რომელიც ხარისხის მართვის მენეჯერს უზღუდავს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის ან/და აპელაციის პროცესებში მონაწილეობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წესდება (ბოლო განახლების თარიღი: 2022 წლის 16 ივნისი);
2. (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება (17.06.2022 წ. № 01-03/10 ბრძანება);
3. (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის დებულება (05.09.2022 წ. 5 სექტემბერი N02-01/05 გადაწყვეტილება);
4. (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა (10.11.2021 წ. ბრძანება N01-03/24ა);
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია - მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (10.12. 2022 წ. №01-03/27 ბრძანება);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა (25.06.2021 წ. #01-03/05 ბრძანება);
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის/ადმინისტრაციის, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (11.03.2023 წლის № 01-03/4 ბრძანება);
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად -

   პერსონალის მართვის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია ისეთი მართვის მექანიზმების შექმნა, რაც უზრუნველყოფს კადრების მოზიდვა-შენარჩუნებას და მათ კარიერულ ზრდას. შიდა რეგულაციები არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და უზრუნველყოფს შრომითი ურთიერთობების კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ფარგლებში მართვას. შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა ვალდებულებები, გამოსაცდელი ვადით დასაქმება, სამუშაო, შესვენებისა და დასვენების დრო, შვებულებით სარგებლობის პირობები, შრომის ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პირობები, შესრულების დისციპლინა, დისციპლინური წახალისება და პასუხისმგებლობა. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე პერსონალის სამუშაო დრო ორშაბათი-შაბათის ჩათვლით, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, ხოლო 13:00-14:00 საათი - შესვენების დროდ, რაც არ ითვლება სამუშაო დროში. ამგვარად, დასაქმებულის ყოველკვირეული სამუშაო დატვირთვა შეადგენს 36 საათს. დაწესებულებას, შრომის კოდექსით დადგენილი ოფიციალური დასვენების დღეების შესაბამისად, განსაზღვრული აქვს დასვენების დღეებიც. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებები, ასევე დასაქმებულებთან კომუნიკაციისას აღინიშნა, რომ ზოგიერთი მასწავლებელი ამავდროულად დაკავებულია უმაღლესის საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების ფარგლებშიც, ან/და ზოგიერთი მასწავლებელი ამავდროულად ახორციელებს ადმინისტრაციულ საქმიანობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაო დრო და აღინიშნა, რომ ამ პირების სამუშაო დატვირთვა არ აღემატება კვირაში 35 საათს. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პირები ჩართულები არიან როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში, ზოგიერთს კი ასევე შეთავსებული აქვს ადმინისტრაციული საქმიანობაც, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების პერსონალის სამუშაო დროის უფრო ეფექტური მართვის განვითარებისთვის, მიზანშეწონილად მიიჩნია, გაეცა განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია <u>დაწესებულებამ გაითვალისწინოს და რეგულაციაში ცალკე პუნქტად გამოყოს იმ ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა, რომლებიც ამავდროულად არიან განმახორციელებლებიც და დააწესოს საათობრივი შეზღუდვა ადმინისტრაციულ და პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციებზე სამუშაო საათებისა და საათობრივი დატვირთვის შესახებ.</u>

შემოწმებული იქა პერსონალის პირადი საქმეები პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში არის დათქმა, რომ შინაგანაწესი მისი განუყოფელი ნაწილია, თუმცა შემოწმებით გამოიკვეთა, რომ დოკუმენტი არ მოიცავს ყველა არსებით პირობას, კერძოდ არაა მითითებული:

- **სამუშაო ადგილი,** რომელიც შინაგანაწესით, განსაზღვრულია, შემდეგი ფორმულირებით, რომ დასაქმებულის სამუშაოს შესრულების ადგილია „უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი“. შინაგანაწესი ასევე მოიცავს, რომ წერილობითი თანხმობის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს სამუშაოს შესრულების სხვა ადგილიც (შინაგანაწესი, მუხლი 9). მიუხედავად აღნიშნულისა, შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მოთხოვნათა თანახმად, შესაბამისი ინფორმაცია უნდა იყოს ხელშეკრულების ტექსტშიც.
- **შვებულების მიცემის წესი** (ხელშეკრულების პუნქტი 4.5), მითითებულია, რომ აქვს მისი გამოყენების უფლება. კანონის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია შინაგანაწესით განსაზღვრული შვებულებით სარგებლობის წესი (შინაგანაწესი მუხლი 13). მიუხედავად აღნიშნულისა, ხელშეკრულების ტექსტი, უნდა მოიცავდეს არსებით პირობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას.
- **ზეგანაკვეთური** - შესაბამის მუხლში მითითებულია განსხვავებული ტარიფი, ასეთის საჭიროებისას, მაგრამ არაა დაკონკრეტებული გაცემის პირობები. შინაგანაწესით გაწერილი ნორმები, კოდექსთან შესაბამისობაშია. ხელშეკრულების ტექსტი, უნდა მოიცავდეს არსებით პირობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას.

პირადი საქმეების შესწავლისას დადგინდა, რომ ყველა პერსონალის პირად საქმეში, არაა წარმოდგენილი კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ცნობები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ, ბრძ. #02-05-04/02), რომელშიც ვიზიტის დროს განახორციელა ცვლილება და დაემატა ამოცანა, ინდიკატორის 4.1.2 შესაბამისობაში მოყვანა. ამოცანის შესრულების ინდიკატორის შესრულების პერიოდი განისაზღვრა 1 თვით - 2025 წლის 16 ივნისი-2025 წლის 16 ივლისი.

ვიზიტის დროს გასაუბრება განხორციელდა პერსონალთან, საქმიანობის რეგულაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. პერსონალი იცნობს შიდა რეგულაციების მოთხოვნებსა და საკუთარ უფლება-მოვალეობებს. მარეგულირებელი დოკუმენტაცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. დოკუმენტაციის შესწავლისა და პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანიშვნა ხორციელდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო მართვა მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების მიხედვით.

ზემო აღნიშნულისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ ინდიკატორი 4.1.2.1. *შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“* და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის პირადი საქმეების და შრომითი ხელშეკრულებების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, დაწესებულების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (შესრულების ვადა: 16.07.2025).

განმავითარებელი რეკომენდაცია:
სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და რეგულაციაში ცალკე პუნქტად გამოყოს იმ ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა, რომლებიც ამავდროულად არიან განმახორციელებლებიც და დააწესოს საათობრივი შეზღუდვა ადმინისტრაციულ და პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციებზე სამუშაო საათებისა და საათობრივი დატვირთვის შესახებ.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით - ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (25.06.2021 წ. #01-03/05 ბრძანება), რომლითაც გაწერილია პერსონალის შერჩევის პოლიტიკა, რომლის თანახმადაც, უნივერსიტეტში დასაქმებული პირი თანამდებობას იკავებს კონკურსის გზით შერჩევის ან კანდიდატთან გასაუბრების წესით. ასევე ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები. პოლიტიკის შესაბამისად, კანდიდატთა კონკურსის წესით შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. დასაქმების მსურველის პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო კონკურსის შემთხვევაში საამისოდ შექმნილი საკონკურსო კომისია, რომელიც საკუთარ გადაწყვეტილებას წარუდგენს რექტორს შესაბამისი ბრძანების გამოცემის მიზნით. დასაქმების მსურველი პირის სამსახურში აყვანის თაობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გამოიცემა ბრძანება და ფორმდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულება. უმაღლესი და პროფესიული განათლების ლექტორ/მასწავლებელთა შერჩევისას დგინდება მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. ხოლო იმ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნა, რომელიც ითხოვს სხვადასხვა კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობებით.

დაწესებულებას ამ ეტაპზე დასაქმებული თანამშრომლები/განმახორციელებლები აყვანილი ყავს რეკომენდაციებისა და გასაუბრების საფუძველზე. რეგიონის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დაწესებულება კვალიფიციური კადრების მოძიებას ახორციელებს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში. შერჩეული/დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება პირად საქმეებში განთავსებული დოკუმენტაციით.
ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - დაწესებულების მიერ შემუშავებულ სამუშაო აღწერილობებში განსაზღვრულია შესასრულებელი ამოცანები და შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ადეკვატურია შესასრულებელი სამუშაოების და არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების, შერჩეული ***პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, რაც დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით*** (იხ. ასევე 4.1.2.1 ინდიკატორის აღწერა).

ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს - დაწესებულებაში პროცესების მართვისთვის შემუშავებული რეგულაციებითა და მექანიზმებით, უზრუნველყოფილია დასაქმებულთა ჩართულობა სხვადასხვა პროცესში, როგორიცაა: პროგრამის შემუშავების, ინიცირების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაცია-ვერიფიკაციის, გამოცდების და კონფერენციების ორგანიზების და სხვა პროცესებთან დაკავშირებით. დაწესებულების ფუნქციონირება ემყარება გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, აქტიურად არიან ჩართულნი დაწესებულების ადმინისტრაციული თუ სასწავლო პროცესების მართვის საკითხებში და უწყობენ მის განვითარებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო სამუშაო ჯგუფების, კომისიების შექმნის შესახებ ბრძანებები, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები.
ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია, პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. (ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' შინაგანაწესი (16.11. 2021 წ. №01-03/25 ბრძანება)
2. (ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' ეთიკის კოდექსი (21.05.2018 წ. № 01-03/02ა ბრძანება)

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას - პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც საშუალებას აძლევს დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა პირს, საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები ეფექტურად განახორციელოს. დაწესებულების პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკის მიზანია მოახდინოს პერსონალის/პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების ძლიერი, სუსტი მხარეების, საჭიროებების იდენტიფიცირება და მოახდინოს მათი გაუმჯობესებისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებების დასახვა.

   პერსონალის შეფასებისა და განვითარების საჭიროების კვლევის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება შეფასება/კვლევა ანკეტა-კითხვარების გამოყენებით. დაწესებულების პერსონალის შეფასების ინსტრუქციის თანახმად, პერსონალის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, შესაბამისად შეფასების შეჯამება და შედეგები/საჭიროებები, განისაზღვრება წელიწადში ერთხელ, ხოლო გამოსაცდელი ვადით დასაქმებული პირი შეფასებას ექვემდებარება შესაბამის პოზიციაზე მოვალეობის განხორციელების დაწყებიდან 3 (სამი) თვის შემდეგ. დასაქმებულის შეფასებას ახორციელებს მისი უშუალო ხელმძღვანელი. შეფასებისთვის გამოიყენება ოთხ დონიანი შეფასების სისტემა: ა) საუკეთესო შეფასება ბ) კარგი გ) დამაკმაყოფილებელი დ) არადამაკმაყოფილებელი შეფასება. შეფასების პროცესის შედეგი არის, შეფასების შედეგების გათვალისწინებით შექმნილი პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გეგმა, სადაც კონკრეტულად არის განსაზღვრული განმავითარებელი ღონისძიებები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება დაწესებულების თანამშრომლების შემდგომი პიროვნული და პროფესიული ზრდა-განვითარებისთვის.

პროგრამის განმახორციელებელი პირის შეფასებისთვის აღნიშნულ ფორმებთან ერთად გამოიყენება ასევე მეცადინეობაზე დასწრება, პროფესიული სტუდენტების მიერ მასწავლებლის შეფასება წინასწარ შედგენილი კითხვარების გამოყენებით. ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებისას, ხდება სამუშაო ინსტრუქციებით გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების შესრულების ხარისხის მონიტორინგი/შეფასება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2022-2025 წლების დაფინანსების დინამიკა, სადაც მოცემულია სხვადასხვა მიმართულებით დაწესებულების მიერ გაწეული ხარჯები. პერსონალის განვითარებისთვის 2022 წელს დაწესებულების მიერ გახარჯულია 6200 ₾, 2023 წელს - 6400 ₾, 2024 წელს-6500 ₾, ხოლო 2025 წლისთვის გამოყოფილია 7000 ₾.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით - პერსონალის შეფასების შედეგებსა და გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის განვითრების სხვადასხვა ღონისძიებებს, როგორც შიდა რესურსით, ისე გარე ტრენინგების სახით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასების ანგარიშით გამოვლენილია წერილობითი ანგარიშების შემუშავების, განსხვავებულ ამოცანებზე ერთდროულად მუშაობის, სტრესის მართვის უნარების გაუმჯობესება. ტექნიკურ/დამხმარე პერსონალთან გამოიკვეთა შიდა პროცედურებისა და „მანუალების" ცოდნის გაძლიერების საჭიროება. ამ გამოწვევების გათვალისწინებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის განვითარების გეგმა, რომლისთვისაც ყოველწლიურად გამოყოფს ბიუჯეტს (იხ. ასევე ზემოთ დაფინასების დინამიკა) <u>თუმცა საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებული პერსონალის განვითრების გეგმა, სასურველია დაიხვეწოს, და მიეთითოს კონკრეტული აქტივობებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი, განხორციელების ვადები, განხორციელებასა და შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები.</u>

დაწესებულებაში პერსონალთან გასაუბრებისა და პირადი საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება ახორციელებს პერსონალის შეფასებას და გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით ზრუნავს მათ განვითარებაზე, მაგ. დაწესებულების მიერ გადამზადებულია პერსონალი კომპიუტერული უნარების გაძლიერების მიმართულებით. ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები - „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასების" მიმართულებით, პერსონალმა გაიარა ასევე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის" კურსი. პერსონალთან და მენეჯმენტთან გასაუბრების შედეგად ასევე აღინიშნა, რომ აქტიურად არიან ჩართულები უნარების სააგენტოსა და ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
სასურველია დაიხვეწოს პერსონალის განვითრების გეგმის და მიეთითოს კონკრეტული აქტივობებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი, განხორციელების ვადები, განხორციელებასა და აქტივობის/გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით - დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი (14.03.2023 წ. №01-05-04/2 ბრძანება), რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებლების მუშაობის შედეგების შეფასებისა და წახალისების პროცედურებს. განსაზღვრულია ასევე კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული განათლების მასწავლებელი, მაგ. თვითგანვითარების აქტივობებში ჩართვის მაღალი მოტივაცია/კარიერულ ზრდაზე ორიენტირება, პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსებში მონაწილეობა, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო /სემინარებში და სხვა აქტივობებში ჩართვა (მუხლი 3). ასევე მნიშვნელოვანია იმ კომპეტენციების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებას.
პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და უნარების სააგენტოს მიერ მიერ განხორცილებულ ტრენინგებში მონაწილეობის დამდასტურებელი სერტიფიკატები. პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლებაში მიმდინარე რეფორმისა და პროცესების საჭიროებიდან გამომდინარე, დაწესებულება გეგმავს შიდა და გარე სწავლების, ასევე ცვლილებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-გატარებას. პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით პსდ გამოყოფს შესაბამის ფინანსურ რესურსს ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსების მიზნით (იხ. ამ კომპონენტის პირველი ინდიკატორი).

***ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება* უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;**

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან - დაწესებულებას პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრული აქვს ახალდანიშნული ან/და დაწინაურებული ან/და ერთი სტრუქტურული ერთეულიდან მეორეში გადასული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცედურა. ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. ყოველ ახალდანიშნული თანამშრომელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. ინტეგრაციის პროცესის ფარგლებში ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ახალდანიშნულ თანამშრომელს აცნობს შინაგანაწესის მოთხოვნებსა და უნივერსიტეტის მოქმედ პროცედურებსა და წესებს, ახალ თანამშრომელს აცნობს სამუშაო აღწერილობას და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მისადმი, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში და უსახავს ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისათვის.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა რამდენიმე ახალ დანიშნულ პროფესიული განათლების მასწავლებელს. გასაუბრების დროს, დასაქმებულებმა აღნიშნეს, რომ მათ დაწესებულების წარმომადგენელმა გააცნო ისინი შინაგანაწესს/შრომით ხელშეკრულებას (არსებით პირობებს). ინტეგრაციის პროცესში მათ მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც აწვდის მათ საჭირო სამუშაო მასალებს, დოკუმენტებს, რაც უზრუნველყოფს მათ სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას.

***ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება* უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები - დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების სახეები თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის და გამოიყენებს ერთ ან რამდენიმე წახალისების ფორმას: მადლობის გამოცხადება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და ფულადი პრემია. გადაწყვეტილებას წახალისებას ან დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ იღებს დაწესებულების რექტორი. რექტორი განსაზღრავს ასევე წახალისების/პასუხისმგებლობის სახეს. წახალისების ღონისძიებები განსაზღვრულია, ასევე, პერსონალის მართვის პოლიტიკითა და ეთიკის კოდექსით.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი (2023 წლის 14 მარტის №01-05-04/2 ბრძანებით)
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა“ (16.02. 2024 წ. №01-03/01ა. ბრძანება)
3. ა(ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' შინაგანაწესი (16.11. 2021 წ. №01-03/25 ბრძანება)
4. ა(ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' ეთიკის კოდექსი (21.05.2018 წ. № 01-03/02ა ბრძანება)
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა (25.06.2021 წ. #01-03/05 ბრძანება);
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა (25.06.2021 წ. #01-03/05 ბრძანება);
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პსდ-ის ავტორზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ, ბრძ. #02-05-04/02
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით - ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ნოტარიულად დამოწმებული თხოვების ხელშეკრულებები უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის თაობაზე. მოძრავი ნივთების თხოვების თაობაზე თარიღდება 2025 წლის 28 მაისით, ხოლო უძრავი ქონების თხოვების თაობაზე 2021 წლის 2 დეკემბრით. ორივე ხელშეკრულება დადებულია 10 წლის ვადით (2031 წლის 2 დეკემბრამდე, ზუსტად ავტორიზაციის ვადით), რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. დაწესებულების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნასთან, უძრავ ნივთთან დაკავშირებული გარიგების წერილობითი ფორმის დაცვის თაობაზე. ამასთან ხელშეკრულებები დამოწმებულია სანოტარო წესით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ არის საფუძველი, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიიჩნიოს სტანდარდთან შეუსაბამოდ. <u>თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი არ ავალდებულებს მხარეებს უძრავ ნივთთან დაკავშირებული გარიგებების (გარდა ნასყიდობისა და საკუთრების უფლების სხვა ფორმით გადაცემისა) საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, მაინც **სასურველია, რომ** დაწესებულებამ უზრუნველყოს უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, მესამე პირთა მიმართ რეესტრის უტყუარობის პრეზუმციის გავრცელების მიზნით.</u>

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე ინვენტარიზაციის აქტი, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის გამოყოფილ რესურსს. დოკუმენტით და ადგილზე ვიზუალური შემოწმებით დასტურდება პროგრამის შესაბამისი ინფრასტრუქტურის და მატერიალური-ტექნიკური ბაზის ფლობა. დაწესებულებას, მისამართზე: აჭარის ა.რ. შუახევი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური), პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელებისთვის დათმობილი აქვს სამსართულიანი შენობა, სადაც თითოეული პროგრამისთვის გამოყოფილია 2-2 აუდიტორია თეორიული სწავლებისთვის; პრაქტიკული სწავლებისთვის თითო აუდიტორია (C გარემოა), საერთო გამოყენებისთვის B გარემო/კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია 16 კომპიუტერით. ამავე რაოდენობის კომპიუტერია განთავსებული ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკული სწავლების აუდიტორიაში. დამატებით, მესამე სართულზე განთავსებულია თავისუფალი აუდიტორიები, რომელსაც დაწესებულება იყენებს საჭიროების მიხედვით. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით (მერხი, სკამი, სადემონსტრაციო საშუალებები (დაფა, პროექტორი, ეკრანი) (იხ. დანართი, ინვენტარიზაციის აქტი).
   დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე ინვენტარიზაციის აქტი, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის გამოყოფილ რესურსს. დოკუმენტით და ადგილზე ვიზუალური შემოწმებით დასტურდება პროგრამის შესაბამისი ინფრასტრუქტურის და მატერიალური-ტექნიკური ბაზის ფლობა. დაწესებულებას, მისამართზე: აჭარის ა.რ. შუახევი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური), პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების პროგრამების განხორციელებისთვის დათმობილი აქვს სამსართულიანი შენობა, რომლის მე-2 სართულზე, თითოეული პროგრამისთვის გამოყოფილია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტისთვის აუდიტორიები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“, გამოყოფილია: 2 A სასწავლო გარემო, თითოეული 20-20 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის, 1 B/C სასწავლო გარემო, 15 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით (პროექტორი, დაფა) და ჩარჩო დოკუმენტის სარეკომენდაციო ჩანაწერების გათვალისწინებით, სწავლებისთვის შესაბამისი რესურსით, მოწყობილია სამუშაო ადგილი მასწავლებლისთვის;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“, გამოყოფილია: 2 A სასწავლო გარემო, თითოეული 20-20 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის, 1 C სასწავლო გარემო (იმიტირებული პალატა). აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით (პროექტორი, დაფა) და ჩარჩო დოკუმენტის სარეკომენდაციო ჩანაწერების გათვალისწინებით, სწავლებისთვის შესაბამისი რესურსით. მოწყობილია სამუშაო ადგილი მასწავლებლისთვის;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“, გამოყოფილია: 3 A სასწავლო გარემო, თითოეული 20-20 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის, 1 C სასწავლო გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით (პროექტორი, დაფა) და ჩარჩო დოკუმენტის სარეკომენდაციო ჩანაწერების გათვალისწინებით, სწავლებისთვის შესაბამისი რესურსით. მოწყობილია სამუშაო ადგილი მასწავლებლისთვის;
- 1 B სასწავლო გარემო - აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით (პროექტორი, დაფა) და საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით შესაბამისი პარამეტრების კომპიუტერებითა და პროგრამული უზრუნველყოფით. მოწყობილია სამუშაო ადგილი მასწავლებლისთვის;

მე-3 სართულზე ძირითადად განთავსებულია 8 აუდიტორია თეორიული სწავლებისთვის, აუდიტორიები, რომელსაც დაწესებულება იყენებს საჭიროების მიხედვით. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით (მერხი, სკამი, დაფა) (იხ. დანართი, ინვენტარიზაციის აქტი).

შენობაში მოწყობილია ასევე ადმინისტრაციული საქმიანობისთვის კაბინეტები შესაბამისი აღჭურვითა და ტექნიკით: კანცელარია, არქივი, პერსონალისთვის სამუშაო კაბინეტები, პირველადი დახმარების აღმოჩენის კაბინეტი. ყველა სართულზე მოწყობილია სანიტარული კვანძები ასევე გათვალისწინებული სამეურნეო ოთახები, სამრეცხაო, სივრცე დამლაგებლისთვის. ადმინისტრაციული და სამეურნეო საქმიანობისთვის სამუშაო სივრცეები ძირითადად მოწყობილია შენობის პირველ სართულზე. კოლეჯის ტერიტორიაზე, ეზოში, მოწყობილია სატრაპეზო სტუდენტებისთვის (ცალკე მდგომი შენობა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისად).

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორის 5.1.1.1 შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეფასდა დამაკმაყოფილებლად **- დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

განმავითარებელი რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედანია

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი არ ავალდებულებს მხარეებს უძრავ ნივთთან დაკავშირებული გარიგებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, სასურველია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, მესამე პირთა მიმართ რეესტრის უტყუარობის პრეზუმციის გავრცელების მიზნით.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის - ექსპერტთა ვიზიტისას ადგილზე შემოწმდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა. შენობა ადაპტირებულია, გადაადგილების შეზღუდვის მქონე შშმ პირებისთვის, კიბეზე დამონტაჟებულია *ხის პანდუსები, ინკლუზიური გარემოს მოწყობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, პანდუსი უნდა იყოს არაწვადი მასალისგან. სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს უსაფრთხოების აღნიშნული მოთხოვნა და ხის კონსტრუქცია ჩაანაცვლოს რეკომენდებული მასალით.* აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ დაწესებულებას 5.1.2 (1) ინდიკატორი გატანილი აქვს შესაბამისობის გეგმაში და შეფასებულია ნაწილობრივი შესაბამისობით, რომლის თანახმად **მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა და მისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა განსაზღვრულია 2025 წლის მაისი-2026 წლის ნოემბრის პერიოდით. აღნიშნული საკითხი ასევე კავშირშია დაგეგმილ ღონისძიებებთან.**

3. სასწავლო სივრცეები აღჭურვილია მერხებით, სკამებით, აუდიტორიებში განთავსებულია პროექტორები, დაფები. B ტიპის გარემოში განთავსებულია კომპიუტერები. ხელმისაწვდომია სტუდენტური მოსასვენებელი სივრცეებიც, ღია ეზო და „სატრაპეზო“, სადაც სტუდენტები სარგებლობენ უფასო კვებით. დაწესებულებას აქვს ცალკე გამოყოფილი კორპუსი ბიბლიოთეკისთვის, მოწყობილია სამკითხველო. ბიბლიოთეკაში დაცულია სასწავლო მასალა, მხატვრული ლიტერატურა, პუბლიკაციები, მათ შორის მოიპოვება უნიკალური ეგზემპლარებიც. პროფესიული სტუდენტებისთვის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია. სტუდენტის ეს უფლება უზრუნველყოფილია ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 5, პ.1 „დ“).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ უნივერსიტეტის სივრცეებით, კარგად იცნობენ მარეგულირებელ წესს, რომელშიც დაწესებულებას გაწერილი აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. **ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის 5.1.1.2 მოთხოვნა შეფასდა დაკმაყოფილებულად.**

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>ინკლუზიური გარემოს მოწყობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, პანდუსის კონსტრუქცია ჩანაცვლდეს/მოეწყოს ცეცხლგამძლე მასალით.</u>

4. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები - დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეამოწმა სანიტარული და ჰიგიენური პირობები, რომლების ფარგლებშიც გამოიკვეთა, რომ დაწესებულების სველი წერტილები და „სატრაპეზო“ სამზარეულოთი მარაგდება წყლით, უზრუნველყოფილია ხელსაბანი სითხეებით, საშრობი ქაღალდებით და სხვა აუცილებელი რესურსით. დაწესებულებას ჰყავს დამლაგებლები, რომლებიც ზრუნავენ სივრცეებში სისუფთავის შენარჩუნებაზე. ადგილზე დათვალიერების შედეგად არ გამოკვეთილა სანიტარული და ჰიგიენური პირობების დარღვევის ფაქტი, სივრცეები იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სუფთა და მოწესრიგებული. დაწესებულებას არ აქვს ცალკე გაწერილი დოკუმენტი სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, თუმცა ვალდებულებები გაწერილი აქვს დამლაგებელთა სამუშაო აღწერილობით, ხოლო ნარჩენების უტილიზაციასთან დაკავშირებულ სპეციფიკას აწესრიგებს „ა(ა)იპ წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სასწავლო პროგრამების სასწავლო მიზნებისათვის სჭირო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“ (დამტკიცებული 13.02.2019 წლის №01-03/23 ბრძანებით).

ზემოაღნიშნული რეგულაციის მიხედვით, დაწესებულებაში ნარჩენები უნდა შეგროვდეს ორგანიზებულად. ორგანიზებული შეგროვების, დროებითი შენახვის და ტრანსპორტირების სისტემა მოიცავს, რომ ნარჩენი დახარისხდეს, საჭიროების შემთხვევაში გატანილი იქნას სანაგვე კონტეინერებში, ხოლო სახიფათო ნარჩენები უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში. პერსონალთან და ექიმთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დაწესებულება არ იყენებს და შესაბამისად არ აქვს სახიფათო ნარჩენები. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 5.1.1.3-ია მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით - დაწესებულების შენობაში არაა მოწყობილი ცენტრალური გათბობის სისტემა. აღნიშნული გარემოება განპირობებულია უნივერსიტეტის ლოკაციით. უნივერსიტეტი მდებარეობს მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთ სოფელში, რომელიც მიმდინარე ეტაპისთვის ჯერ კიდევ არაა გაზიფიცირებული. ამჟამად, უნივერსიტეტი იყენებს ელექტრო გამათბობლებს ცალკეული აუდიტორიებისთვის (მფლობელობაში აქვს სულ 26 ელ გამათბობელი). თუმცა დაწესებულება ზრუნავს უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი, რისთვისაც შესაბამის მოწყობილობების შეძენა დაწყებული აქვს (შეძენილია ცენტრალური გათბობის ქვაბი), რაც კონკრეტული ლოკაციის გაზიფიცირების შემთხვევაში, შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას, მოკლე დროში უზრუნველყოს გათბობის სისტემის მონტაჟი. ამ გარემოებების გამო, დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ, ბრძ. #02-05-04/02), სადაც ინდიკატორის შესრულებისთვის განსზღვრული აქვს 18 თვიანი პერიოდი (2025 წლის მისი-2026 წლის ნოემბერის პერიოდი), ხოლო ინდიკატორი სეფასებია „მეტწილი შესაბამისობით“.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, 5.1.1.(4) ინდიკატორის შეფასება დარჩა უცვლელი და შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: შენობა-ნაგებობა ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფა დაწესებულებამ განახორციელოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ. ბრძ. #02-05-04/02). განსაზღვრულ ვადებში. გეგმით განსაზღვრული შესრულების ვადა: 2026 წლის ნოემბერი.

6. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები - შრომის უსაფრთხოების მართვაზე პასუხისმგებელია, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად სერტიფიცირებული პირი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ექსპერტები გაეცნენ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირად საქმეს, რითიც დადასტურდა მისი კვალიფიკაცია (წარმოდგენილი სერტიფიკატი N0030-22). დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები“ (დამტკიცებული საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 9 დეკემბრის #01-03/29 ბრძანებით), რომლის თანახმადაც უნივერსიტეტის დასაქმებულებსა და მათ წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა, დრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და რესურსები, რათა მონაწილეობა მიიღონ შრომის უსაფრთხოების საკითხების შეფასებაში და ჩართული იყვნენ უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის, უსაფრთხოების საკითხების განხორციელების და ტრენინგების პროცესებში. აქვე გაწერილია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ვალდებულებები, რომლის ძირითადი პასუხისმგებლობაა უსაფრთხოების მოთხოვნების, წესებისა და პროცედურების დანერგვა და კონტროლი.

შრომის უსაფრთხოების წესი მოიცავს ასევე საგანგებო სიტუაციებისთვის სამოქმედო გეგმას, შრომისა და ელექტრო უსაფრთხოების, მონიტორიან მოწყობილობებთან მუშაობის ინსტრუქციებს. შემოწმების და გასაუბრებისას დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ, ტარდება პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების ინსტრუქტაჟის, სწავლება შრომის უსაფრთხოების საკითხებში, რაც აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან საუბარში აღინიშნა, რომ დაწესებულებაში არ ხდება რისკების შეფასების დოკუმენტირება - არა შემუშავებული რისკების მართვის ღონისძიებების გეგმა. შესაბამისად ექსპერტთა მიერ გაიცა მითითება კოლეჯმა უზრუნველყოს მთლიანი სასწავლო-სამუშაო გარემოს რისკების იდენტიფიცირება და მართვა „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ გათვალისწინებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება №341 01.07.2022 წ.). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ, **ინდიკატორი 5.1.1.5 შეფასდა დამაკმაყოფილებლად.**

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო-სამუშაო გარემოში არსებული რისკების იდენტიფიცირებისა, მართვისა და პრევენციული ღონისძიებების დოკუმენტირება/გეგმის შემუშავება.</u>

7. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები - დაწესებულებაში მოქმედებს „ა(ა)იპ წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სასწავლო პროგრამების სასწავლო მიზნებისათვის სჭირო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“ (დამტკიცებული 13.02.2019 წლის №01-03/23 ბრძანებით), რომლის მიხედვითაც, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები აწარმოებენ მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას, საჭიროების შემთხვევაში როგორც მოდულის დაწყებამდე, ისე მოდულის მიმდინარეობისას. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას დაწესებულება მხედველობაში იღებს მათი ვარგისიანობის ვადას მათი გამოყენების მომენტისათვის. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით. დაწესებულების მფლობელობაში არსებული სივრცეებისა და სასწავლო გარემოების დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია საჭირო მასალებითა და ნედლეულით.
ინდიკატორის 5.1.1.6 მოთხოვნის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

8. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას - დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა დანერგვა-შესრულებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. („პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ 10.12.2022, №01-03/27 ბრძანება). ამ მიზნით, ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის, მ.შ. სასწავლო რესურსების შეფასება/ანალიზი. ხარისხის მენეჯერთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი სისტემატიურად ახორციელებენ სასწავლო რესურსების შეფასებას და განვითარებას. დაწესებულების ფინანსურ მენეჯერის განმარტებით, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ყოველწლიურად ხდება დაწესებულების რესურსების შეფასება-აღწერა/ინვენტარიზაცია, და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით შესაბამისი რეაგირება. **ინდიკატორის 5.1.1.7 მოთხოვნის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად.**

9. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის - დაწესებულების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ შენობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, არის მოწესრიგებული და სუფთა, შესაძლებელია პირადი ჰიგიენის დაცვა და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია ხელსაბანით, ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, საშრობი ქაღალდი) და სხვა აუცილებელი რესურსით. დაწესებულებას ჰყავს დამლაგებლები, რომლებიც ზრუნავენ სანიტარული კვანძების სისუფთავის შენარჩუნებაზე. **ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორის 5.1.1.8 მოთხოვნის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად.**

10. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა - დაწესებულების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. სივრცეები მორგებულია სასწავლო გარემოზე, შესაძლებელია მათში სწავლების განხორციელება. ექსპერტებთან გასაუბრებისას, სტუდენტების/კურსდამთავრებულების მიერ დაწესებულების სასწავლო გარემო შეფასდა დადებითად. **ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორის 5.1.1.9 მოთხოვნის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად.**

11. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას - დაწესებულებაში სივრცე ისეა დაგეგმილი, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესი შეუფერხებლად ხორციელდება. დაწესებულებაში არაა ერთმანეთში გამავალი ოთახები. სამუშაო და სასწავლო ოთახები, ბიბლიოთეკა განლაგებულია ერთმანეთისგან იზოლირებულად და ყველა სივრცე გამოდის ჰოლში. ასევე პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი სივრცეების ისეა განთავსებული, რომ ხელს არ უშლის საგანმანათლებლო პროცესსა და ადმინისტრაციულ საქმიანობას.

    საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილია ინდივიდუალურად თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის აუდიტორიები, მოწყობილია კომპიუტერული კაბინეტი/კლასი. სასწავლო აუდიტორიებში, პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილ დასვენების სივრცეებში შესვლა შესაძლებელია შეზღუდვების გარეშე. *ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.* **ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორის 5.1.1.10 მოთხოვნის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედანია

12. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად - დაწესებულებას ბიბლიოთეკა განთავსებული აქვს დამოუკიდებელ შენობაში, რომელსაც აქვს საკონფერენციო/სააქტო დარბაზი, სამკითხველო დარბაზი და წიგნსაცავი. დაწესებულების ბიბლიოთეკაში სრულადაა დაცული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვნად განხორციელებისათვის საჭირო წიგნები/ლიტერატურა. გარდა ამისა, დაწესებულების ბიბლიოთეკაში დაცულია სხვა პუბლიკაციებიც, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, მათ შორის უნიკალური ეგზემპლარები. ბიბლიოთეკის წიგნსაცავს უჭირავს შენობის მეორე სართული. ბიბლიოთეკის ფონდები და ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის, ვინც რეგისტრირდება მკითხველად. მკითხველებს შეუძლიათ წიგნის როგორც ადგილზე აღება და დამუშავება, ისე გატანა. ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები აღრიცხულია და დაჯგუფებულია კატალოგებში. საცავებში წიგნები ინახება ანბანური თანმიმდევრობით.

    ბიბლიოთეკისთვის დაწესებულების ვებ-გვერდზე გამოყოფილია სივრცე , სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკის საქმიანობისა და სარგებლობის მარეგულირებელი დოკუმენტები. განთავსებული ელექტრონული კატალოგი და საძიებო სისტემა (Open Biblio), სასარგებლო ბმულები: ეროვნული და უცხოური ბიბლიოთეკების გვერდები, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზები.

    დაწესებულების ბიბლიოთეკაში ასევე დაცულია ელექტრონული რესურსიც. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათთვის უფრო კომფორტულია ელექტრონული რესურსით სარგებლობა. ელექტრონული რესურსით სარგებლობისთვის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია კომპიუტერები (14 სამუშაო ადგილი).

    დაწესებულების ბიბლიოთეკაში მოქმედებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძანებაN01-03/23, 08.09. 2021 წ.), სადაც თავმოყრილია სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება/მოვალეობები, წიგნების გატანისა და ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების მიღების პროცედურა. ბიბლიოთეკას ჰყავს შესაბამისად სერტიფიცირებული ბიბლიოთეკარი. შეფასებით დასტურდება, რომ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. **ინდიკატორის 5.1.1.11 მოთხოვნის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. უძრავი და მოძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულებები
2. ამონაწერი რეესტრიდან
3. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძანებაN01-03/23, 08.09. 2021 წ.),˜;
4. „ა(ა)იპ წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სასწავლო პროგრამების სასწავლო მიზნებისათვის სჭირო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“ (დამტკიცებული 13.02.2019 წლის №01-03/23 ბრძანებით).
5. ა(ა)იპ წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები (09.12.2021 წ. #01-03/29 ბრძანება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტი (ბრძ. #2-05-04/01, 25.01.2025 წ.)
7. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები
8. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ვიზუალური დათვალიერების შედეგები
9. დაწესებულების ვებ გვერდი https://tbeli.ge/ge/biblioteka

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები -

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შენობის უსაფრთხოების დასკვნა, რომელიც გაცემულია 2019 წელს (შპს „სინუსის“ ს/კ 245595930). დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა ითვალისწინებს სტრუქტურულ ერთეულს შრომის უსაფრთხოების განყოფილება, რომლის კომპეტენციაშიც შედის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში პერსონალისა და სტუდენტების სწავლებას/ინსტრუქტაჟს. დაწესებულების ყველა ფართი აღჭურვილია ცეცხლმაქრებით, შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომლებიც შეთანხმებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. მიუხედავად აღნიშნულისა, დაწესებულების არ აქვს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე. მის მიერ წარმოდგენილი იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, გეგმით განსაზღვრული ამოცანების ნაწილი შესრულებულია. შეძენილია ინვენტარი, რომელიც დამონტაჟდება, რის შემდეგ განხორციელდება მისი შეფასება შესაბამისი უწყების მიერ.

2023 წლის 21-23 ივნისს, პსდ ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, დაწესებულებაში განხორციელდა მონიტორინგი (საფუძველი: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 7 ივნისის ბრძანება N654047). ექსპერტთა მიერ 5.1.2.1 ინდიკატორი შეფასდა, როგორც ხარვეზი. ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ, რომ ვიზიტის პერიოდისთვის დაწესებულებას აქვს მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის თაობაზე და განხორციელების ვადებთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებას შესაბამის სამსახურთან. მონიტორინგის ვიზიტისთვის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. შესაბამისად, ინდიკატორი ექსპერტთა მხრიდან შეფასდა როგორც ‘’არ შეესაბამება’.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადის თვითშეფასებაში, ინდიკატორი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“. თვითშეფასებასთან ერთად გადმოგზავნილია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ, ბრძ. #02-05-04/02), სადაც კონკრეტული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა დაწესებულებას გაწერილი აქვს 18 თვიანი პერიოდით (2025 წლის მაისი - 2026 წლის ნოემბერი).

არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმის 5.1.2.1 შეფასება დარჩა უცვლელი და შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.

<u>შესაბამისობის რეკომენდაცია:</u>
დაწესებულებამ უზრუნველყოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა და მისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით (შესაბამისობის გეგმით განსზღვრული პერიოდი: 2025 წლის მაისი-2026 წლის ნოემბერი).

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები - დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (დამტკიცებული რექტორის 2023 წლის 6 მარტის № 01-03/2 ბრძანებით). დაწესებულებას ჰყავს როგორც ექიმი, ასევე ექთანი, რომელთა კვალიფიკაცია დადასტურდა პირადი საქმეში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დოკუმენტების საფუძველზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით (სამედიცინო კარადა, ტახტი, სამუშაო მაგიდა პერსონალისთვის), პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი საშუალებები. კაბინეტს აქვს ონკანი და ნიჟარა. პერსონალი აწარმოებს პირველადი დახმარების აღმოჩენის ჟურნალს. დასაქმებულები და სტუდენტები ინფორმირებულები არიან სამედიცინო კაბინეტისთვის მიმართვისა და მისი ადგილმდებარეობის შესახებ, იციან საჭიროების შემთხვევაში, როგორ უნდა ისარგებლონ პირველადი დახმარებით. ამასთან დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი (112). **ინდიკატორის 5.1.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (2023 წლის 7 ივლისის MIA 6 23 01953693 წერილი) შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელშიც იდენტიფიცირებული აქვს რისკები და შემუშავებული აქვს მათი მართვის მექანიზმი. ჰყავს დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების შტაბი მუდმივმოქმედი წევრებით. დოკუმენტი არეგულირებს საგანგებო სიტუაციების დროს განსახორციელებელი ქმედებების თანმიმდევრულობას, ასევე საევაკუაციო გეგმით სარგებლობის წესს. **ინდიკატორის 5.1.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას - დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრებზე დამონტაჟებულია ვიდეოთვალები და მიმდინარეობს 24 საათიანი ვიდეო მონიტორინგი. ვიდეო მონიტორინგის მსვლელობის თაობაზე დაწესებულებას გამოკრული აქვს გამაფრთხილებელი ნიშნები. დაწესებულებამ წარმოადგინა შრომითი ხელშეკრულებები დაცვასთან, განსაზღვრული ჰყავს ვიდეოკონტროლის „ცოცხალ“ რეჟიმში ნახვისა და ჩანაწერების ნახვაზე უფლებამოსილი პირები. ვიდეოთვალების გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიდეოთვალებს აქვთ ჩანაწერების შენახვის ფუნქცია. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვის სხვა მექანიზმები და წესები დაწესებულებას გაწერილი აქვს შინაგანაწესსა და ეთიკის კოდექსში. **ინდიკატორის 5.1.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შენობის უსაფრთხოების შესახებ საექსპერტო დასკვნა;
2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
3. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კორესპონდენცია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ (MIA 6 23 01953693 07/07/2023)
4. პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია.
5. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი;
6. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
7. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების დათვალიერების შედეგები;
8. ხელშეკრულებები დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან;
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები (09.12.2021 წ. #01-03/29 ბრძანება)
10. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები (27.12.2018 წ. № 01-03/20 ბრძანება)
11. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტი (ბრძ. #2-05-04/01, 25.01.2025 წ.)
12. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების დოკუმენტი
13. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ, ბრძ. #02-05-04/02),
14. (ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' შინაგანაწესი (16.11. 2021 წ. №01-03/25 ბრძანება)
15. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები
16. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ვიზუალური დათვალიერების შედეგები

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს - ვიზიტის დროს შემოწმდა პსდ-ს ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე, სადაც განთავსებულია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილია საკმარისი რაოდენობისა და პარამეტრების კომპიუტერების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და პერიფერიული მოწყობილობებით. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სულ გამოყოფილია 36 კომპიუტერი, ხოლო ადმინისტრაციული საქმიანობისთვის 9. საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკითაა აღჭურვილი ბიბლიოთეკის შენობა (14 სამუშაო ადგილი მკითხველისთვის, შესაბამისი პერიფერიული მოწყობილობებით). დაწესებულების მთელ შენობაში შესაძლებელია უსადენო წვდომა ინტერნეტთან. წარმოდგენილია ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება პასუხისმგებელია კომპიუტერული ტექნიკის გამართულად ფუნქციონირებაზე, სტრუქტურით გათვალისწინებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება, შემუშავებულია განყოფილების დებულება (29.01. 2019 წ. № 01-03/11 ბრძანება), რომელიც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის ეფექტურად მართვის საკითხებს. <u>**ინდიკატორის 5.2.1.1 მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.**</u>

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას - IT რისკების დაზღვევაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება (საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების დებულება, დამტკიცებული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2019 წლის 29 იანვრის № 01-03/11 ბრძანებით). განყოფილების ფუნქციებია უნივერსიტეტის საერთო კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისაგან გაწმენდა. კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი. დაწესებულების მიერ შემუშავებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების მართვის პოლიტიკის“ (დამტკიცებული ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ 2019 წლის 30 იანვრის № 01-03/16 ბრძანებით) შესაბამისად, დაწესებულებაში ქსელური მომსახურებების გამოყენება, ქსელთან დაკავშირება და საინფორმაციო სისტემების მოხმარება ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით.

უნივერსიტეტის ქსელის მართვაში იყენებს ქსელის მონიტორინგის სისტემებს, ქსელისა და სისტემების უსაფრთხოების მართვის სისტემას, რომელიც მოიცავს ანტივირუსს, აპლიკაციების კონტროლს (არასაჭირო და საფრთხის შემცველი აპლიკაციების დაბლოკვა), ასევე ვებფილტრს, რომლითაც ხდება „18+“ და სხვა გასართობი კონტენტის შემცველი ვებ გვერდების შეზღუდვა. კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების პერიოდულ მონიტორინგს, ინციდენტების შეგროვებას, მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავებას და უნივერსიტეტის რექტორთან შესაბამისი ანგარიშების წარდგენას. კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილება ახორციელებს კონტროლს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დატაცების ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად. ადამიანური ფაქტორის რისკის შესამცირებლად (მექანიკური შეცდომა, უფლება-მოვალეობების პირადი ინტერესების შესაბამისად გამოყენება, სისტემებზე წვდომის ბოროტად გამოყენება, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევა, ინფრასტრუქტურის დაზიანება და ა.შ.) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თანამშრომელთათვის საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას. კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილება უნივერსიტეტში დანერგილი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების სწორი და უსაფრთხო სარგებლობის მიზნით უზრუნველყოფენ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას და ინსტრუქციების ხელმისაწვდომობას განმახორციელებლებთან და სტუდენტთათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის 5.2.1.2** <u>**მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.**</u>

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას - ამ მიზნით დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი და დაცვის მექანიზმები (ბრძ. #01-03/26, 08.12.2021წ., ცვლილება განხორციელებულია ბრძ.#-1-03/2 -6.03.2023 წ.). დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემები, მათი დამუშავებისა და მართვის მექანიზმები, მ.შ. ვიდეო კონტროლთან დაკავშირებით. დოკუმენტით გათვალისწინებულია ასევე არასრულწლოვანი პირის პერსონალური მონაცემების დამუშავების თავისებურებები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ თანხმობის ფურცელი, რომლითაც ხდება მონაცემების დამუშავების შესახებ პირის ინფორმირება და თანხმობის დადასტურება. სასურველია დაწესებულება თანხმობის ფურცელში, სრულად მოახდინოს იმ ინფორმაციის იდენტიფიცირება და შესაბამისად თანხმობის მიღება ან პირიქით, რომლის დამუშავებაც შესაძლებელია მოუწიოს, მაგ. <u>ექსტრაკურიკულური აქტივობების დროს ფოტო-ვიდეო მასალის გადაღებისა და ვებ. გვერდზე/სოც. ქსელში განთავსების ნებართვის თაობაზე, ასევე დაწესებულების ტერიტორიაზე ვიდეო მონიტორინგის განხორციელების შესახებ ან სხვა.</u>

თანხმობის ფურცლები გაფორმებულია როგორც სტუდენტებთან, ისე პერსონალთან, თუმცა წარმოდგენილი აქტიური პროფესიული სტუდენტების პირად საქმეებში, ყველგან არაა განთავსებული დოკუმენტი. თანხმობის ფურცლები განთავსებული იყო მხოლოდ 2024 წელს მიღებულ პირებთან. ასევე, პირად საქმეებში წარმოდგენილი, დაწესებულების მიერ გამოცემულ აქტებში მითითებულია სხვა პირთა პერსონალური მონაცემები დაშიფვრის გარეშე (იხ. 5.2.2.1 ინდიკატორის აღწერა). დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ თანხმობის გაფორმება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წერილობითი ან სხვა ფორმით, ყველა პირთან, ასევე გამოცემული აქტების ასლებში დაიშიფროს სხვა პირების პერსონალური მონაცემები, ან გამოიცეს ინდივიდუალური აქტები, ან მომზადდეს ამონაწერები ბრძანებიდან კონკრეტული პირის ინფორმაციის მითითებით.

პერსონალური მონაცემების დამუშავების საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების მიერ, გადამზადდა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი (პოზიციაზე დანიშვნის ბრძანება #01-05-2, 01.05.2025 წ.), რომელსაც შეთავსებით დაეკისრა პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის მოვალეობის შესრულება (ბრძ. #01-03/09, 12.06.2025). დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, ინფორმაცია, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (10 დღე), მიეწოდება პერსონალური მონაცემების სამსახურს, შესაბამის გვერდზე განთავსების მიზნით. **ინდიკატორის 5.2.1.3 <u>მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.</u>**

განმავითარებელი რეკომენდაცია:
დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ თანხმობის დადასტურება, ყველა იმ პირთან, რომელთა მონაცემების დამუშავების ალბათობაც არსებობს. ამასთან უზრუნველყოს თანხმობის ფურცელში ყველა იმ მონაცემის განსაზღვრა, რომლის დამუშავებასაც ახდენს ასევე, პირად საქმეებში განთავსდეს დოკუმენტების ისეთი ასლები, სადაც არ იქნება სხვა პირთა პერსონალური მონაცემები მითითებული.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას - უნივერისტეტში შეფასების სისტემის ოპტიმიზაციისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით დანერგილია და ფუნქციონირებს ელექტრონული ტესტირების სისტემა. ელექტრონული ტესტირების სისტემა უზრუნველყოფს სტანდარტული პროცედურების გამარტივებასა და გაუმჯობესებას. ელექტრონული სერვისების ტესტირება ეხმარება დაწესებულებას უკეთესი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევაში. გარდა ამისა, დაწესებულებაში მოქმედებს საინფორმაციო ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმი, კერძოდ ახალი ელექტრონული სისტემების დანერგვა ან არსებულის შესაძლებლობების განვითარება ხდება სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მოთხოვნებისა და ბაზარზე ინოვაციური სისტემების დანერგვის საფუძველზე.

IT მომსახურებისთვის შექმნილია საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება, შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია შესაბამისი კომპეტენციის პირთან, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობას, მათ პერიოდულ მონიტორინგს, კონტროლს და შეკეთებას.

შესაბამისად, დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას კითხვარებით და ინდიკატორის 5.2.1.4-ის <u>მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.</u>

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება - უნივერსიტეტს აქვს ადმინისტრაციული და სასწავლო დანიშნულებით კომპიუტერული ტექნიკა, რომლებსაც აქვთ ინდივიდუალური წვდომა ინტერნეტზე. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს/თანამშრომლებს შეუძლიათ დახმარებისთვის მიმართონ ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებას. კომპიუტერული ტექნიკა ასევე განთავსებულია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედაია

გამოყენებაც შეუძლიათ სტუდენტებს. კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესებს დაწესებულება განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების მართვის პოლიტიკის საფუძველზე. ამგვარად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება და **ინდიკატორი 5.2.1.5 მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.**

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით - დაწესებულების პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდებს. პერსონალთან და სტუდენტებთან კომუნიკაციისას გამოიყენება ელექტრონული ფოსტების მისამართები. თანამშრომლებთან, სტუდენტებთან კომუნიკაციას დაწესებულება ახორციელებს სატელეფონო საუბრებითაც. როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს სოციალური ქსელებით კომუნიკაცია, რაც ყველაზე მეტად კომფორტული და მოსახერხებელია სტუდენტებისთვის. ამგვარად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს კომუნიკაციის ერთიანი მექანიზმი ელექტრონული ფოსტის სახით და აქტიურად იყენებს მას ინფორმირების მიზნით, თუმცა სტუდენტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს სოციალური ქსელით კომუნიკაცია.
ინდიკატორის 5.2.1.6 მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი და დაცვის მექანიზმები (ბრძანება #01-03/26, 08.12.2021);
2. პერსონალის და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებში განთავსებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ თანხმობის ფურცლები
3. ბრძანება #01-03/09 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსზე დამატებითი ფუნქციის დაკისრების თაობაზე“ (12.06.20250
4. შპს „სერვ.ჯი“-სთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება დომენისა და ჰოსტინგის შექმნის შესახებ (04.10.2018)
5. შპს „კავკასუს ონლაინის“ წერილი დომენის რეგისტრაციის შესახებ (08.10.2018)
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტი (ბრძ. #2-05-04/01, 25.01.2025 წ.)
7. (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების მართვის პოლიტიკა (30.01.2019 წ. № 01-03/16 ბრძანება)
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების დებულება (29.01.2019 წ. № 01-03/11 ბრძანება).
9. ა(ა)იპ ,,წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის'' ვებ გვერდი https://www.tbeli.ge/
10. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის იტ სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი (29.12.2023 წ. №01-03/17 ბრძანება), რომლითაც დაწესებულებას გაწერილი აქვს უნივერსიტეტში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემა, ასევე საქმეთა ნომენკლატურა, რომლითაც განსაზღვრულია პსდ-ს დოკუმენტების/საქმეთა შენახვის ვადები. შემუშავებული შიდა რეგულაციით გაწერილია დაწესებულებაში კორესპონდენციის მართვის (მიღება, მომზადება, დამუშავება-გაფორმება) და აღრიცხვის წესები. ასევე იდენტიფიცირებულია დაწესებულებაში მოქმედი (შემოსული, გასული, შემუშავებული) დოკუმენტების სახეები და ინდექსაციის და დოკუმენტების შენახვის წესები. საქმისწარმოების წესი მოიცავს ასევე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მართვის წესს.

დაწესებულების საქმისწარმოების წესი მიზნად ისახავს დოკუმენტბრუნვის სისტემატიზაციას. ასევე, საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას. საქმისწარმოების წესის დაცვა ევალება უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის კანცელარია. ამავე წესის მე-7 მუხლით დაწესებულებას გაწერილი აქვს დოკუმენტის შესრულების/რეაგირების ვადები, რომელიც არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან.

ვიზიტის ფარგლებში ადგილზე შემოწმდა საქმისწარმოების წესის მიხედვით შემუშავებული აღრიცხული დოკუმენტაცია, მათ შორის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების, ასევე შესრულებული კორესპონდენციები, რომლებიც შესაბამისობაშია უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტთან. საქმისწარმოების წესი არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან.

ვიზიტის ფარგლებში განხილული იქნა დაწესებულების მიერ წარმოებული დოკუმენტაცია. კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ გამოცემული ბრძანებები (ძირითადი საქმიანობის, საკადრო) ფორმირებულია ცალკე საქმეებად. საკადრო საქმისწარმოებასთან დაკავშირებით გამოცემულ ბრძანებებში არის რისკი პერსონალური მონაცემების გამჟღავნების, რადგან დოკუმენტის ტექსტი ხშირ შემთხვევაში ერთდროულად ეხება რამდენიმე პირს, ხოლო დოკუმენტის ასლი დაშიფვრის გარეშეა პირად საქმეში წარმოდგენილი. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფიქსირდა რამდენიმე გარემოება, რომ გამოცემული აქტების/ბრძანებების საკონსტატაციო ნაწილში მითითებული საფუძვლები (შიდა ნორმატიული აქტის პუნქტები) არ შეესაბამებოდა განკარგულებით ნაწილში ტექსტს. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ბრძანებების ინდივიდუალურად გამოცემა ან გამოცემული დოკუმენტების ასლებში დაიშიფროს ინფორმაცია, ან მომზადდეს ამონაწერი. ასევე დაინერგოს ბრძანებების პროექტების კონტროლი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დოკუმენტის საკონსტატაციო და განკარგულებითი ნაწილების თანხვედრა. ექსპერტების მიერ განხილული იქნა სასწავლო პროცესში შექმნილი დოკუმენტაცია, გამოიკვეთა რომ, ხშირ შემთხვევაში დოკუმენტაცია (ანგარიშები, დასკვნები და სხვა) არაა ხელმოწერილი ავტორის მიერ და არ მოიცავს დოკუმენტის მომზადების თარიღს. ასევე დაფიქსირდა გარემოება, რომ ყველა უწყისი არაა იდენტიფიცრებული/რეგისტრირებული ჟურნალში, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს უწყისი რეგისტრაცია/იდენტიფიცირება მის გაცემამდე.

კონტროლი განხორციელდეს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სხვადასხვა პროცესების ანგარიშების/დასკვნების დოკუმენტებზე განთავსდეს დოკუმენტის ავტორის შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტის მომზადების თარიღი.
შესაწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ინდიკატორის 5.2.2.1 <u>მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.</u>

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ბრძანებების ინდივიდუალურად გამოცემა ან გამოცემული დოკუმენტების ასლებში დაიშიფროს ინფორმაცია, ან მომზადდეს ამონაწერი. ასევე დაინერგოს ბრძანებების პროექტების კონტროლი და ბრძანების სამართლებრივი საფუძვლები მოარგოს ინდივიდუალურ შემთხვევას, შეცვალოს შაბლონური ტექსტი სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკიდან გამომდინარე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დოკუმენტის საკონსტატაციო და განკარგულებითი ნაწილების თანხვედრა. ასევე კონტროლი განხორციელდეს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სხვადასხვა პროცესების ანგარიშების/დასკვნების დოკუმენტებზე განთავსდეს დოკუმენტის ავტორის შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტის მომზადების თარიღი. ასევე გაკონტროლდეს უწყისების რეგისტრაციის პროცესი.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის -
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა დაწესებულებაში მოქმედი ელექტრონული საქმისწარმოების პორტალი eDocument, რომლიც დაწესებულებას შესყიდული აქვს ორი მომხმარებლისთვის და იყენებს მხოლოდ შემოსული და გასული კორესპონდენციისთვის. ელსაქმისწარმოების სისტემაში უნივერსიტეტი არის ახალი ჩართული, შესაბამისად იმპლემენტაციის პროცესშია. თანამშრომლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულება გეგმავს მომხმარებლების დამატებას და საქმისწარმოების ელ სისტემაში გადატანას. სასურველია დაწესებულება განკარგულებით დოკუმენტებს ქმნიდეს ელსაქმისწარმოების პორტალზე ან/და გამოცემული აქტები იტვირთებოდეს სისტემაში.

გარდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა, პროგრამული უზრუნველყოფა "ორისი" გამოიყენება ბუღალტრული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებას დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის იყენებს სოციალური ქსელებს, ვებ გვერდს, ელ-კატალოგებს (ბიბლიოთეკისთვის), ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის მართვაში ეფექტურად იყენებს MS Office-ს, Google-ის და „Zoom" პლატფორმებს. **ინდიკატორის 5.2.2.2 მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი რეკომენდაცია:

სასურველია, დაწესებულებამ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა გამოიყენოს არა მხოლოდ შემოსული და გასული კორესპონდენციებისთვის, არამედ სხვა ოფიციალური დოკუმენტების მომზადებისთვისაც (მაგალითად ბრძანებების, განცხადებები, ცნობების და სხვა), რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის სანდოობასა და სამართლებრივი დოკუმენტების ფორმის დაცულობას.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას - დაწესებულების შიდა რეგულაციით რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელია კანცელარია, რისთვისაც რეესტრის წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანა-განახლებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების გვერდი, რეესტრში ასახული ინფორმაციის სისრულე. რეესტრში ასახულია დაწესებულების მატერიალური-ტექნიკური ბაზის, პერსონალის (ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები), პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილია. ასევე ფაქტობრივად სრულყოფილადაა ინფორმაცია კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით, სავალდებულო ინფორმაციასთან ერთად ატვირთულია პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. ზოგიერთ კურსდამთავრებულთან დიპლომთან ერთად არ იყო ატვირთული დანართი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შემოწმების ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი პროფესიული განათლების მასწავლებლის შესახებ არ არის სრულყოფილი ინფორმაცია ასახული. რაზეც რეესტრზე პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა, რომ ახლად აყვანილი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების პორტალზე შეყვანა მიმდინარეობდა აქტიურ რეჟიმში და ვიზიტის დროს არ იყო დასრულებული. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, რეესტრის სრულყოფილად შევსებისა და ინფორმაციის მართვის ეფექტურობის მიზნით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია: მიუხედავად იმისა, რომ დიპლომის დანართის ფორმით არ ხდება კონკრეტული პირის/მფლობელის იდენტიფიცირება, უზრუნველყოფილი იყოს დიპლომის ასლთან ერთად დანართის ასლების ატვირთვა. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების გვერდის შემოწმების საფუძველზე **5.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.**

განმავითარებელი რეკომენდაცია:

დაწესებულების პასუხისმგებელი პირის მიერ, განხორციელდეს პერიოდული რევიზია, ბაზაში ასახული ინფორმაციის სისრულისა და აქტუალობის თვალსაზრისით. სრულყოფილად იქნეს მითითებული პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავლილი ტრენინგების შესახებ ინფორმაცია. კურსდამთავრებულებთან, დიპლომის ელექტრონულ ასლებთან ერთად აიტვირთოს დოკუმენტის დანართიც.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან - დაწესებულებაში მოქმედებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შემოსული და შესრულებული დოკუმენტების ოპერატიულ დოკუმენტბრუნვას. ვიზიტის დროს გადამოწმდა პსდ-ს მიერ მაკონტროლებელ უწყებასთან განხორციელებული უკუკავშირის შესახებ მტკიცებულებები. წარმოდგენილი მტკიცებულებებით, დასტურდება, რომ განსაზღვრულ ვადებში, აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებსა და უკუკავშირს სამეთვალყურეო საბჭოს, დამფუძნებლებს, კონტროლის განმახორციელებელ სხვადასხვა უწყებებსა და დაინტერესებულ პირებს. **5.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესი (29.12.2023, №01-03/17 ბრძანება)
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის 2025 წლის საქმეთა ნომენკლატურა
3. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების გვერდის ვიზუალური დათვალიერების შედეგები
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის ვიზუალური შემოწმების შედეგები
5. ელექტრონული სისტემის მომსახურების ხელშეკრულება
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მაკონტროლებელ ორგანოებთან გაგზავნილი კორესპონდენცია;
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია, აღრიცხვის ჟურნალები და მათი შემოწმების შედეგები;
8. ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან გასაუბრების შედეგები

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს - დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ გვერდი (https://www.tbeli.ge/) და სოციალური ქსელის ანგარიში (https://www.facebook.com/profile.php?id=100057412451775). ორივე შემთხვევაში დაწესებულებას მითითებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკომუნიკაციო რეკვიზიტები (საკონტაქტო ტელეფონი, ელ ფოსტა). დაწესებულების ვებ და „ფეისბუქ“ გვერდები ასრულებენ საინფორმაციო ფუნქციას. დაწესებულება გონივრულ ვადაში განათავსებს სიახლეებს საინფორმაციო პლატფორმებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. მიმდინარე სიახლეები ძირითადად თავსდება სოციალურ ქსელში. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა ჰოსტინგისა და დომენის მომსახურების ხელშეკრულება, წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს არ შექმნია პრობლემა ოფიციალური ვებ გვერდით სარგებლობაში. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ვებ გვერდი ხელმისაწვდომია მათთვის და არ ექმნებათ პრობლემა მის გახსნაში/საჭირო ინფორმაციის მოძიებაში. ვებ გვერდის გამართულად ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, სიახლეების განთავსებასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. **ინდიკატორი 5.2.3.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას - აღნიშნული ინდიკატორი არ ვრცელდება პსდ-ს საქმიანობაზე, მისია პროფესიული განათლების ესახებ არ მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებს, ასევე პროფესიული პროგრამები ხორციელდება მხოლოდ ქართულ ენაზე, თუმცა ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკით დაწესებულებს განსაზღვრული აქვს ვებ გვერდზე ორ ენაზე ინფორმაციის განთავსების ვალდებულება. მიმდინარე ეტაპისთვის ვებ გვერდზე ძირითადი რუბრიკები/სათაურებია ინგლისურ ენაზე თარგმნილი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მიერ ინდიკატორის შეფასდა დადებითად - ინდიკატორი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტს.
ინდიკატორის 5.2.3.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას - დაწესებულებაში ფუნქციონირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებასთან, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციასა და დაწესებულების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე. „საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულებით“ (30.01.2019 წ. №01-03/14 ბრძანება) სამსახურის ფუნქციას წარმოადგენს უნივერსიტეტის სახელით ოფიციალური მიმართვებისა და განცხადებების გამოქვეყნების ორგანიზება, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მართვა-განვითარება, პრესკონფერენციების, ბრიფინგების და ინტერვიუების ორგანიზება, პრეს-რელიზებისა და საინფორმაციო მასალების მომზადება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამსახური პასუხისმგებელია ასევე ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ უნივერსიტეტში შემოტანილ კორესპონდენციაზე მოამზადოს საპასუხო წერილები..

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა დაწესებულების მიერ ვებ გვერდსა და სოციალური ქსელში განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. განთავსებული ინფორმაცია სანდოა და ატ არის შეცდომაში შემყვანი. აღნიშნულიდან **გამომდინარე, ინდიკატორის 5.2.3.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ - დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ძირითად ინფორმაციას: პროგრამების დასახელებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ასათვისებელი კრედიტებისა და განხორციელების პერიოდის შესახებ ინფორმაციას, პროგრამის მიზნებს, განხორციელების ადგილს და სხვა სპეციფიკურ ინფორმაციას პროგრამებთან დაკავშირებით. თუმცა სასურველია კატალოგშია სახოს საუნივერსიტეტო და სტუდენტური ცხოვრების ფოტო-მასალა, ასევე ის სერვისები რასაც სთავაზობს პოტენციურ სტუდენტებს, რაც უფრო მრავალფეროვანს გახდის კატალოგს, ხოლო დაინტერესებულ მხარეთათვის მარტივად აღქმადს და საინტერესოს. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის 5.2.3.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

განმავითარებელი რეკომენდაცია:
_სასურველია, დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი გაამდიდროს ის/სტუდენტური ცხოვრების ამსახველი ფოტო მასალით, ასევე განთავსდეს დაწესებულების მისია, ხედვა, ძირითადი მიზნები და სერვისების შესახებ ინფორმაცია, რათა გახდეს უფრო მრავალფეროვანი და დაინტერესებულ მხარეთათვის საინტერსო და მარტივად აღქმადი.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად - კატალოგი ახლდება ყოველი წლის ბოლოს, ასევე ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შესაბამისად. ვებ გვერდზე განთავსებულია 2025 წლის კატალოგი. **ინდიკატორის 5.2.3.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად - დაწესებულების ვებ და სოციალური გვერდებზე დაინტერესებულ პირებს, მათ შორის სტუდენტებს და დასაქმებულებს აქვთ უკუკავშირის გაკეთების შესაძლებლობა. ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ვებ და სოციალური ქსელის გვერდზე შემოსულ შეტყობინებებს/უკუკავშირს დაწესებულება იყენებს გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის. ვებ და სოციალურ გვერდებზე შემოსულ შეტყობინებებზე/უკუკავშირზე შესაბამისი რეაგირება განსაზღვრული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დებულებით. **ინდიკატორის 5.2.3.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება (30.01.2019 წ. № 01-03/14 ბრძანება)
2. შპს „სერვ.ჯი“-სთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება დომენისა და ჰოსტინგის შექმნის შესახებ (04.10.2018)
3. შპს „კავკასუს ონლაინის“ წერილი დომენის რეგისტრაციის შესახებ (08.10.2018)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი https://tbeli.ge/ge/home ; https://tbeli.ge/en/home
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2025 წლის კატალოგი
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ და სოციალური ქსელის გვერდების შემოწმების შედეგები
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
   დაწესებულების ფინანსური საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დაწესებულების ძირითადი შემოსავალია, პროფესიული სტუდენტების სწავლის საფასური (ვაუჩერი) და საპატრიარქოს მიერ გაწეული დაფინანსება. ასევე, დაფინანსების წყაროს წარმოადგენს, სხვადასხვა კომპანიების მიერ გაწეული დახმარება/შემოწირულობები.

   ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე. კერძოდ, დაწესებულება იღებს საბიუჯეტო, ვაუჩერულ დაფინანსებას. გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, პსდ-ს სტრატეგიული ამოცანების შესრულება უზრუნველყოფილია სქართველოს საპატრიარქოს მიერ. პსდ-ს მეთოდოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებით სამოქმედო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმების შესრულებისთვის ფინანსური უზრუნველყოფის გეგმას/ბიუჯეტს ამტკიცებს დაწესებულების აკადემიური საბჭო (იხ. ინდიკატორის 1.2.1 (3) აღწერა).

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი გათვალისწინებულია კონკრეტული ამოცანებისთვის განკუთვნილი მუხლების ფარგლებში, ან რესურსი შესრულებისთვის მიემართება მუხლიდან - „სხვა ხარჯები“.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. ინდიკატორის 5.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით - საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია სსიპ საქართველოს საპატრიარქოს და სახელმწიფო დაფინანსებით. ხარჯები მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური გადასახადების, ისე მომსახურების, შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა დაწესებულების ფინანსური და სხვადასხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ დოკუმენტაცია. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო სასწავლო უნივერსიტეტის 2025 წლის დაფინანსების განაწილების გეგმა, რომლის თანახმად, დაწესებულების ფინანსური რესურსის 77% ეთმობა სახელფასო ანაზღაურებას, ხოლო დანარჩენი რესურსი ნაწილდება სტუდენტების კვებაზე ≈2.8%, ხოლო ≈1.4% სამედიცინო, ≈0.4% სადეზინფექციო-ჰიგიენურ საშუალებებზე, ≈1.9 სატრანსპორტო მომსახურებაზე, ≈3.3% ინვენტარზე, ≈4.7% საკანცელარიო-საკომუნიკაციო და 9% სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე გასაწევ ხარჯებს.

   წარმოდგენილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საპროგნოზო და კორექტირებული ბიუჯეტები. ასევე, 2022-2025 წლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარჯების: შრომის ანაზღაურება, სამეურნეო, პერსონალის განვითარების, სტუდენტური სერვისებისა და პრაქტიკული კომპონენტისა და საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისთვის გაწეული ხარჯების დინამიკა. ხარჯების რაოდენობა წლიდან-წლამდე მზარდია, რაც განპირობებულია ერთის მხრივ საბაზრო პირობებით, ხოლო მეორე მხრივ გაზრდილი მოთხოვნებით.

   შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. ინდიკატორის 5.3.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას - კონკორდატის, სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის არსებული საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, დაწესებულებას ფინანსურ საკითხებში ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოსთან. ასევე დაწესებულების უფლებამოსილება, მათ შორის დელეგირების ნაწილში, არ მოიცავს ხარჯვით საკითხებთან დაკავშირებით აუდიტის ჩატარების ვალდებულებას. დაწესებულება სრულად დამოკიდებულია საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებებზე. ფინანსურ ანგარიშს, დაწესებულება, ყოველი წლის ბოლოს, წარუდგენს საქართველოს საპატრიარქოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა (ბრძანება № 01-03/18, 01.02.2019), რომელიც აღნიშნული საკითხების შიდა კონტროლის ძირითადი მექანიზმია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გრძელვადიან პერსპექტივაში, ეფექტური ფინანსური დაგეგმვა-კონტროლი და დაწესებულების ძირითადი მიზნების, დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანად შესრულება. მათ შორის უზრუნველყოს ზოგადად დაწესებულებისა და მისი ფინანსური რესურსების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება. კონტროლის სისტემა თავის მხრივ მოიცავს ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვას, რისკების იდენტიფიცირებას და მათ მართვას. ფინანსურ მართვასა და კონტროლის გამართულად ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების რექტორს, ხოლო პროცესის განმახორციელებელია ფინანსური სამსახური. თუმცა დაწესებულების სტრუქტურული სქემით, ასეთი სამსახური არაა. 2021 წლის ნოემბრის #01-03/24ა ბრძანებით, დამტკიცებულ სქემაში წარმოდგენილია სტრუქტურული ერთეული „ბუღალტერია“. სტრუქტურული ერთეულის პერსონალთან გასაუბრებით, დასტურდება რომ წესში განსაზღვრულ ფინანსურ მართვასა და კონტროლთან, მათ შორის ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებს აღნიშნული ერთეული.

დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება, რომ ახდენს განხორციელებული პროგრამების/პროექტების ფინანსურ ანალიზს. ასევე აწარმოებს როგორც დაფინანსების, ისე ხარჯვის დინამიკის ანალიზს (იხ. ასევე 5.3.1 (2) ინდიკატორის აღწერა ზემოთ) შემდგომი რეაგირებისა და ანგარიშგების მიზნით.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას. ინდიკატორის 5.3.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე - დაწესებულება ახორციელებს დაფინანსებისა და ხარჯვის დინამიკის ანალიზს. დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკით, წლის ბოლოს კეთდება მომავალი წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის დროსაც ითვალისწინებს ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებს, ახდენს მომდევნო წლის/წლების ფინანსური გეგმების კორექტირებასა და სამოქმედო გეგმების ფორმირებას. დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების გათვალისწინებით, ანგარიშგებას ახდენს როგორც დამფუძნებელთან, საქართველოს საპატრიარქოსთან, ისე მაკონტროლებელ ორგანოებთან. დაინტერესებული მხარეებისთვის, სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშები, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე.

ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების პერსონალთან გასაუბრება, განხილული იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დაფინანსების, ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკა, წყაროები, **შესაბამისად, დადგინდა, რომ დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. ინდიკატორის 5.3.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის 2025 წლის დაფინანსების განაწილება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარჯების დინამიკა (2022-2025 წწ);
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტის საფინანსო განყოფილების ხელმძღვანელის განმარტება ფინანსურ აუდიტთან დაკავშირებით;
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტის სამოქმედო გეგმების ანგარიშები;
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტის ვებ-გვერდი https://tbeli.ge/ge/profesiuli/angarishebi
6. „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და შეფასების წესი“ (ბრძანება № 01-03/18, 01.02.2019);
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტის პერსონალსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	**ბუღალტრული აღრიცხვა**
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში/Higher Vocational Qualification in Accounting
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება № 01-03/20ბ, 28.09.2022
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ა. რ. შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები („ხიჭაური“)
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება

.....

.....

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას -

   საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რომლის თანახმად ქვეყნის/რეგიონის კეთილდღეობისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის დაწესებულება ქმნის პროფესიული განათლების მისაღებ შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს კვალიფიციური პროფესიული კადრის მომზადებას და ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. ასევე, არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიზნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - დაწესებულების სამოქმედო არეალია უმთავრესად აჭარის რეგიონი, მათ შორის ზემო აჭარა. რეგიონი გამოირჩევა მზარდი ტურისტული პოტენციალი. მრავლადაა და უფრო იმატებს ინდივიდუალურ, მცირე მეწარმეთა თუ სხვა სტატუსის მქონე იურიდიული სუბიექტები, რომელთა საქმიანობა უკავშირდება როგორც ტურისტულ სერვისებს, სარესტორნო თუ სასტუმრო მომსახურებას, ისე სატრანსპორტო გადაზიდვებს და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებებს. ნებისმიერი ბიზნესისთვის აუცილებელია ბუღალტრული მომსახურება, გამომდინარე აქედან, რეგიონში მოთხოვნა ბუღალტრის პროფესიაზე/სპეციალისტებზე აქტუალურია. აღნიშნული დასტურდება ასევე ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებითა და ადგილობრივ, პროფესიული პროგრამის პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვებით.

დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა კონკრეტული სპეციალობის მქონე კვალიფიციური კადრების საჭიროება. გამოკითხვების განხორციელდა სხვადასხვა სექტორისა და სიდიდის სუბიექტებთან, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორების წარმომადგენლებთან (ჯამში 8 სუბიექტი). გამოკითხვებით დადასტურდა, რომ ადგილობრივ ბაზარზე მაღალია მოთხოვნა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მქონე ბუღალტრის სპეციალობაზე. დაწესებულების მიერ, კვლევა ჩატარდა ხულოს, შუახევის, ქედის მუნიციპალიტეტებში, ასევე ქ. ბათუმში არსებული კერძო კომპანიების წარმომადგენლებთან, სადაც უკვე დასაქმებულია უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ კურსდამთავრებულები. დამსაქმებელთა გამოკითხვით, დასტურდება დარგობრივი უნარების ცოდნა, თუმცა აღინიშნა მართლწერისა და მართლმეტყველების, ასევე უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარების სიმწირე/გარკვეული ხარვეზები.

დაწესებულების მიერ განხორციელებულია ასევე კურსდამთავრებულების კვლევა, რითაც გამოიკვეთა, რომ 2017 წლიდან 2025 წლამდე, პროგრამა დაასრულა 18-მა პირმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 12-მა კურსდამთავრებულმა, საიდანაც 10 დასაქმებულია, მათ შორის 8 სპეციალობით (44,4%).

არგუმენტირების დოკუმენტში დაწესებულება აღნიშნავს, რომ ანალოგიური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება აჭარის რეგიონის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, თუმცა მაღალმთიან აჭარაში აღნიშნული პროგრამა არაა.

პროგრამა ხორციელდება სრულად იმიტირებულ გარემოში. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელებისათვის აქვს შესაბამისი რესურსი (მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური, ადამიანური). თუმცა, სხვადასხვა ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ერთობლივი პროექტები და ა.შ.) განხორციელებისა და პროგრამის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დაწესებულებებთან: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ბათუმის „Financial Experts Corporation. დაწესებულების წარმომადგენლებთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ პროგრამის დაგეგმვის პროცესში ჩართული იყვნენ რეგიონის როგორც მუნიციპალიტეტის, ისე მოქმედი ბიზნესის წარმომადგენლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ბუღალტრული აღრიცხვა" დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა „სრული ზოგადი განათლება", რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები, მ.შ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვა (თავის III), განსაზღვრულია დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ აგრეთვე გამოთხოვილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისი დოკუმენტაცია (რეიტინგული სიები, ჩარიცხვის ბრძანებები, პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეები), რაც თავსებადი აღმოჩნდა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ დებულებებთან. პროფესიული სტუდენტები ჩარიცხულები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვისას გათვალისწინებულია შესაბამისი განათლების დონე/საფეხური პროცენტულობის გაანგარიშებით. აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეტანილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის რეესტრში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების" გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი" (27.12.2021 წ. № 01-03/36 ბრძანება). აღნიშნული საკითხის რეგულირდება ასევე „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს 30-ე მუხლით (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება). დაწესებულების სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზღვრული რაოდენობის განსაზღვისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა: სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს; პროგრამის ხანგრძლივობას, განხორციელების სპეციფიკას; რესურსების საკმარისობას და სხვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დასაბუთების მიხედვით, ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 60 პროფესიულ სტუდენტს (ორ ცვლა 15-15 პროფესიული სტუდენტი, 2 ნაკადად), რისთვისაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს შემდეგი სასწავლო გარემო:
- A/B გარემო 16 სამუშაო ადგილით (15 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილი პროფესიული მასწავლებლისთვის). სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და მ.შ. სასწავლო რესურსით.
- A გარემო 21 სამუშაო ადგილით (20 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილი პროფესიული მასწავლებლისთვის)(დეტალური ინფორმაცია იხ. მე-4 ინდიკატორის აღწერასთან). აუდიტორიების გამატრუნარიანობა კვირაში შეადგენს 24 საათს (4 შეხვედრა კვირაში, 6x4=24 საათი თითოეული მოდულის ფარგლებში).

წარმოდგენილი პროგრამისა და მეთოდოლოგიის შესწავლის, საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი გარემოს ვიზუალური შეფასების, დაწესებულების ადმინისტრაციულ და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე "ბუღალტრული აღრიცხვა" მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. დაწესებულებას შეუძლია პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტის მიღება, რაც გულისხმობს ერთი მიღებაზე 30 პროფესიულ სტუდენტს (ორ ცვლაში 15-15 პროფესიული სტუდენტი). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა კვოტას.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა" განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას ახლავს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი (დანართი 4).

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, მ.შ. სასწავლო (პროგრამის მიზნებისთვის 50 ერთეული), მათი არსებობა ბიბლიოთეკაში. დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული რესურსი რელევანტურია, ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული ფორმით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან. სასწავლო რესურსი ასევე წარმოდგენილია პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილ A/B გარემოში. შესაბამისად, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებისას, სასწავლო რესურსზე ხელმისაწვდომობა დაადასტურეს როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა. ვიზუალური დათვალიერებისას დადასტურდა ასევე საჭირო რესურსის ფაქტობრივი არსებობა აუდიტორიებში. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტით (დოკუმენტის დამტკიცების რეკვიზიტები: 25.01.2025, ბრძანება #02-05-04/01) და ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მფლობელობაშია:

- დაფა 3 ცალი
- პროექტორი
- პერსონალური კომპიუტერი - 16 ერთეული
- A/B გარემო, 16 სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი, მ.შ. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის)
- A გარემო, 21 სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი, მ.შ. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის)
- პროგრამული უზრუნველყოფა: ,,ორის-ბუღალტერია“
- ,,ექსელის“ შემსწავლელი ელექტრონული კურსი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა ან/და შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის“ ჩარჩო დოკუმენტის დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - **საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - დაწესებულების დებულების (ბრძანება № 01-03/10, 17.06.2022) თანახმად, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევით და პროფესიულ პროგრამებს და პროგრამაში შესატან ცვლილებებს (მუხლი 6. პ.2 „გ“), ხოლო აკადემიურ საბჭოში თავმჯდომარის სტატუსით შედის უნივერსიტეტის რექტორი (მუხლი 6, პ.1 „დ“). დაწესებულების მიერ წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს ოქმი (#02-01/05. 05.09.2022წ.), სადაც განხილულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და რექტორის მიერ გამოცემული აქტი, საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ (#01-03/20ბ, 28.09.2022 წ.).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „ბუღალტრული აღრიცხვა“ თანხვედრაშია პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ბუღალტრული აღრიცხვა/Accounting“ (სარეგისტრაციო ნომერი 04114-პ) დასახელებასა და სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში). შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს (შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა, აწარმოოს სააღრიცხვო დოკუმენტები, ბუღალტრული ოპერაციები. მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება და დეკლარაციები და ა.შ.) და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - დაწესებულების პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ანალოგიური დასახელების ჩარჩო დოკუმენტი „ბუღალტრული აღრიცხვა/Accounting“ (სარეგისტრაციო ნომერი:04114-პ). განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების წინაპირობა, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები.

პროგრამა მოიცავს ზოგად და სავალდებულო მოდულებს, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები შესაბამისია ჩარჩო დოკუმენტის. პროგრამა მოიცავს 3 ზოგადი მოდულს 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს 88 კრედიტის მოცულობით. პროგრამა ითვალისწინებს მოდულის - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 99 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 129 კრედიტს. პროგრამა მოიცავს ასევე ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია მოდულის განხორციელებასა და სსსმ/შშმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედანია

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ დანართებითურთ (დამტკიცების რეკვიზიტები: № 01-03/20ბ, 28.09.2022);
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი (ბრძანება № 01-03/5, 12.03.2023);
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება (ბრძანება № 01-03/10, 17.06.2022);
4. ბრძანება № 01-03/20ბ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული პროგრამების - „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“, „საექთნო განათლება“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცების თაობაზე“ (28.09.2022);
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს კრების ოქმი (№ 02-01/05, 05.09.2022);
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა (19.03.2021 წ. № 01-03/08 ბრძანება)
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება);
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“ (27.12.2021 წ. № 01-03/36 ბრძანება)
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურთან, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ბათუმის „Financial Experts Corporation“-თან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.
11. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტსა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან გაფორმებული ხელშეკრულება.
12. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტი (25.01.2025, ბრძანება #02-05-04/01)
13. 2023-2024 წლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანებები და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

14. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეებში (ხიჭაური), რომელიც დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში აქვს გადაცემული საქართველოს საპატრიარქოს მიერ 10 წლის ვადით შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 12 741,4 კვ.მ (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 10.12.2021 წ.), ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვიდარია

მოძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 28.05.2025 წ.). დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტებმა შეამოწმეს მატერიალური რესურსის ფაქტობრივი არსებობა და მათი კანონიერ საკუთრებაში ფლობის/განკარგვის დოკუმენტაცია. დაათვალიერეს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ განსაზღვრული მატერიალური რესურსი იხ. 2.1.1 (4) ინდიკატორის აღწერასთან). დაწესებულება გეგმავს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას (ორ ცვლაში). პროგრამისთვის გამოყოფილია ერთი A/B და ერთი A გარემო. საჭიროებისას შესაძლებელია დამატებით B გარემოს/კომპიუტერული კლასის პროგრამის მიზნებისთვის გამოყენება, რომელიც ასევე აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილითა და სადემონსტრაციო საშუალებებით (დაფა, პროექტორი, ეკრანი.) პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს და სწავლება სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე - იმიტირებულ გარემოში (იხ. ასევე 2.1.1 (1) ინდიკატორის აღწერა).

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 17 მასწავლებელი, აქედან 10 პროფესიული დარგობრივი მოდულების, ხოლო 7 ზოგადი მოდულებისა, მ.შ. ქართული ენის მოდულების. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ აღემატება „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ დადგენილ ზღვრულ ნორმას - კვირაში 40 საათს. პროგრამას თან ახლავს დანართი, პროგრამის ადამიანური რესურსი - განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ერთზე მეტი განმახორციელებელი პერსონალი. აღნიშნული ასევე დასტურდება განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობისა და ანალოგიური მოდულის/სასწავლო კურსის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც დაწესებულებაში ორგანიზებული , შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ ტრენინგები, ისე, უნარების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგები. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია, შესაბამისი პროფესიული და აკადემიურ-სამეცნიერო გამოცდილების მქონე პირი/პროგრამის ხელმძღვანელი, განსაზღვრულია ასევე მისი ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. წარმოდგენილი პირადი საქმით დასტურდება შერჩეული პირის დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავების და განხორციელების საორგანიზაციო პროცესებში. პასუხისმგებელია პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე, სასწავლო ცხრილების მონიტორინგზე, საჭირო მატერიალური თუ ადამიანური რესურსის მოძიებასა და მათ განვითარებაზე. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროფესიული მასწავლებლების შერჩევასა და ადაპტაციის პროცესში, ასევე შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედანია

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, მ.შ. საკანონმდებლო აქტები ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსის მოძრაობის/სარგებლობის დამადასტურებელი ჟურნალი.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 25-ე, 30-ე და 31-ე მუხლებით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების ან სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, სასწავლო ფართის, სასწავლო რესურსების ადაპტირება და შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა. ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა (მუხლი 25).

პერსონალის განმარტებით, დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. გადაადგილების ან სხვა მოტორული დარღვევის შემთხვევაში, დაწესებულების დაცვის პერსონალი უზრუნველყოფს მათ დახმარებას გადაადგილებასა და სტრუქტურულ ერთეულთან კომუნიკაციაში. პერსონალთან გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული მიმართულებით დაწესებულებაში ამგვარ პრაქტიკას ადგილი არ ჰქონია, თუმცა არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს შესაძლებლობა ექნებათ წვდომა ჰქონდეთ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუის საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - საგანმანათლებლო პროგრამა ბიუჯეტის მაჩვენებლებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით ფინანსურად მდგრადია, რადგან, პროგრამის ადმინისტრირება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის ვაუჩერული და საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირებისა და საოპერაციო ხარჯებს: პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებას, საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების, ასევე პერსონალის განვითარების და სტუდენტური სერვისების, სხვადასხვა სამეურნეო და საკანცელარიო, საბიბლიოთეკო, სატრანსპორტო მომსახურებისა და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო პროგრამის საპროგნოზო და კორექტირებული ბიუჯეტები. საპროგნოზო ბიუჯეტი დაანგარიშებულია 60 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო კორექტირებული (რეალური) 7 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამების ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარია 1პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების პერსონალის განმარტებით, მისიიდან გამომდინარე, დაწესებულებისთვის პროგრამების განხორციელებას არ აქვს კომერციული მიზანი და საჭიროებისას, სწავლება განხორციელდება ერთი სტუდენტისთვისაც. ამგვარ შემთხვევაში, პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო რესურსს გამოყოფს საქართველოს საპატრიარქო. წარმოდგენილი კორექტირებული ბიუჯეტით, პროგრამის შემოსავლები ასე გამოყურება: <u>ვაუჩერული დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 15 000 ₾, ხოლო საპატრიარქოს დაფინანსება შეადგენს 16 222 ₾.</u>

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ექსპერტთა ბოლო ვიზიტის დროს, ინდიკატორთან დაკავშირებით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, გათვალისწინებული იქნეს მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი ფორსმაჟორული არახელსაყრელი ვითარების ფინანსური გადაზღვევა, რისთვისაც დამატებითი სახსრების გაწევა შეიძლება დასჭირდეს დაწესებულებას (მაგ. დიდთოვლობით ან სხვა მეტეოროლოგიური პირობებით გამო გამოწვეული ხარჯები), დაწესებულების ფინანსურ მართვაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სახის ხარჯები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტის მუხლით „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები“. ბიუჯეტის ანალიზით ირკვევა რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის ფინანსურ მდგრადობას.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუის საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ დანართებითურთ (დამტკიცების რეკვიზიტები: № 01-03/20ბ, 28.09.2022);
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტი (25.01.2025, ბრძანება #02-05-04/01);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო და კორექტირებული ბიუჯეტები;
5. საქართველოს საპატრიარქოს მიერ სხალთის ეპარქიაში არსებული უძრავი ქონების დაწესებულებისთვის თხოვების ხელშეკრულება;
6. საქართველოს საპატრიარქოს მიერ სხალთის ეპარქიაში არსებული მოძრავი ქონების დაწესებულებისთვის თხოვების ხელშეკრულება;
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დანიშვნის თაობაზე დაწესებულების რექტორის ბრძანება (#01-03/2ა, 07.03.2023);
8. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები;
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება)
10. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია აგებულია დემინგის ციკლის გათვალისწინებით. შეფასების მეთოდოლოგია გაწერილია დაწესებულების შემდეგ დოკუმენტებში: „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი“ (ბრძანება № 01-03/5,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

12.03.2023) და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და შეფასება“. აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებენ: მონიტორინგის დაგეგმვას და პროგრამის შეფასებას სხვადასხვა სამიზნე ნიშნულების/ჯგუფების მიმართულებით: სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების და შრომის ბაზრის კვლევა და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, დაწესებულებაში დანერგილია და გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: წინასწარ დადგენილი შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შესაბამისად ყოველწლიური შეფასება; ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე პროფესიული განათლების მასწავლებლების ურთიერთდასწრება, ასევე შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ საკონტაქტო საათებზე დასწრება; აკადემიური/მოწვეული პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო-პედაგოგიური ანგარიშების მომზადება და მონიტორინგი; პროგრამაში ჩართული პირების, დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) ყოველწლიური გამოკითხვა (ბრძანება № 01-03/5, 12.03.2023, მუხლი 4.) .

პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და დაწესებულების ადმინისტრაციას გაცნობიერებული აქვს პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და თავად პროგრამის განხორციელების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების სრული ჩართულობა. მათგან მიღებულ უკუკავშირს, სხვადასხვა გამოკითხვის/კვლევის საფუძველზე შემოსულ წინადადებებს ითვალისწინებს პროგრამის განვითარებისა და განხორციელების გაუმჯობესებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა ასევე, რომ მცირერიცხოვანი ჯგუფებიდან გამომდინარე, უფრო ეფექტურად მიიჩნევს ზეპირ გამოკითხვას/ინტერვიუს პროფესიულ სტუდენტებთან, რასაც ხშირად მიმართავენ. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ ასევე ეფექტურად იყენებენ ურთიერთდასწრების მექანიზმს, რაც როგორც სასწავლო პროცესის, ისე მასწავლებლის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. აქვე აღინიშნა, რომ ურთიერთდასწრების გეგმის დამტკიცების პრაქტიკა არ აქვს დაწესებულებას. ასევე არ ყოფილა, დასწრების/მეცადინეობის ან/და პერსონალის შეფასების მტკიცებულებები (დოკუმენტირებული უკუკავშირი). პერსონალის განმარტებით, მეცადინეობის შემდეგ ხდება ზეპირი განხილვა და უკუკავშირი პერსონალთან.

დაწესებულების მიერ, ასევე წარმოდგენილი იყოს 2024 წლის „სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის კვლევის მეთოდოლოგია“, კვლევის სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული განათლების მოწვეული მასწავლებელი/ინსტრუქტორი, ადმინისტრაციული პერსონალი, ხოლო გარე საჭიროებების დადგენის დროს - დამსაქმებელი, პროფესიული ასოციაციები, შრომის ბაზარი და სხვა. (მუხლი 2. პ.3). დოკუმენტის თანახმად, ნებისმიერი სახის კვლევებს სასწავლო უნივერსიტეტში ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული განათლების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სამსახურთან მჭიდრო კომუნიკაციით. კვლევის პერიოდულობა განისაზღვრება თითოეული ამოცანისთვის ინდივიდუალურად. მაგ. პროფესიული სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ, ან კურსდამთავრებულის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ორ წელიწადში ერთხელ. ამასთან, საჭიროებიდან გამომდინარე, კვლევის სიხშირე შესაძლებელია განისაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული სიხშირით (მუხლი 3); განსაზღვრულია ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების კვლევის პერიოდულობა. კვლევის თემატიკა და კითხვარები მოიცავს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე ინფრასტრუქტურის შეფასებას. კვლევა ხორციელდება, როგორც წერილობითი გამოკითხვებით, ან გასაუბრებით, ელექტრონულად Google პლატფორმის გამოყენებით (მუხლი 2. პ.5).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ განხილული იქნა ასევე „google" პლატფორმის გამოყენებით განხორციელებული გამოკითხვის ანალიზი და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების ფურცლები (08.02.2025) არაც ადასტურებს, რომ **ინდიკატორის 2.3.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>ურთიერთდასწრების ეფექტურად ორგანიზებისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ყველა მოდულის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, ურთიერთდასწრების გეგმა-გრაფიკი წინასწარ იქნეს შემუშავებული და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ დამტკიცებული. ასევე, სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დასწრების შედეგების/შეფასებისა და უკუკავშირის დოკუმენტირება.</u>

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - მოქმედი შიდა რეგულაციებისა და მეთოდოლოგიების თანახმად, რომლებიც ეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების/გაუქმებისა და გაუმჯობესების პროცედურებს, გულისხმობს გამოკითხვის ან/და პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული საჭიროების შემთხვევაში გახორციელდეს შესაბამისი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ან/და მათი განხორციელების პროცესში, განსაზღვრული წესების გათვალისწინებთ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, კვლევების ინსტრუმენტები, ჩატარებული კვლევების შეფასებები, ანალიზი, ვერიფიკაციის ანგარიშები, რაც ასახავს განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფისთვის ჩატარებულ აქტივობებს, მეთოდოლოგიების/შიდა რეგულაციების შესაბამისად.

ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი" (ბრძანება № 01-03/5, 12.03.2023);
2. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და შეფასება"
3. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძანება №02-05-04/01ა, 27.01.2025; ცვლილება: ბრძანება №12-02/01- 11.06. 2025 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის კვლევის მეთოდოლოგია (ბრძანება №01-03/29, 2024 წ.)
5. დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანგარიში
6. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - გეგმის თანახმად, ქართული ენის მოდულების გარეშე, პროგრამაზე სწავლების სრული ხანგრძლივობაა - 72 სასწავლო კვირა. გემაში ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულით გათვალისწინებული საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით (კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს). საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია სწავლის შედგეგით გათვალისწინებული კომპეტენციის მიღწევისთვის საჭირო ლოგიკური თანმიმდევრობა და მოდულზე დაშვების წინაპირობები. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულის გადაბარების საჭიროების დადგომისას. ცალკეა წარმოდგენილი ქართული ენის მოდულების განხორციელების სასწავლო გეგმა, რომლის ხანგრძლივობაა 20 სასწავლო კვირა. გეგმა არ მოიცავს განმეორებითი დადასტურებისთვის პერიოდებს. ამასთან, დაწესებულების პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედანია

სტუდენტების კონტინგენტი, მოიცავს 2024 წლის მიღების ფარგლებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია შუალედური შეფასების წესი, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 აგვისტოს N416 დადგენილებით განსაზღვრულ შუალედური შეფასების პერიოდს.

ექსპერტების მიერ განხილული იქნა ასევე პროგრამის ფარგლებში შემუშავებული კალენდარული გეგმები. კალენდარული გეგმა მოიცავს მოდულისა და პროგრამის შესახებ აუცილებელ რეკვიზიტებს, ინფორმაციას განმახორციელებელი პირის შესახებ. გეგმაში, პირდაპირ არის მოდულის სწავლის შედეგი/შესრულების ინდიკატორი გადმოტანილი მოდულის განხორციელების/სასწავლო ცხრილის შესაბამისად. კალენდარული გეგმით ვერ დგინდება რა თემატიკის/რა ტიპის დავალებები სრულდება მეცადინეობაზე, ასევე არაა განსაზღვრული რა ტიპის დამოუკიდებელი სამუშაოა კონკრეტული თემატიკისთვის, რაში გამოიყენება აღნიშნული საათები, რაც არ იძლევა სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას, რამდენად რაციონალურად არის განაწილებული სწავლის ან დამოუკიდებელი სამუშაოსთვის საათები.

განმახორციელებელ პირთან გასაუბრებით, დადგინდა რომ სწავლების მრავალფეროვანი მეთოდი გამოიყენება, როგორიცაა სიტუაციური ამოცანები, დისკუსია, პრეზენტაციები, პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება და სხვა. რასაც ადასტურებენ როგორც პროფესიული სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულები. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მეცადინეობათა უფრო ეფექტური დაგეგმვა, შეიმუშაოს სრულყოფილი კალენდარული გეგმები, რაც ერთი მხრივ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის/საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის დაგეგმვის ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ, შეიქმნება დამატებითი ინსტრუმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასებისთვის. 2024 წლის მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილ სასწავლო გეგმებში დაემატოს შუალედური შეფასების პერიოდი.

დაწესებულების მხრიდან, ორგანიზებული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრა. მათ აღნიშნეს **სასწავლო პროცესის მიმდინარეობით და ხარისხით კმაყოფილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

- <u>ქართული ენის მოდულების განხორციელების სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნეს მოდულის სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების/დადასტურების ვადები;</u>
- <u>სასწავლო პროცესის/საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის დაგეგმვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილი იქნეს კალენდარული გეგმებში მეცადინეობათა უფრო დეტალური და ეფექტური დაგეგმვა.</u>

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედანია

წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით, პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებენ სტუდენტთა მხარდაჭერას, რომლებიც ნებისმიერი საჭიროების შესახებ მყისიერად იღებენ უკუკავშირს ადმინისტრაციისგან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად.

ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - ვიზიტის დროს პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა, პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომას, ინფორმაციის მოძიებისა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. პროგრამებს აქვთ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიებითა და პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი სასწავლო გარემო. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები, პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. ასევე დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან და ბათუმის „Financial Experts Corporation, რომლის მიზანია, ერთობლივად სხვადასხვა ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ერთობლივი პროექტები და ა.შ.) განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ასევე პროგრამის ფარგლებში დარგობრივი სიახლეების დანერგვა-გამოყენებას.

ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, რისთვისაც „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-თ გაწერილი პროცედურების შესაბამისად, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. აღნიშნულ პრაქტიკას საქმიანობისას ადგილი არ ჰქონია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებას აქვს პოტენციალი და მზაობა უზრუნველყოს ინდივიდუალური გეგმის შემუშავება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, იმიტირებულ გარემოში. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან და ბათუმის „Financial Experts Corporation. ურთიერთთანამშრომლობის მიზანია, ერთობლივად სხვადასხვა ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ერთობლივი პროექტები, შეფასების პროცესებში თანამონაწილეობა და ა.შ.) განხორციელება, რაც ხელს უწყობს პროგრამის ფარგლებში სიახლეების დანერგვასა და მის განვითარებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის 2.4.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება არ საჭიროებს სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას. პროგრამაზე ვრცელდება ტიპური საოფისე საქმიანობისა და მონიტორიან მოწყობილობებთან მუშაობის მოთხოვნები, რისი უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები“ (09.12.2021 წ. ბრძანება #01-03/29). დოკუმენტით გაწერილია შრომის უსაფრთხოების როგორც ზოგადი მოთხოვნები, ისე კომპიუტერებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები (თავი 5). ვიზიტის დროს შეხვედრა შედგა დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელმაც აღნიშნა, რომ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება შეხვედრები და ინსტრუქტაჟი, უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ, რასაც ასევე დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ დანართებითურთ
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურთან, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ბათუმის „Financial Experts Corporation“-თან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.
3. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები“ (09.12.2021 წ. #01-03/29 ბრძანება).
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება);
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - აღნიშნული პრინციპების უზრუნველყოფისათვის, პსდ-ს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 26). საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესები (მუხლი 28 და 29) მ.შ. ინტეგრირებული მოდულების დადასტურების კომისიის რეგლამენტი (მუხლი 17), ასევე შემუშავებულია შუალედური შეფასების წესი (მუხლი 27[1]). რეგულაცია ასევე ითვალისწინებს გასაჩივრების წესებსაც (მუხლი 27).

წესის თანახმად, კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაადასტუროს სწავლის შედეგი პროგრამის დასრულებამდე, ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული და რომლის შედეგიც ვერ დაადასტურა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე ორჯერ, ხოლო უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს მოდული/სწავლის შედეგი. წესის თანახმად სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და კრიტერიუმის მიხედვით; რეგულაციით ასევე შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. თუმცა პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და სტუდენტებთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების განხილვით, დასტურდება, რომ დაწესებულებაში ძირითადად ცალკეული შედეგების დადასტურების პრაქტიკა არსებობს. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულის ფარგლებში არსებული სწავლის შედეგების ინტეგრირებულად დადასტურება ერთი ტესტის/კომპლექსური პრაქტიკული დავლებების გამოყენებით.

შეფასების სისტემა მოიცავს ასევე შუალედურ შეფასებას, პროცესის მართვის მიზნით შემუშავებულია დამატებით „შუალედური შეფასების წესი (08.12.2022 წ. ბრძ. № 01-03/25). დოკუმენტი შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს #416 დადგენილების საფუძველზე. წესის თანახმად რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება შუალედური შეფასების ჯგუფი და შუალედური შეფასების კომისია, ხოლო ინფორმაცია შუალედური შეფასების ვადების და პირობების შესახებ პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება შეფასების დაგეგმვამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე შუალედური შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი (მუხლი4).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა (მუხლი 29) მოიცავს როგორც პროგრამის ფარგლებში კრედიტების სრულად დაგროვების/სწავლის შედეგების დადასტურება, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის საფუძველზე კვალიფიკაციის მინიჭების მოთხოვნების დადასტურებას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისიწინებული ყველა შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა (მუხლი 29. პ. 5). კვალიფიკაციის მინიჭების პროცესის მართვის მიზნით, დაწესებულებაში შექმნილია, მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისია (ბრძანება #01-03/13, 04.07.2022 წ.), რომლის შემადგენლობაშიც შედიან: დაწესებულების პრორექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, იურისტი, იურიდიული სამსახურის უფროსი. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია მოწვეული იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტები. კომისია განიხილავს პროფესიული სტუდენტის შეფასებებს, პროგრამის ფარგლებში მიღწევებს და იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მიღების შესახებ. კომისიის მუშაობა და გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ფორმდება ოქმის სახით. თუმცა, დაწესებულების მიერ არაა შემუშავებული თავად საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების წესი, რაც უფრო ორგანიზებულსა და ეფექტურს გახდიდა პროცესს. ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია, საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების მე-6 მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული წესის შემუშავებამდე ("საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ზოგად წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი"), შემუშავდეს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი, სადაც განისაზღვრება პროცესისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: გამოცდის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირები, გამოცდების, მ.შ. განმეორებით გამოცდის პერიოდულობის, საფასურისა და დაშვების მიმართ მოთხოვნები; საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდების შინაარსი და შეფასების სისტემა, კომისიის ფორმირებისა და მუშაობის წესი და ა.შ.

დაწესებულების შეფასების სისტემა ითვალისწინებს აპელაციის წესს (მუხლი 27). პროცედურის თანახმად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიულ მასწავლებლებთან (პ.2). პუნქტით უზრუნველყოფილია ინტერესთა კონფლიქტი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი არაა ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციისა და შეფასების პროცესების ორგანიზებაში. აღნიშნულ პროცესებს უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირები.

ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები. შემოწმებით გამოიკვეთა, რომ კოგნიტური უნარების/თეორიული კომპონენტის შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები მოიცავდა ერთგვაროვან ტესტურ დავალებებს (მაგ. წარმოდგენილი ინსტრუმენტი შედგებოდა მხოლოდ ღია კითხვებისგან). ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, თეორიული კომპონენტის შეფასებისას, ინსტრუმენტის ავტორებმა უზრუნველყონ მრავალფეროვანი ტესტური დავალებების შემუშავება, ასევე ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესში ჩართულმა პირებმა, აქცენტები გააკეთონ ამ მიმართულებითაც და არ შემოიფარგლონ, მხოლოდ შეფასების ინსტრუმენტის მოდულის/სწავლის შედეგთან შინაარსობრივი შესაბამისობის შეფასებით.

ასევე შეფასებული იქნა შეფასების ინსტრუმენტი მოდულის „მეწარმეობა" (სარეგისტრაციო ნომერი 0410005) ფარგლებში. მოდულის ფარგლებში მე-2 სწავლის შედეგისთვის „ბიზნესის ორგანიზება" შეფასების მიმართულებაა „პრაქტიკული დავალება". წარმოდგენილ ინსტრუმენტში მითითებულია:
„ შეფასების მიმართულება: პროდუქტი - წერილობითი მსჯელობა თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტი - პროფესიული სტუდენტის მიერ მოწოდებული წერითი დავალების ელექტრონული ფორმა, როგორც მტკიცებულება. შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს განმეორებითი შეფასების შესახებ ჩანაწერს - „განმეორებით შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს შემდგომი მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის ეს მოდული“, რაც საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო გეგმით არაა გათვალისწინებული, შესაბამისად ჩანაწერი არა რელევანტური. თუმცა განხილული შეფასების ინსტრუმენტებით იკვეთება, რომ აღნიშნული ჩანაწერი სტანდარტულია და მითითებულია შემუშავებულ ყველა ინსტრუმენტში.

შეფასების სქემა გულისხმობს: „პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდება თუ თითოეულ კრიტერიუმის შესაბამისად სწორად იქნება შესრულებული წერითი დავალება“. სწავლის შედეგი პრაქტიკულთან ერთად მოიცავს თეორიული შინაარსის შესრულების კრიტერიუმსაც. სწავლის შედეგის შესრულების კრიტერიუმებია: *ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად აღწერს წარმოების/მომსახურეობის ტექნოლოგიურ პროცესს; შერჩეული ტექნოლოგიის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას საჭირო ძირითად საშუალებებს, აღჭურვილობასა და ინვენტარს (მანქანები, მოწყობილობები, შენობა-ნაგებობები, მიწის ფართი, ინვენტარი, კომუნიკაციები. მასალები და ნედლეული: წარმოების პროცესში გამოყენებული საბრუნავი საშუალებები, მ.შ. ენერგეტიკული რესურსები); ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს საჭირო მასალებსა და ნედლეულს; ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით განსაზღვრავს საჭირო ადამიანურ რესურსს.* თუმცა აღნიშნული საკითხების შეფასება/დადასტურება შესაძლებელია პრაქტიკული დავალების/პროექტის ფარგლებშიც დემონსტრირებული ცოდნის ან/და პრაქტიკულ დავალების შესრულებასთან/შეფასებასთან ერთად დამატებითი კითხვების სახით. სწავლის შედეგი შეფასებულია წერილობითი ღია კითხვებით. შეფასების ინსტრუმენტის დავალებებით არ აღიქმება, რომ მოიცავს წერილობით პრაქტიკულ დავალებებს. შესაბამისად ინსტრუმენტი ვერ იქნება განმსაზღვრელი შეფასებისთვის განხილული, როგორც სწავლის შედეგთან/კრიტერიუმებთან ვალიდური. თუმცა მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ასრულებენ ასევე პროექტსაც, რაც დაადასტურეს როგორც პროფესიულმა სტუდენტებმა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გაიცა რეკომენდაცია, რომ ზემოაღნიშნული ინსტრუმენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განმავითარებელი შეფასებისთვის, ხოლო თეორიული კრიტერიუმების/შედეგების შესაბამისი კითხვები შესაძლებელია ჩაშენდეს პროექტის „შეფასების ინსტრუმენტში“, რაც გამორიცხავს ორჯერ ერთიდაიგივე სწავლის შედეგის/კრიტერიუმის დადასტურებას.

დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა ვიზიტის დროს აღნიშნეს, რომ, შემუშავებულია შეფასების ინსტრუმენტის ახალი სტრუქტურა და დაგეგმილია შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა-განახლების პროცესი.

შესწავლილი დოკუმენტაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე, 2.4.2.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია შეფასების მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური. ინდიკატორთან/შეფასების სისტემასთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი სახის განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. შემუშავდეს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი, სადაც განისაზღვრება პროცესის ეფექტურად და ორგანიზებულად წარმართისთვის მნიშვნელოვანი საკითხები

2. დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულის ფარგლებში არსებული სწავლის შედეგების ინტეგრირებულად დადასტურება ერთი ტესტის/კომპლექსური პრაქტიკული დავლებების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. თეორიული კომპონენტის შეფასებისას, ინსტრუმენტის ავტორებმა უზრუნველყონ მრავალფეროვანი ტესტური დავალებების შემუშავება, ხოლო ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესში ჩართულმა პირებმა, აქცენტები გააკეთონ აღნიშნული მიმართულებითაც და არ შემოიფარგლონ, მხოლოდ შეფასების ინსტრუმენტის მოდულის/სწავლის შედეგთან შინაარსობრივი ან დადგენილი სტრუქტურის ტექნიკურად შესაბამისობის შეფასებით;
4. გადახედილი იქნეს შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებთან/ტერმინებთან;
5.პროგრამის/ მოდულის ფარგლებში შემუშავდეს ისეთი შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც უზრუნველყოფს გამოირიცხოს დადასტურებული სწავლის შედეგის/კრიტერიუმის კვლავ დადასტურება.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - დაწესებულების მიერ პროცესის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია შიდა რეგულაციები: „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ (25.03. 2021 წ. # 01-03/03-ა ბრძანება). ზოგად რეგუალციებს მოიცავს ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი 27[2]). წესი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის/შეთანხმების პროცესსაც, რომლის თანახმად, „პროფესიული მასწავლებელი შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს შესათანხმებლად წარუდგენს „უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასების ჩატარებამდე 2 კვირით ადრე, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 1 კვირის ვადაში განიხილავს წარდგენილ შეფასების ინსტრუმენტების ფორმას და პროფესიულ მასწავლებელს აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს წერილობითი ან/და ზეპირ სიტყვიერი ფორმით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ, ხოლო დარგის სხვა სპეციალისტი შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით“.

შიდა ვერიფიკაციის სიტემა მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, ხოლო შეფასებისთვის შერჩევა ეფუძნება რისკების სისტემას (საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება, მოდულის ფარგლებში გადაბარების ფაქტის არსებობა, პრაქტიკული დავალების სიმრავლე, დამწყები მასწავლებელი და ა.შ.).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები:

-„ვერიფიკაციის პროცესის გეგმა“, რომელიც წარმოადგენს სსიპ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვერიფიკაციის და შეფასების პროცესში ჩართულ პირთა პასუხისმგებლობებისა და როლების განაწილების სქემას.

-„ვერიფიკაციის გეგმა“ - რომლის თანახმად 2025 წლის თებერვლის თვეში შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი (3 პირი: მასწავლებლები და დარგის სპეციალისტი), დოკუმენტით განსაზღვრულია შესასრულებელი აქტივობები („დიალოგი შეფასების ინსტრუმენტის შედგენა-გამოყენებაზე“, „საქმიანი შეხვედრა განმეორებითი შეფასება“, „გამოცდილების გაზიარება მიმართულება პრაქტიკული დავალება“ და ა.შ.), თუმცა პასუხისმგებელი პირები შესრულებაზე არიან არა ჯგუფის წევრები.

-„შეფასების ვალიდაცია“ - დოკუმენტში მოცემულია „ვალიდაციის შეფასებისთვის“ შექმნი ჯგუფის შემადგენლობა (აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობა განსხვავდება ვერიფიკაციის დოკუმენტში მითითებული ჯგუფისგან). ჯგუფის მიერ შესაფასებელი საკითხები შემოიფარგლება: „არის თუ არა შეფასების პროცესი დაგეგმილი მიზნის შესაბამისად?“, „ხდება თუ არა შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა მიზნიდან გამომდინარე?“,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედაია

„აქვს თუ არა სტუდენტს შესაძლებლობა შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე წარმოაჩინოს კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა-უნარები?“, “ვალიდაციის შეფასების შედეგებზე რეაგირება იძლევა თუ არა გაუმჯობესების შესაძლებლობას?“

-„ვერიფიკაციის გეგმა რისკების მიხედვით“ - განსაზღვრულია საინფორმაციო შეხვედრის შინაარსი და პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტის შინაარსი ფაქტობრივად იდენტურია ზემოთ აღწერილი „ვერიფიკაციის გეგმის“. განსხვავდებიან შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ამოცანათა შესრულების პერიოდი განსაზღვრულია 2025 წლის თებერვალი-ოქტომბრის პერიოდით. დოკუმენტი არ მოიცავს დაწესებულების მიერ პროცედურით დადგენილი შერჩევისთვის იდენტიფიცირებულ რისკებს. დოკუმენტის სტრუქტურა არ შეესაბამება პროცესისთვის საჭირო რისკების გეგმას.

-„ვერიფიკაციის დასკვნა“ - დაწესებულების მიერ მოდულის ფარგლებში თითოეული სწავლის შედეგის ინსტრუმენტისთვის დგება დასკვნა და ფასდება შეფასების სისტემის აღიარებული პრინციპების დაცვა: ვალიდურობა (შეფასების ინსტრუმენტი), სანდოობა (მტკიცებულება), გამჭვირვალობა, ეფექტურობა, სამართლიანობა (შეფასების პროცესი), (წარმოდგენილი დასკვნები დათარიღებულია: 30.03.2023 მოდული „მენეჯერული (მმართველობითი) აღრიცხვა“ სწავლის შედეგი 3 - შეფასების პერიოდი 2023 წლის მარტი; 02.07.2024 მოდული “პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტის წარმოება“ სწავლის შედეგი 1, შეფასების პერიოდი - 2024 წლის ივლისი). წესის 2.5.4 პუნქტის თანახმად „ვერიფიკაციის დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი“. წარმოდგენილი დასკვნები მოიცავენ რეკომენდაციებს, მაგ. რომ პრაქტიკული დავალებისთვის პირველადი დოკუმენტაციის შევსება დაკავშირებული ყოფილიყო კონკრეტული საწარმოს ბიზნეს საქმიანობის მაგალითზე. ან შეფასების ინსტრუმენტში მითითებული იყოს კონსულტაციის დრო და ა.შ. ასევე დასკვნებით ირკვევა რომ ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, შეფასების პროცესის შეფასების მიზნით, განხორციელდა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც ჯგუფი ადასტურებს შეფასების პროცესის სტუდენტების მიერ დადებითად შეფასებასა და კმაყოფილებას.

დაწესებულების მიერ არ ყოფილა ვერიფიკაციის დასკვნებში ასახული რეკომენდაციების დანერგვის/გათვალისწინების ან/და მათი შესრულების მონიტორინგის მტკიცებულებები. ასევე სასურველია დაწესებულებამ გადახედოს ვერიფიკაციის წესს, შეიმუშაოს პროცესის დოკუმენტური უზრუნველყოფისთვის ისეთი ფორმები, რომლებიც მოიცავენ საკითხთან დაკავშირებულ სრულყოფილ ინფორმაციას. სასურველია შემუშავდეს ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტების წარმოების/მართვის ინსტრუქციები. ამასთან დოკუმენტებში სამუშაო ჯგუფების, შესრულების ან/და გეგმების შესახებ ციტირებისას მითითებული იქნეს დამტკიცების აქტის რეკვიზიტები. უზრუნველყოფილი იქნეს საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში ვერიფიკაციის გეგმის შემუშავების/ფორმის ტიპური ნიმუშის შემუშავება (შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის საფუძვლის/რისკის/რისკების, მოდულის განმახორციელებელი/შეფასების ინსტრუმენტის ავტორის, ვერიფიკატორის, შესრულების ვადების, მ.შ. დასკვნის წარმოდგენის ვადის მითითებით), ასევე დაცული იქნეს შიდა რეგულაციის მოთხოვნა და გამოცემული იქნეს ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (აღნიშნული შინაარსის დოკუმენტი ექსპერტებთან წარმოდგენილი არ ყოფილა). დაწესებულებამ უზრუნველყოს ვერიფიკაციის პროცესში შექმნილი დოკუმენტების დამტკიცების რეკვიზიტების განთავსება/დამტკიცება და შემსრულებლების/პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერა.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, 2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>სასურველია დაწესებულებამ გადახედოს არსებულ ვერიფიკაციის წესს. დახვეწოს/შეიმუშაოს პროცესის სრულყოფილად დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტების წარმოების/მართვის ინსტრუქციები.</u>

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - დაწესებულებაში შექმნილია საქმეთა ნომენკლატურა, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულებაში წარმოებული საქმეების/დოკუმენტების შენახვის ვადები. საქმეთა ნომენკლატურა შეთანხმებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონულ არქივთან (შეთანხმების და დამტკიცების რეკვიზიტები: ოქმი #2 25.04.2025; 15.05.2025). სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, ასევე განსაზღვრულია ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისი დებულებები, კერძოდ: რეგულაციის 25[1] მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოს, ხოლო მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები განსაზღვრავენ მტკიცებულებებისა და შეფასების უწყისების შენახვის ვადებს, რომელთა თანახმად, შეფასების მტკიცებულებები ინახება, კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად ინახება 25 წლის ვადით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული ვადა, შესაბამისია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 72 ბრძანებით „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ“ დადგენილი მოთხოვნების. თუმცა ამავე რეგულაციის 26-ე მუხლის მე- 12 პუნქტით განსაზღვრულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული განმარტებების და რეკომენდაციების შესაბამისი ვადა „სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ“. დაწესებულებამ სასურველია მოახდინოს პროცედურას და უზრუნველყოს საკითხის ურთიერთგამომრიცხავი დებულებების რედაქტირება.

შიდა რეგულაციის თანახმად, მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 26). ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტები ინახება დაწესებულების არქივში, ხოლო ვადაგასული დოკუმენტები ნადგურდება კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

ინდიკატორის 2.4.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>სასურველია გადაიხედოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და უზრუნველყოფილი იქნეს საკითხის ურთიერთგამომრიცხავი დებულებების რედაქტირება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის უზრუნველყოფის მექანიზმები. პროფესიული განათლების მასწავლებელი, შეფასების შედეგებს აანალიზებს რის საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესს მუდმივად ახლავს თან. პროფესიული სტუდენტების მიღწევების ანალიზისა და შეფასების მიზნით, დაწესებულებაში ასევე დანერგილია, თითოეული მოდულის ფარგლებში შუალედური შეფასება. მასწავლებლების მიერ ხდება შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა კომპეტენციების განვითარების მიზნით. უკუკავშირის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს. კონსულტაციების ჩატარებას ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. **შესაბამისად ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება);
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი (08.12.2022 წ. № 01-03/25 ბრძანება);
3. დაწესებულების რექტორის ბრძანება #01-03/13 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების“ სტუდენტებისთვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ (04.07.2022 წ.);
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ (25.03. 2021 წ. 01-03/03-ა ბრძანება)
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ვერიფიკაციის პროცესის დამდასტურებელი დოკუმენტაცია (ვერიფიკაციის დასკვნები, გეგმები);
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საქმეთა ნომენკლატურა;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები;
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება № 01-03/20ბ, 28.09.2022
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ა. რ. შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები („ხიჭაური“)
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას -

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რომლის თანახმად ქვეყნის/რეგიონის კეთილდღეობისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის დაწესებულება ქმნის პროფესიული განათლების მისაღებ შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს კვალიფიციური პროფესიული კადრის მომზადებას და ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. ასევე, არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიზნებთან.

სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - დაწესებულების სამოქმედო არეალია უმთავრესად აჭარის რეგიონი, მათ შორის ზემო აჭარა. სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის მომზადების პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას განაპირობებს სკოლამდელი განათლების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნევა, ასევე სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება, ინფრასტრუქტურის გამართვა და სკოლამდელი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის განხორციელება მოითხოვს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტებს, მათ შორის ზემო აჭარაშიც, სადაც 50-ზე მეტი მოქმედი ბაგა-ბაღია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსპექტივაშია ახალი ჯგუფებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გახსნა. აღნიშნული გარემოება განაპიროებებს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნას. რაც ექსპერტებთან გასაუბრებისას დაადასტურა ასვე შუახევის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელმა.

დაწესებულება თანამშრომლობს ადგილობრივ, პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან, ამ მხრივ გამოიკვეთა, რომ რეგიონში არსებობს მოთხოვნა აღმზრდელის პროფესიაზე. დაწესებულების მხრიდან, რეგიონში დასაქმების შესაძლებლობების შესწავლისას გაირკვა, რომ აღმზრდელის პოზიციაზე დასაქმებულია არასპეციალისტებს, რომელთა ნაწილს გავლილი აქვს მხოლოდ ტრენინგები. დასაქმებულთა უმრავლესობა გამოთქვამს კვალიფიკაციის დაუფლების სურვილს. პროგრამის მიმართ ინტერესია ასევე მაღალმთიანი აჭარის სოფლების იმ მაცხოვრებლებისგან, ვინც დაასრულა სრული ზოგადი განათლების საფეხური.

დაწესებულების აზრით პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც დარგის განვითარებას, ასევე დასაქმების გაუმჯობესებას, კვალიფიციური ადამიანური რესურსების დეფიციტის აღმოფხვრას, რაც მთავარია პროგრამა განაპირობებს შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფას, სადაც აქცენტი ზრუნვასთან ერთად აღმზრდელობით განათლების კომპონენტებზე იქნება გადატანილი. სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელები ცოდნას და დაეუფლებიან პროფესიული უნარების ახალი მიდგომების, ახალი სტანდარტების მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის ხარისხს გააუმჯობესებს აჭარის მაღალმთიან რეგიონში.

დაწესებულების მიერ განხორციელებულია კურსდამთავრებულების კვლევისა და პროგრამის ფარგლებში 2023 წლის კვლევის შედეგებით, 2023 წელს პროგრამა დაასრულა 18-მა პირმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 10-მა კურსდამთავრებული, დასაქმებულია, მ.შ კურსდამთავრებულების მიერ ექსპერტებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ნაწილი დასაქმდა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პერიოდშივე.

არგუმენტირების დოკუმენტში დაწესებულება აღნიშნავს, რომ ანალოგიური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება აჭარის რეგიონის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, თუმცა მაღალმთიან აჭარაში აღნიშნული პროგრამა არაა.

პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას, მისი განხორციელებისათვის აქვს შესაბამისი რესურსი (მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური, ადამიანური), თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებასთან. წარმომადგენელთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ პროგრამის როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების პროცესებში აქტიურად არიან ჩართულები.

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა „სრული ზოგადი განათლება“, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები, მ.შ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვა (თავის III), განსაზღვრულია დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ აგრეთვე გამოთხოვილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისი დოკუმენტაცია (რეიტინგული სიები, ჩარიცხვის ბრძანებები, პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეები), რაც თავსებადი აღმოჩნდა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ დებულებებთან. პროფესიული სტუდენტები ჩარიცხულები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვისას გათვალისწინებულია შესაბამისი განათლების დონე/საფეხური პროცენტულობის გაანგარიშებით. აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეტანილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის რეესტრში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“ (27.12.2021 წ. № 01-03/36 ბრძანება). აღნიშნული საკითხის რეგულირდება ასევე „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს 30-ე მუხლით (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება). დაწესებულების სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა: სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს; პროგრამის ხანგრძლივობას, განხორციელების სპეციფიკას; რესურსების საკმარისობას და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დასაბუთების მიხედვით, ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 30 პროფესიულ სტუდენტს (ორ ცვლა 15-15 პროფესიული სტუდენტი ან 2 ნაკადად), რისთვისაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სამი აუდიტორია (2A) სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ კონკრეტული პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე B გარემო 16 სამუშაო ადგილით (15 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილი პროფესიული მასწავლებლისთვის). სასწავლო გარემო გამოიყენება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების მოდულის განხორციელების მიზნით. აუდიტორია, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში არსებული რესურსით გამტარუნარიანია.

წარმოდგენილი პროგრამისა და მეთოდოლოგიის შესწავლის, საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი გარემოს ვიზუალური შეფასების, დაწესებულების ადმინისტრაციულ და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამაზე მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. დაწესებულებას შეუძლია პროგრამის ფარგლებში 30 პროფესიული სტუდენტის მიღება. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა კვოტას.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას ახლავს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი (დანართი 4).

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, მ.შ. სასწავლო პროგრამის მიზნებისთვის 45 ერთეული), მათი არსებობა ბიბლიოთეკაში. დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული რესურსი რელევანტურია, ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული ფორმით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. გასაუბრებისას, სასწავლო რესურსზე ხელმისაწვდომობა დაადასტურეს როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა. ვიზუალური დათვალიერებისას დადასტურდა ასევე საჭირო რესურსის ფაქტობრივი არსებობა აუდიტორიებში. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტით (დოკუმენტის დამტკიცების რეკვიზიტები: 25.01.2025, ბრძანება #02-05-04/01) და ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მფლობელობაშია:

- დაფა 3 ცალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროექტორი
- B გარემო, 16 სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი, მ.შ. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის)
- 2 A გარემო, 20-20 სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი, მ.შ. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა ან/და შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - **საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - დაწესებულების დებულების (ბრძანება № 01-03/10, 17.06.2022) თანახმად, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევით და პროფესიულ პროგრამებს და პროგრამაში შესატან ცვლილებებს (მუხლი 6. პ.2 „გ“), ხოლო აკადემიურ საბჭოში თავმჯდომარის სტატუსით შედის უნივერსიტეტის რექტორი (მუხლი 6, პ.1 „დ“). დაწესებულების მიერ წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს ოქმი (#02-01/05. 05.09.2022წ.), სადაც განხილულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და რექტორის მიერ გამოცემული აქტი, საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ (#01-03/20ბ, 28.09.2022 წ.).

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - დაწესებულების პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება *„სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“* თანხვედრაშია „აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტთან (სარეგისტრაციო ნომერი 02117-პ) დასახელებასა და სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education). შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - დაწესებულების პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი 02117-პ). განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების წინაპირობა, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები. პროგრამას თან ახლავს დანართები: მოდულები, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ, სასწავლო გეგმა, რომელიც შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი კონტინგენტისთვის. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია 2 სასწავლო წელზე. გეგმაში ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია მოდულის განხორციელებასა და სსსმ/შშმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით, შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 116 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 146 კრედიტს.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი" დანართებითურთ (დამტკიცების რეკვიზიტები: № 01-03/20ბ, 28.09.2022);
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი (ბრძანება № 01-03/5, 12.03.2023);
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება (ბრძანება № 01-03/10, 17.06.2022);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ბრძანება № 01-03/20ბ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული პროგრამების - „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“, „საექთნო განათლება“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცების თაობაზე“ (28.09.2022);
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს კრების ოქმი (№ 02-01/05, 05.09.2022);
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა (19.03.2021 წ. № 01-03/08 ბრძანება)
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება);
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“ (27.12.2021 წ. № 01-03/36 ბრძანება)
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“
10. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტი (25.01.2025, ბრძანება #02-05-04/01)
11. 2023-2024 წლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანებები და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიები
12. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეებში (ხიჭაური), რომელიც დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში აქვს გადაცემული საქართველოს საპატრიარქოს მიერ 10 წლის ვადით შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 12 741,4 კვ.მ (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 10.12.2021 წ.), ასევე მოძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 28.05.2025 წ.). დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტებმა შეამოწმეს მატერიალური რესურსის ფაქტობრივი არსებობა და მათი კანონიერ საკუთრებაში ფლობის/განკარგვის დოკუმენტაცია. დაათვალიერეს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ განსაზღვრული მატერიალური რესურსი იხ. 2.1.1 (4) ინდიკატორის აღწერასთან). დაწესებულება გეგმავს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას (ორ ცვლაში/2 ნაკადად).

   დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს სამი აუდიტორია A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტებისთვის. ორ აუდიტორია 20-20 სამუშაო ადგილი პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო ერთი A სასწავლო გარემოს აუდიტორიაში შექმნილია ბაგა–ბაღის იმიტირებული გარემო, აუდიტორია, როგორც ბაღის ჯგუფი, დაყოფილია სხვადასხვა აქტივობების ცენტრებად და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სადემონსტრაციო საშუალებებით (დაფა, პროექტორი, ეკრანი) და სასწავლო მასალებით (იხ. ასევე 2.1.1 (1) ინდიკატორის აღწერა).

   საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულება შერჩეული ჰყავს ოთხი პარტნიორი ორგანიზაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანება, ა(ა)იპ შუახევის ბაგა–ბაღების გაერთიანება
- ა(ა)იპ ხულოს ბაგა–ბაღების გაერთიანება.
- ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება
- საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმინდა თევდორე აჭარელის სახელობის საბავშვო ბაგა–ბაღი

დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობის დროს წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები (მემორანდუმების გაფორმების თარიღი: 10.05.2023 წ.), დოკუმენტის თანახმად, მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების რეალიზებისათვის კონკრეტული ღონისძიებების ორგანიზებას მხარეები განსაზღვრავენ ცალკეული შეთანხმების ფარგლებში, სადაც ასევე განსაზღვრული იქნება პრაქტიკის ობიექტზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი და მხარეების მიერ ნაკისრი სხვა უფლება–მოვალეობები.

ვიზიტის დროს გასაუბრება შედგა ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელთან. გასაუბრებიდან დადგინდა, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია აღსაზრდელთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფით (5 ჯგ.). ბაგა–ბაღს საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, შესაბამისად აქვს პოტენციალი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიმართულებით გაუწიოს კვალიფიციური მომსახურება. დაწესებულების მიერ შერჩეული პრაქტიკული კომპონენტის თანაგანმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 25 მასწავლებელი, აქედან 17 პროფესიული დარგობრივი მოდულების, ხოლო 8 ზოგადი, მ.შ. 2 ქართული ენის მოდულების. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ აღემატება „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ დადგენილ ზღვრულ ნორმას - კვირაში 40 საათს. პროგრამას თან ახლავს დანართი, პროგრამის ადამიანური რესურსი - განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ერთზე მეტი განმახორციელებელი პერსონალი. აღნიშნული ასევე დასტურდება განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობისა და ანალოგიური მოდულის/სასწავლო კურსის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც დაწესებულებაში ორგანიზებული, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ ტრენინგები, ისე, უნარების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგები. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში.

პროგრამას დანართის სახით ახლავს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ. მითითებული ინფორმაციის შესაბამისად ექსპერტების მიერ ვიზიტის დროს გადამოწმებული იქნა განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები სრულად, რომლებიც მოიცავს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები შერჩეული არიან დაწესებულების მიერ დადგენილი პროფესიული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად და ყველა მათგანს აქვს მოდულის შესაბამისი უმაღლესი განათლება. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებთან. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაოს ლოკაცია, დატვირთვა, უფლება მოვალეობები, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები ხელშეკრულებებს დანართის სახით თანა ახლავს მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს.

ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ მასწავლებლებს, გასაუბრებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მათი კომპეტენცია და ასევე დადგინდა, რომ ყველა მათგანს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირადი საქმით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროგრამით. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. შერჩევითი პრინციპით შემოწმდა საგანმანათლებლო რესურსის ფლობა ბიბლიოთეკაში. ყველა რესურსი იყო დამუშვებული და ხელმისაწვდომი.

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, მ.შ. საკანონმდებლო აქტები ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსის მოძრაობის/სარგებლობის დამადასტურებელი ჟურნალი.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - დაწესებულებას სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის მარეგულირებელი წესის 25-ე, 30-ე და 31-ე მუხლებით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების ან სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, სასწავლო ფართის, სასწავლო რესურსების ადაპტირება და შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა. ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა (მუხლი 25).

პერსონალის განმარტებით, დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. გადაადგილების ან სხვა მოტორული დარღვევის შემთხვევაში, დაწესებულების დაცვის პერსონალი უზრუნველყოფს მათ დახმარებას გადაადგილებასა და სტრუქტურულ ერთეულთან კომუნიკაციაში. პერსონალთან გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული მიმართულებით დაწესებულებაში ამგვარ პრაქტიკას ადგილი არ ჰქონია, თუმცა არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს შესაძლებლობა ექნებათ წვდომა ჰქონდეთ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - საგანმანათლებლო პროგრამა ბიუჯეტის მაჩვენებლებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით ფინანსურად მდგრადია, რადგან, პროგრამის ადმინისტრირება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული და საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირებისა და საოპერაციო ხარჯებს: პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებას, საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების, ასევე პერსონალის განვითარების და სტუდენტური სერვისების, სხვადასხვა სამეურნეო და საკანცელარიო, საბიბლიოთეკო, სატრანსპორტო მომსახურებისა და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო პროგრამის საპროგნოზო და კორექტირებული ბიუჯეტები. საპროგნოზო ბიუჯეტი დაანგარიშებულია 30 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო კორექტირებული (რეალური) 19 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამების ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარია 1პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების პერსონალის განმარტებით, მისიიდან გამომდინარე, დაწესებულებისთვის პროგრამების განხორციელებას არ აქვს კომერციული მიზანი და საჭიროებისას, სწავლება განხორციელდება ერთი სტუდენტისთვისაც. ამგვარ შემთხვევაში, პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო რესურსს გამოყოფს საქართველოს საპატრიარქო. წარმოდგენილი კორექტირებული ბიუჯეტით, პროგრამის შემოსავლები ასე გამოყურება: <u>ვაუჩერული დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25 000 ₾, ხოლო საპატრიარქოს დაფინანსება შეადგენს 20 000 ₾.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ექსპერტთა ბოლო ვიზიტის დროს, ინდიკატორთან დაკავშირებით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, გათვალისწინებული იქნეს მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი ფორსმაჟორული არახელსაყრელი ვითარების ფინანსური გადაზღვევა, რისთვისაც დამატებითი სახსრების გაწევა შეიძლება დასჭირდეს დაწესებულებას (მაგ. დიდთოვლობით ან სხვა მეტეოროლოგიური პირობებით გამო გამოწვეული ხარჯები), დაწესებულების ფინანსურ მართვაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სახის ხარჯები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტის მუხლით „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები“. ბიუჯეტის ანალიზით ირკვევა რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის ფინანსურ მდგრადობას.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი “ დანართებითურთ (დამტკიცების რეკვიზიტები: № 01-03/20ბ, 28.09.2022);
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტი (25.01.2025, ბრძანება #02-05-04/01);
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო და კორექტირებული ბიუჯეტები;
5. საქართველოს საპატრიარქოს მიერ სხალთის ეპარქიაში არსებული უძრავი ქონების დაწესებულებისთვის თხოვების ხელშეკრულება;
6. საქართველოს საპატრიარქოს მიერ სხალთის ეპარქიაში არსებული მოძრავი ქონების დაწესებულებისთვის თხოვების ხელშეკრულება;
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დანიშვნის თაობაზე დაწესებულების რექტორის ბრძანება (#01-03/2ა, 07.03.2023);
8. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები;
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება)
10. პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.
11. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და პრაქტიკის განმახორციელებელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია აგებულია დემინგის ციკლის გათვალისწინებით. შეფასების მეთოდოლოგია გაწერილია დაწესებულების შემდეგ დოკუმენტებში: „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი“ (ბრძანება № 01-03/5, 12.03.2023) და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და შეფასება“. აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებენ: მონიტორინგის დაგეგმვას და პროგრამის შეფასებას სხვადასხვა სამიზნე ნიშნულების/ჯგუფების მიმართულებით: სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების და შრომის ბაზრის კვლევა და ა.შ.

   საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, დაწესებულებაში დანერგილია და გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: წინასწარ დადგენილი შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შესაბამისად ყოველწლიური შეფასება; ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე პროფესიული განათლების მასწავლებლების ურთიერთდასწრება, ასევე შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ საკონტაქტო საათებზე დასწრება; აკადემიური/მოწვეული პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო-პედაგოგიური ანგარიშების მომზადება და მონიტორინგი; პროგრამაში ჩართული პირების, დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) ყოველწლიური გამოკითხვა (ბრძანება № 01-03/5, 12.03.2023, მუხლი 4.) .

   პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და დაწესებულების ადმინისტრაციას გაცნობიერებული აქვს პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და თავად პროგრამის განხორციელების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების სრული ჩართულობა. მათგან მიღებულ უკუკავშირს, სხვადასხვა გამოკითხვის/კვლევის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემოსულ წინადადებებს ითვალისწინებს პროგრამის განვითარებისა და განხორციელების გაუმჯობესებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა ასევე, რომ მცირერიცხოვანი ჯგუფებიდან გამომდინარე, უფრო ეფექტურად მიიჩნევს ზეპირ გამოკითხვას/ინტერვიუს პროფესიულ სტუდენტებთან, რასაც ხშირად მიმართავენ. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ ასევე ეფექტურად იყენებენ ურთიერთდასწრების მექანიზმს, რაც როგორც სასწავლო პროცესის, ისე მასწავლებლის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. აქვე აღინიშნა, რომ ურთიერთდასწრების გეგმის დამტკიცების პრაქტიკა არ აქვს დაწესებულებას. ასევე არ ყოფილა, დასწრების/მეცადინეობის ან/და პერსონალის შეფასების მტკიცებულებები (დოკუმენტირებული უკუკავშირი). პერსონალის განმარტებით, მეცადინეობის შემდეგ ხდება ზეპირი განხილვა და უკუკავშირი პერსონალთან.

დაწესებულების მიერ, ასევე წარმოდგენილი იყოს 2024 წლის „სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის კვლევის მეთოდოლოგია“, კვლევის სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული განათლების მოწვეული მასწავლებელი/ინსტრუქტორი, ადმინისტრაციული პერსონალი, ხოლო გარე საჭიროებების დადგენის დროს - დამსაქმებელი, პროფესიული ასოციაციები, შრომის ბაზარი და სხვა. (მუხლი 2. პ.3). დოკუმენტის თანახმად, ნებისმიერი სახის კვლევებს სასწავლო უნივერსიტეტში ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული განათლების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სამსახურთან მჭიდრო კომუნიკაციით. კვლევის პერიოდულობა განისაზღვრება თითოეული ამოცანისთვის ინდივიდუალურად. მაგ. პროფესიული სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ, ან კურსდამთავრებულის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ორ წელიწადში ერთხელ. ამასთან, საჭიროებიდან გამომდინარე, კვლევის სიხშირე შესაძლებელია განისაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული სიხშირით (მუხლი 3); განსაზღვრულია ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების კვლევის პერიოდულობა. კვლევის თემატიკა და კითხვარები მოიცავს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე ინფრასტრუქტურის შეფასებას. კვლევა ხორციელდება, როგორც წერილობითი გამოკითხვებით, ან გასაუბრებით, ელექტრონულად Google პლატფორმის გამოყენებით (მუხლი 2. პ.5).

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ განხილული იქნა ასევე „google” პლატფორმის გამოყენებით განხორციელებული გამოკითხვის ანალიზი და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების ფურცლები (08.02.2025) არაც ადასტურებს, რომ **ინდიკატორის 2.3.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>ურთიერთდასწრების ეფექტურად ორგანიზებისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ყველა მოდულის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, ურთიერთდასწრების გეგმა-გრაფიკი წინასწარ იქნეს შემუშავებული და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ დამტკიცებული. ასევე, სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დასწრების შედეგების/შეფასებისა და უკუკავშირის დოკუმენტირება.</u>

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - მოქმედი შიდა რეგულაციებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიების თანახმად, რომლებიც ეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების/გაუქმებისა და გაუმჯობესების პროცედურებს, გულისხმობს გამოკითხვის ან/და პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული საჭიროების შემთხვევაში გახორციელდეს შესაბამისი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ან/და მათი განხორციელების პროცესში, განსაზღვრული წესების გათვალისწინებთ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, კვლევების ინსტრუმენტები, ჩატარებული კვლევების შეფასებები, ანალიზი, ვერიფიკაციის ანგარიშები, რაც ასახავს განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფისთვის ჩატარებულ აქტივობებს, მეთოდოლოგიების/შიდა რეგულაციების შესაბამისად.

ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი“ (ბრძანება № 01-03/5, 12.03.2023);
2. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და შეფასება“
3. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძანება №02-05-04/01ა, 27.01.2025; ცვლილება: ბრძანება №12-02/01- 11.06. 2025 წ.)
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის კვლევის მეთოდოლოგია (ბრძანება №01-03/29, 2024 წ.)
5. დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანგარიში
6. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - გეგმის თანახმად, ქართული ენის მოდულების გარეშე, პროგრამაზე სწავლების სრული ხანგრძლივობაა - 84 სასწავლო კვირა. გემაში ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულით გათვალისწინებული საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით (კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს). საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია სწავლის შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციის მიღწევისთვის საჭირო ლოგიკური თანმიმდევრობა და მოდულზე დაშვების წინაპირობები. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულის გადაბარების საჭიროების დადგომისას. <u>ცალკეა წარმოდგენილი ქართული ენის მოდულების განხორციელების სასწავლო გეგმა, რომლის ხანგრძლივობაა 40 სასწავლო კვირა (შენიშვნა: ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით იგივე მოდულების დაგეგმილია 20 სასწავლო კვირაზე).</u> გეგმა არ მოიცავს განმეორებითი დადასტურებისთვის პერიოდებს.

ექსპერტების მიერ განხილული იქნა ასევე პროგრამის ფარგლებში შემუშავებული კალენდარული გეგმები. კალენდარული გეგმა მოიცავს მოდულისა და პროგრამის შესახებ აუცილებელ რეკვიზიტებს, ინფორმაციას განმახორციელებელი პირის შესახებ. გეგმაში, პირდაპირ არის მოდულის სწავლის შედეგი/შესრულების ინდიკატორი გადმოტანილი მოდულის განხორციელების/სასწავლო ცხრილის შესაბამისად. კალენდარული გეგმით ვერ დგინდება რა თემატიკის/რა ტიპის დავალებები სრულდება მეცადინეობაზე, ასევე არაა განსაზღვრული რა ტიპის დამოუკიდებელი სამუშაოა კონკრეტული თემატიკისთვის, რაში გამოიყენება აღნიშნული საათები, რაც არ იძლევა სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას, რამდენად რაციონალურად არის განაწილებული სწავლის ან დამოუკიდებელი სამუშაოსთვის საათები.

განმახორციელებელ პირთან გასაუბრებით, დადგინდა რომ სწავლების მრავალფეროვანი მეთოდი გამოიყენება, როგორიცაა სიტუაციური ამოცანები, დისკუსია, პრეზენტაციები, პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება და სხვა. წერილობითი კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის/აზროვნების განვითრების მიზნით, აქტიურად გამოიყენება ესსე. სწავლების მეთოდების მრავალფეროვან მიდგომებს ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. ისისნი ასევე აღნიშნავენ ექსტრაკურიკულურ აქტივობებში ჩართულობასა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მხრიდან მხარდაჭერას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული შიდა საუნივერსიტეტო კონფერენციაში. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნეს მეწარმეობის მოდულის ფარგლებში საკუთარ ბიზნეს პროექტებზე მუშაობა. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მეცადინეობათა უფრო ეფექტური დაგეგმვა, შეიმუშაოს სრულყოფილი კალენდარული გეგმები, რაშიც აისახება სასწავლო პროცესში რეალურად გამოყენებული მეთოდები/აქტივობა. ამასთან უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო პროცესის/საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის დაგეგმვისა და ხარისხის მაჩვენებელი და ასევე შეიქმნება დამატებითი ინსტრუმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის/კომპეტენციის შეფასებისთვის.

დაწესებულების მხრიდან, ორგანიზებული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრა. მათ აღნიშნეს **სასწავლო პროცესის მიმდინარეობით და ხარისხით კმაყოფილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

- <u>ქართული ენის მოდულების განხორციელების სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნეს მოდულის სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების/დადასტურების ვადები;</u>
- <u>სასწავლო პროცესის/საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის დაგეგმვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილი იქნეს კალენდარული გეგმებში მეცადინეობათა უფრო დეტალური და ეფექტური დაგეგმვა.</u>

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით, პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებენ სტუდენტთა მხარდაჭერას, რომლებიც ნებისმიერი საჭიროების შესახებ მყისიერად იღებენ უკუკავშირს ადმინისტრაციისგან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად.

ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - ვიზიტის დროს პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა, პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომას, ინფორმაციის მოძიებისა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. პროგრამებს აქვთ დარგის შესაბამისი ტექნოლოგიებითა და პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი სასწავლო გარემო. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები, პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები/თანამედროვე ტექნოლოგიები(იხ. ასევე 2.4.1 (1) ინდიკატორის აღწერა).

ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, რისთვისაც „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-თ გაწერილი პროცედურების შესაბამისად, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. აღნიშნულ პრაქტიკას საქმიანობისას ადგილი არ ჰქონია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებას აქვს პოტენციალი და მზაობა უზრუნველყოს ინდივიდუალური გეგმის შემუშავება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით, რისთვისაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ქედის, ხულოს, შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანებებთან და საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმინდა თევდორე აჭარელის სახელობის საბავშვო ბაგა–ბაღთან (მემორანდუმების გაფორმების თარიღი 10.05.2023). (იხ. ასევე 2.2.1(1) ინდიკატორის აღწერა). პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს თანამშრომლობაა. დოკუმენტი ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსის გამოყოფას, დათქმას, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განხორციელების მიზნით, ურთიერთშეთანხმებულად განსაზღვრება დამატებითი ღონისძიებები. თანამშრომლობის შესახებ მზაობა დასტურდება პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით.

<u>შერჩეული პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც ასევე დადასტურდა პარტნიორთან გასაუბრებით. თუმცა</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს კოოპერაციული სწავლების განმახორციელებელი სუბიექტისთვის დადგენილებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი, რაც არ ყოფილა წარმოდგენილი.

ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებენ, რომ დაწესებულება და საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორები, უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობას, რასაც ადასტურებს გაფორმებული ხელშეკრულებები და გასაუბრების შედეგები.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

დაწესებულებამ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესის შემუშავება.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება არ საჭიროებს სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას. პროგრამაზე ვრცელდება ტიპური საოფისე საქმიანობისა და მონიტორიან მოწყობილობებთან მუშაობის მოთხოვნები, რის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები“ (09.12.2021 წ. ბრძანება #01-03/29). დოკუმენტით გაწერილია შრომის უსაფრთხოების როგორც ზოგადი მოთხოვნები, ისე კომპიუტერებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები (თავი 5). ვიზიტის დროს შეხვედრა შედგა დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელმაც აღნიშნა, რომ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება შეხვედრები და ინსტრუქტაჟი, უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ, რასაც ასევე დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დანართებითურთ
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
3. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები“ (09.12.2021 წ. #01-03/29 ბრძანება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება);
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - აღნიშნული პრინციპების უზრუნველყოფისათვის, პსდ-ს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 26). საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესები (მუხლი 28 და 29) მ.შ. ინტეგრირებული მოდულების დადასტურების კომისიის რეგლამენტი (მუხლი 17), ასევე შემუშავებულია შუალედური შეფასების წესი (მუხლი 27[1)]. რეგულაცია ასევე ითვალისწინებს გასაჩივრების წესებსაც (მუხლი 27).

   წესის თანახმად, კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაადასტუროს სწავლის შედეგი პროგრამის დასრულებამდე, ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული და რომლის შედეგიც ვერ დაადასტურა. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე ორჯერ, <u>ხოლო უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს მოდული/სწავლის შედეგი. წესის თანახმად სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და კრიტერიუმის მიხედვით; რეგულაციით ასევე შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. თუმცა პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და სტუდენტებთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების განხილვით, დასტურდება, რომ დაწესებულებაში ძირითადად ცალკეული შედეგების დადასტურების პრაქტიკა არსებობს. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულის ფარგლებში არსებული სწავლის შედეგების ინტეგრირებულად დადასტურება ერთი ტესტის/კომპლექსური პრაქტიკული დავლებების გამოყენებით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სისტემა მოიცავს ასევე შუალედურ შეფასებას, პროცესის მართვის მიზნით შემუშავებულია დამატებით „შუალედური შეფასების წესი (08.12.2022 წ. ბრძ. № 01-03/25). დოკუმენტი შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს #416 დადგენილების საფუძველზე. წესის თანახმად რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება შუალედური შეფასების ჯგუფი და შუალედური შეფასების კომისია, ხოლო ინფორმაცია შუალედური შეფასების ვადების და პირობების შესახებ პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება შეფასების დაგეგმვამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე შუალედური შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი (მუხლი4).

კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა (მუხლი 29) მოიცავს როგორც პროგრამის ფარგლებში კრედიტების სრულად დაგროვების/სწავლის შედეგების დადასტურება, ასვე საკვალიფიკაციო გამოცდის საფუძველზე კვალიფიკაციის მინიჭების მოთხოვნების დადასტურებას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისიწინებული ყველა შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა (მუხლი 29. პ. 5). კვალიფიკაციის მინიჭების პროცესის მართვის მიზნით, დაწესებულებაში შექმნილია, მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისია (ბრძანება #01-03/13, 04.07.2022 წ.), რომლის შემადგენლობაშიც შედიან: დაწესებულების პრორექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, იურისტი, იურიდიული სამსახურის უფროსი. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია მოწვეული იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტები. კომისია განიხილავს პროფესიული სტუდენტის შეფასებებს, პროგრამის ფარგლებში მიღწევებს და იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მიღების შესახებ. კომისიის მუშაობა და გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ფორმდება ოქმის სახით. <u>თუმცა, დაწესებულების მიერ არაა შემუშავებული თავად საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების წესი, რაც უფრო ორგანიზებულსა და ეფექტურს გახდიდა პროცესს. ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია, საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების მე-6 მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული წესის შემუშავებამდე (“საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ზოგად წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი“), შემუშავდეს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი, სადაც განისაზღვრება პროცესისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: გამოცდის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირები, გამოცდების, მ.შ. განმეორებით გამოცდის პერიოდულობის, საფასურისა და დაშვების მიმართ მოთხოვნები; საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდების შინაარსი და შეფასების სისტემა, კომისიის ფორმირებისა და მუშაობის წესი და ა.შ.</u>

დაწესებულების შეფასების სისტემა ითვალისწინებს აპელაციის წესს (მუხლი 27). პროცედურის თანახმად უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიულ მასწავლებლებთან (პ.2). პუნქტით უზრუნველყოფილია ინტერესთა კონფლიქტი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი არაა ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციისა და შეფასების პროცესების ორგანიზებაში. აღნიშნულ პროცესებს უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირები.

ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის „მეწარმეობა“ (სარეგისტრაციო ნომერი 0410005) ფარგლებში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები. მოდულის ფარგლებში მე-2 სწავლის შედეგისთვის „ბიზნესის ორგანიზება“ შეფასების მიმართულებაა „პრაქტიკული დავალება“. წარმოდგენილ ინსტრუმენტში მითითებულია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ შეფასების მიმართულება: პროდუქტი - წერილობითი მსჯელობა თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად;
შეფასების ინსტრუმენტი - პროფესიული სტუდენტის მიერ მოწოდებული წერითი დავალების ელექტრონული ფორმა, როგორც მტკიცებულება.
შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს განმეორებითი შეფასების შესახებ ჩანაწერს - „განმეორებით შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს შემდგომი მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის ეს მოდული“, რაც საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო გეგმით არაა გათვალისწინებული, შესაბამისად ჩანაწერი არა რელევანტური. თუმცა განხილული შეფასების ინსტრუმენტებით იკვეთება, რომ აღნიშნული ჩანაწერი სტანდარტულია და მითითებულია შემუშავებულ ყველა ინსტრუმენტში.

შეფასების სქემა გულისხმობს: „პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდება თუ თითოეულ კრიტერიუმის შესაბამისად სწორად იქნება შესრულებული წერითი დავალება“. სწავლის შედეგი პრაქტიკულთან ერთად მოიცავს თეორიული შინაარსის შესრულების კრიტერიუმსაც. სწავლის შედეგის შესრულების კრიტერიუმებია: *ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწორად აღწერს წარმოების/მომსახურეობის ტექნოლოგიურ პროცესს; შერჩეული ტექნოლოგიის გათვალისწინებით, სწორად უკეთებს იდენტიფიცირებას საჭირო ძირითად საშუალებებს, აღჭურვილობასა და ინვენტარს (მანქანები, მოწყობილობები, შენობა-ნაგებობები, მიწის ფართი, ინვენტარი, კომუნიკაციები. მასალები და ნედლეული: წარმოების პროცესში გამოყენებული საბრუნავი საშუალებები, მ.შ. ენერგეტიკული რესურსები); ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს საჭირო მასალებსა და ნედლეულს; ბიზნესის სპეციფიკის მიხედვით განსაზღვრავს საჭირო ადამიანურ რესურსს.* თუმცა აღნიშნული საკითხების შეფასება/დადასტურება შესაძლებელია პრაქტიკული დავალების/პროექტის ფარგლებშიც დემონსტრირებული ცოდნის ან/და პრაქტიკულ დავალების შესრულებასთან/შეფასებასთან ერთად დამატებითი კითხვების სახით. სწავლის შედეგი შეფასებულია წერილობითი ღია კითხვებით. შეფასების ინსტრუმენტის დავალებებით არ აღიქმება, რომ მოიცავს წერილობით პრაქტიკულ დავალებებს. შესაბამისად ინსტრუმენტი ვერ იქნება განმსაზღვრელი შეფასებისთვის განხილული, როგორც სწავლის შედეგთან/კრიტერიუმებთან ვალიდური. თუმცა მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ასრულებენ ასევე პროექტსაც, რაც დაადასტურეს როგორც პროფესიულმა სტუდენტებმა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გაიცა რეკომენდაცია, რომ ზემოაღნიშნული ინსტრუმენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განმავითარებელი შეფასებისთვის, ხოლო თეორიული კრიტერიუმების/შედეგების შესაბამისი კითხვები შესაძლებელია ჩაშენდეს პროექტის „შეფასების ინსტრუმენტში“, რაც გამორიცხავს ორჯერ ერთიდაიგივე სწავლის შედეგის/კრიტერიუმის დადასტურებას.

დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა ვიზიტის დროს აღნიშნეს, რომ, შემუშავებულია შეფასების ინსტრუმენტის ახალი სტრუქტურა და დაგეგმილია შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა-განახლების პროცესი.

შესწავლილი დოკუმენტაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე, 2.4.2.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია შეფასების მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური. ინდიკატორთან/შეფასების სისტემასთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი სახის განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. შემუშავდეს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი, სადაც განისაზღვრება პროცესის ეფექტურად და ორგანიზებულად წარმართისთვის მნიშვნელოვანი საკითხები
2. დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულის ფარგლებში არსებული სწავლის შედეგების ინტეგრირებულად დადასტურება ერთი ტესტის/კომპლექსური პრაქტიკული დავლებების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. თეორიული კომპონენტის შეფასებისას, ინსტრუმენტის ავტორებმა უზრუნველყონ მრავალფეროვანი ტესტური დავალებების შემუშავება, ხოლო ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესში ჩართულმა პირებმა, აქცენტები გააკეთონ აღნიშნული მიმართულებითაც და არ შემოიფარგლონ, მხოლოდ შეფასების ინსტრუმენტის მოდულის/სწავლის შედეგთან შინაარსობრივი ან დადგენილი სტრუქტურის ტექნიკურად შესაბამისობის შეფასებით;
4. გადახედილი იქნეს შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებთან/ტერმინებთან;
5.პროგრამის/ მოდულის ფარგლებში შემუშავდეს ისეთი შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც უზრუნველყოფს გამოირიცხოს დადასტურებული სწავლის შედეგის/კრიტერიუმის კვლავ დადასტურება.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - დაწესებულების მიერ პროცესის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია შიდა რეგულაციები: „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ (25.03. 2021 წ. # 01-03/03-ა ბრძანება). ზოგად რეგულაციებს მოიცავს ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი 27[2]). წესი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის/შეთანხმების პროცესსაც, რომლის თანახმად, „პროფესიული მასწავლებელი შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს შესათანხმებლად წარუდგენს „უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასების ჩატარებამდე 2 კვირით ადრე, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 1 კვირის ვადაში განიხილავს წარდგენილ შეფასების ინსტრუმენტების ფორმას და პროფესიულ მასწავლებელს აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს წერილობითი ან/და ზეპირ სიტყვიერი ფორმით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ, ხოლო დარგის სხვა სპეციალისტი შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით“.

შიდა ვერიფიკაციის სიტემა მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, ხოლო შეფასებისთვის შერჩევა ეფუძნება რისკების სისტემას (საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება, მოდულის ფარგლებში გადაბარების ფაქტის არსებობა, პრაქტიკული დავალების სიმრავლე, დამწყები მასწავლებელი და ა.შ.).
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები:

— „ვერიფიკაციის პროცესის გეგმა“, რომელიც წარმოადგენს სსიპ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვერიფიკაციის და შეფასების პროცესში ჩართულ პირთა პასუხისმგებლობებისა და როლების განაწილების სქემას.
— „ვერიფიკაციის გეგმა“ - რომლის თანახმად 2025 წლის თებერვლის თვეში შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი (3 პირი: მასწავლებლები და დარგის სპეციალისტი), დოკუმენტით განსაზღვრულია შესასრულებელი აქტივობები („დიალოგი შეფასების ინსტრუმენტის შედგენა-გამოყენებაზე“, „საქმიანი შეხვედრა განმეორებითი შეფასება“, „გამოცდილების გაზიარება მიმართულება პრაქტიკული დავალება“ და ა.შ.), თუმცა პასუხისმგებელი პირები შესრულებაზე არიან არა ჯგუფის წევრები.
— „შეფასების ვალიდაცია“ - დოკუმენტში მოცემულია „ვალიდაციის შეფასებისთვის“ შექმნი ჯგუფის შემადგენლობა (აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობა განსხვავდება ვერიფიკაციის დოკუმენტში მითითებული ჯგუფისგან). ჯგუფის მიერ შესაფასებელი საკითხები შემოიფარგლება: „არის თუ არა შეფასების პროცესი დაგეგმილი მიზნის შესაბამისად?“, „ხდება თუ არა შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა მიზნიდან გამომდინარე?“, „აქვს თუ არა სტუდენტს შესაძლებლობა შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე წარმოაჩინოს კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა-უნარები?“, “ვალიდაციის შეფასების შედეგებზე რეაგირება იძლევა თუ არა გაუმჯობესების შესაძლებლობას?“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „ვერიფიკაციის გეგმა რისკების მიხედვით“ - განსაზღვრულია საინფორმაციო შეხვედრის შინაარსი და პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტის შინაარსი ფაქტობრივად იდენტურია ზემოთ აღწერილი „ვერიფიკაციის გეგმის“. განსხვავდებიან შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ამოცანათა შესრულების პერიოდი განსაზღვრულია 2025 წლის თებერვალი-ოქტომბრის პერიოდით. დოკუმენტი არ მოიცავს დაწესებულების მიერ პროცედურით დადგენილი შერჩევისთვის იდენტიფიცირებულ რისკებს. დოკუმენტის სტრუქტურა არ შეესაბამება პროცესისთვის საჭირო რისკების გეგმას.
- „ვერიფიკაციის დასკვნა“ - დაწესებულების მიერ მოდულის ფარგლებში თითოეული სწავლის შედეგის ინსტრუმენტისთვის დგება დასკვნა და ფასდება შეფასების სისტემის აღიარებული პრინციპების დაცვა: ვალიდურობა (შეფასების ინსტრუმენტი), სანდოობა (მტკიცებულება), გამჭვირვალობა, ეფექტურობა, სამართლიანობა (შეფასების პროცესი), (წარმოდგენილი დასკვნები დათარიღებულია: 30.03.2023 მოდული „მენეჯერული (მმართველობითი) აღრიცხვა“ სწავლის შედეგი 3 - შეფასების პერიოდი 2023 წლის მარტი; 02.07.2024 მოდული “პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტის წარმოება“ სწავლის შედეგი 1, შეფასების პერიოდი - 2024 წლის ივლისი). წესის 2.5.4 პუნქტის თანახმად „ვერიფიკაციის დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი“. წარმოდგენილი დასკვნები მოიცავენ რეკომენდაციებს, მაგ. რომ პრაქტიკული დავალებისთვის პირველადი დოკუმენტაციის შევსება დაკავშირებული ყოფილიყო კონკრეტული საწარმოს ბიზნეს საქმიანობის მაგალითზე. ან შეფასების ინსტრუმენტში მითითებული იყოს კონსულტაციის დრო და ა.შ. ასევე დასკვნებით ირკვევა რომ ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, შეფასების პროცესის შეფასების მიზნით, განხორციელდა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც ჯგუფი ადასტურებს შეფასების პროცესის სტუდენტების მიერ დადებითად შეფასებასა და კმაყოფილებას.

დაწესებულების მიერ არ ყოფილა ვერიფიკაციის დასკვნებში ასახული რეკომენდაციების დანერგვის/გათვალისწინების ან/და მათი შესრულების მონიტორინგის მტკიცებულებები. ასევე სასურველია დაწესებულებამ გადახედოს ვერიფიკაციის წესს, შეიმუშაოს პროცესის დოკუმენტური უზრუნველყოფისთვის ისეთი ფორმები, რომლებიც მოიცავენ საკითხთან დაკავშირებულ სრულყოფილ ინფორმაციას. სასურველია შემუშავდეს ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტების წარმოების/მართვის ინსტრუქციები. ამასთან დოკუმენტებში სამუშაო ჯგუფების, შესრულების ან/და გეგმების შესახებ ციტირებისას მითითებული იქნეს დამტკიცების აქტის რეკვიზიტები. უზრუნველყოფილი იქნეს საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში ვერიფიკაციის გეგმის შემუშავების/ფორმის ტიპური ნიმუშის შემუშავება (შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის საფუძვლის/რისკის/რისკების, მოდულის განმახორციელებელი/შეფასების ინსტრუმენტის ავტორის, ვერიფიკატორის, შესრულების ვადების, მ.შ. დასკვნის წარმოდგენის ვადის მითითებით), ასევე დაცული იქნეს შიდა რეგულაციის მოთხოვნა და გამოცემული იქნეს ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (აღნიშნული შინაარსის დოკუმენტი ექსპერტებთან წარმოდგენილი არ ყოფილა). დაწესებულებამ უზრუნველყოს ვერიფიკაციის პროცესში შექმნილი დოკუმენტების დამტკიცების რეკვიზიტების განთავსება/დამტკიცება და შემსრულებლების/პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერა.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, 2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასურველია დაწესებულებამ გადახედოს არსებულ ვერიფიკაციის წესს. დახვეწოს/შეიმუშაოს პროცესის სრულყოფილად დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტების წარმოების/მართვის ინსტრუქციები.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - დაწესებულებაში შექმნილია საქმეთა ნომენკლატურა, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულებაში წარმოებული საქმეების/დოკუმენტების შენახვის ვადები. საქმეთა ნომენკლატურა შეთანხმებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონულ არქივთან (შეთანხმების და დამტკიცების რეკვიზიტები: ოქმი #2 25.04.2025; 15.05.2025). სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, ასევე განსაზღვრულია ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისი დებულებები, კერძოდ: რეგულაციის 25[1] მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოს, ხოლო მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები განსაზღვრავენ მტკიცებულებებისა და შეფასების უწყისების შენახვის ვადებს, რომელთა თანახმად, შეფასების მტკიცებულებები ინახება, კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად ინახება 25 წლის ვადით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული ვადა, შესაბამისია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 72 ბრძანებით „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ“ დადგენილი მოთხოვნების. თუმცა ამავე რეგულაციის 26-ე მუხლის მე- 12 პუნქტით განსაზღვრულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული განმარტებების და რეკომენდაციების შესაბამისი ვადა „სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ“. დაწესებულებამ სასურველია მოახდინოს პროცედურას და უზრუნველყოს საკითხის ურთიერთგამომრიცხავი დებულებების რედაქტირება.

შიდა რეგულაციის თანახმად, მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 26). ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტები ინახება დაწესებულების არქივში, ხოლო ვადაგასული დოკუმენტები ნადგურდება კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

ინდიკატორის 2.4.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>სასურველია გადაიხედოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და უზრუნველყოფილი იქნეს საკითხის ურთიერთგამომრიცხავი დებულებების რედაქტირება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის უზრუნველყოფის მექანიზმები. პროფესიული განათლების მასწავლებელი, შეფასების შედეგებს აანალიზებს რის საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესს მუდმივად ახლავს თან. პროფესიული სტუდენტების მიღწევების ანალიზისა და შეფასების მიზნით, დაწესებულებაში ასევე დანერგილია, თითოეული მოდულის ფარგლებში შუალედური შეფასება. მასწავლებლების მიერ ხდება შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა კომპეტენციების განვითარების მიზნით. უკუკავშირის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს. კონსულტაციების ჩატარებას ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. **შესაბამისად ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება);
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი (08.12.2022 წ. № 01-03/25 ბრძანება);
3. დაწესებულების რექტორის ბრძანება #01-03/13 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების“ სტუდენტებისთვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ (04.07.2022 წ.);
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ (25.03. 2021 წ. 01-03/03-ა ბრძანება)
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ვერიფიკაციის პროცესის დამდასტურებელი დოკუმენტაცია (ვერიფიკაციის დასკვნები, გეგმები);
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საქმეთა ნომენკლატურა;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები;
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო განათლებაში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება № 01-03/20ბ, 28.09.2022
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ა. რ. შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები („ხიჭაური“)
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....

.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას -

   საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რომლის თანახმად ქვეყნის/რეგიონის კეთილდღეობისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის დაწესებულება ქმნის პროფესიული განათლების მისაღებ შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს კვალიფიციური პროფესიული კადრის მომზადებას და ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. ასევე, არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიზნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედანია

სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - დაწესებულების სამოქმედო არეალია უმთავრესად აჭარის რეგიონი, მათ შორის ზემო აჭარა. რეგიონში, ბოლო ათწლეულში სამჯერ მეტი სტაციონარული და ამბულატორიული ტიპის სამედიცინო დაწესებულება გაიხსნა, ვიდრე იყო. თანამედროვე ტექნოლოგიის არსებობამ სამედიცინო სფეროში წინ წამოსწია ისეთი დარგები, რომლებიც წლების წინ რეგიონის სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალში არ შედიოდა. მკვეთრად გაიზარდა სტაციონარებში საწოლის რაოდენობა. მნიშვნელოვანია ასევე აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს2026-2029 წლების სტრატეგია - საშუალოვადიანი პრიორიტეტით 2026 წლიდან ბიუჯეტი 11,8 %-ით იზრდება, რაც განპირობებულია რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებში მომართვიანობის ზრდით. ამასთან 2024 ოფიციალური წლის სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობის სიმჭიდროვით, აჭარის რეგიონი მეორეა თბილისის შემდეგ.

გამომდინარე აქედან, რეგიონში მოთხოვნა საშუალო მედპერსონალზე აქტუალურია. აღნიშნული დასტურდება ასევე ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებითა და პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულთა ადგილობრივი, პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვებით. დაწესებულებას აქვს პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე შესაბამისი ადამიანური თუ მატერიალური რესურსი, თანამშრომლობს მრავალპროფილური კლინიკებთან, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრის მომზადებას. არგუმენტირების დოკუმენტში დაწესებულება აღნიშნავს, რომ ანალოგიური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება აჭარის რეგიონის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიასა და შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიაში) თუმცა ზემო აჭარისა და კონკრეტულად შუახევის რეგიონში, ასეთი პროგრამა არ ხორციელდება. დაწესებულების მიზანშეწონილობის დოკუმენტში მოყვანილია ასევე კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი, რომლის თანახმად, ბოლო 6 წლის განმავლობაში საექთნო განათლების დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი 98% შეადგენს.

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საექთნო განათლება“ დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა „სრული ზოგადი განათლება“, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები, მ.შ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვა, განსაზღვრულია დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ აგრეთვე გამოთხოვილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ჩარიცხვის პროცედურების შესაბამისი დოკუმენტაცია (რეიტინგული სიები, ჩარიცხვის ბრძანებები, პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეები), რაც თავსებადი აღმოჩნდა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ დებულებებთან. პროფესიული სტუდენტები ჩარიცხულები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვისას გათვალისწინებულია შესაბამისი განათლების დონე/საფეხური პროცენტულობის გაანგარიშებით. აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეტანილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის რეესტრში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“ (27.12.2021 წ. № 01-03/36 ბრძანება). აღნიშნული საკითხის რეგულირდება ასევე „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს 30-ე მუხლით (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება). დაწესებულების სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა: სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს; პროგრამის ხანგრძლივობას, განხორციელების სპეციფიკას; რესურსების საკმარისობას და სხვა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დასაბუთების მიხედვით, ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს - 60 პროფესიულ სტუდენტ (2 ჯგ. მიღებაზე (15+15=30), 30-30 სტუდენტი 2 ნაკადად), რისთვისაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს შემდეგი სასწავლო გარემო:

- B გარემო 16 სამუშაო ადგილით (15 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილი პროფესიული მასწავლებლისთვის). სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და მ.შ. სასწავლო რესურსით.
- 2 A გარემო 21 სამუშაო ადგილით (20 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილი პროფესიული მასწავლებლისთვის)(დეტალური ინფორმაცია იხ. მე-4 ინდიკატორის აღწერასთან).
- C გარემო, შესაბამისი აღჭურვით, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით ასევე გაფორმებულია ხელშეკრულებების კლინიკებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ განსზღვრული კვოტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების სწავლებას. პრაქტიკის ობიექტებს ხელშეკრულებებით განსაზღვრულ მიმართულებებში გააჩნიათ, შესაბამისი მარეგულირებლის მიერ გაცემული საქმიანობის ნებართვები/ლიცენზია.

წარმოდგენილი პროგრამისა და მეთოდოლოგიის შესწავლის, საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი გარემოს ვიზუალური შეფასების, დაწესებულების ადმინისტრაციულ და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად ინფრასტრუქტურული, რესურსული და საგანმანათლებლო შესაძლებლობების გათვალისწინებით. დაწესებულებას შეუძლია პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტის მიღება (30-30 პირი 2 ნაკადად). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ კვოტას.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,საექთნო განათლება“ განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას ახლავს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, მ.შ. სასწავლო (პროგრამის მიზნებისთვის 65 ერთეული), მათი არსებობა ბიბლიოთეკაში. დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული რესურსი რელევანტურია, ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული ფორმით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. გასაუბრებისას, სასწავლო რესურსზე ხელმისაწვდომობა დაადასტურეს როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა. ვიზუალური დათვალიერებისას დადასტურდა ასევე საჭირო რესურსის ფაქტობრივი არსებობა აუდიტორიებში. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტით (დოკუმენტის დამტკიცების რეკვიზიტები: 25.01.2025, ბრძანება #02-05-04/01) და ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მფლობელობაშია:

- დაფა 3 ცალი
- პროექტორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- B გარემო, 16 სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი, მ.შ. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, სასწავლო ზიარდება სხვა პროგრამის ფარგლებში. სასწავლო გარემო წარმოდგენილი რესურსითა და საათობრივი დატვირთვით გამტარუნარიანია).
- 2 A გარემო, 20-20 სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი) და სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.
- C გარემო შესაბამისი აღჭურვით, ინვენტარითა და სახარჯი რესურსებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა ან/და შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - **საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - დაწესებულების დებულების (ბრძანება № 01-03/10, 17.06.2022) თანახმად, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო კვლევით და პროფესიულ პროგრამებს და პროგრამაში შესატან ცვლილებებს (მუხლი 6. პ.2 „გ“), ხოლო აკადემიურ საბჭოში თავმჯდომარის სტატუსით შედის უნივერსიტეტის რექტორი (მუხლი 6, პ.1 „დ“). დაწესებულების მიერ წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს ოქმი (#02-01/05. 05.09.2022წ.), სადაც განხილულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და რექტორის მიერ გამოცემული აქტი, საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ (#01-03/20ბ, 28.09.2022 წ.).

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება ანალოგიურია პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „საექთნო განათლება/Nursing“ (სარეგისტრაციო ნომერი 09109-პ) დასახელებასა და სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Higher Vocational Qualification in Nursing). შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს: შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, განახორციელოს თერაპიული, ქირურგიული, პედიატრიული, გადაუდებელი და კრიტიკულ მდგომარეობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; ასევე სამეანო და გინეკოლოგიური, გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა; უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა და სხვა. შესაბამისად არ არის შეცდომაში შემყვანი;

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - დაწესებულების პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. იგი ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 21.05.2018 N407/ი ბრძანებით დამტკიცებულ (ცვლილება 2021 წლის 11 თებერვლის N93013) ჩარჩო დოკუმენტს - ,,საექთნო განათლება“ (სარეგისტრაციო ნომერი 09109-პ). განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების წინაპირობა, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები.

პროგრამა მოიცავს ზოგად, თეორიული სწავლების საბაზო მეცნიერებების, თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებების, თეორიული სწავლება საექთნო საქმის, კლინიკური და პრაქტიკული სწავლების მოდულებს, ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობის მოცულობით. პროგრამა ითვალისწინებს ასევე ქართული ენის მოდულებს (A2, B1 ჯამში 30 კრედიტის ოდენობით), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ამ შემთხვევაში პროგრამის მოცულობა შეადგენს 210 კრედიტს, ხოლო ქართული ენის გარეშე, კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი. კვალიფიკაციის მინიჭების პირობაა, განსაზღვრულ კრედიტებთან ერთად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

პროგრამა მოიცავს ასევე ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია მოდულის განხორციელებასა და სსსმ/შშმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დანართებითურთ (დამტკიცების რეკვიზიტები: № 01-03/20ბ, 28.09.2022);
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი (ბრძანება № 01-03/5, 12.03.2023);
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება (ბრძანება № 01-03/10, 17.06.2022);
4. ბრძანება № 01-03/20ბ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული პროგრამების - „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“, „საექთნო განათლება“, „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცების თაობაზე“ (28.09.2022);
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს კრების ოქმი (№ 02-01/05, 05.09.2022);
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა (19.03.2021 წ. № 01-03/08 ბრძანება)
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება);
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი“ (27.12.2021 წ. № 01-03/36 ბრძანება)
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის თანაგანმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და საქმიანობის ნებართვები.
11. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტი (25.01.2025, ბრძანება #02-05-04/01)
12. 2023-2024 წლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანებები და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიები
13. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეებში (ხიჭაური), რომელიც დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში აქვს გადაცემული საქართველოს საპატრიარქოს მიერ 10 წლის ვადით შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 12 741,4 კვ.მ (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 10.12.2021 წ.), ასევე მოძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 28.05.2025წ.). დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტებმა შეამოწმეს მატერიალური რესურსის ფაქტობრივი არსებობა და მათი კანონიერ საკუთრებაში ფლობის/განკარგვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაცია. დაათვალიერეს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ განსაზღვრული მატერიალური რესურსი იხ. 2.1.1 (4) ინდიკატორის აღწერასთან). დაწესებულება გეგმავს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმაა კოოპერაციული სწავლება, რომლის უზრუნველსაყოფად, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამისი ნებართვების მქონე 5 კლინიკასთან:

1. სს „ვიანი“ მ. იაშვილის სახ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი ს/კ 402295716, ხელშეკრულებით (გაფორმების თარიღი: 21.05.2025) განსაზღვრულია 60 პროფესიული სტუდენტი;
2. შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი, ხელშეკრულებით (გაფორმების თარიღი: 21.05.2025) განსაზღვრულია 60 პროფესიული სტუდენტი;
3. შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო, ხელშეკრულებით (გაფორმების თარიღი: 14.05.2025) განსაზღვრულია 60 პროფესიული სტუდენტი;
4. სს „საქართველოს კლინიკები“ 404476205 -ქედის კლინიკა, ხელშეკრულებით (გაფორმების თარიღი: 15.05.2025) განსაზღვრულია 60 პროფესიული სტუდენტი;
5. სს „საქართველოს კლინიკები“ 404476205 -შუახევის კლინიკა, ხელშეკრულებით (გაფორმების თარიღი: 15.05.2025) განსაზღვრულია 60 პროფესიული სტუდენტი;

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო შპს საქართველოს საპატრიარქოს წმ. იოაკიმეს და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრთან (204483380) გაფორმებული ხელშეკრულება (15.05.2025). კლინიკები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ხელშეკრულებები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობას (1/7) და პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენებას, პროგრამით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიულ სტუდენტებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებლად იყენებენ მოდულის/სწავლის შედეგის შესაბამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 17 მასწავლებელი, აქედან 14 პროფესიული დარგობრივი მოდულების, ხოლო 3 ზოგადი მოდულებისა. ხელშეკრულება გაფორმებულია 4 ინსტრუქტორთან (თითოეულ ნაკადზე მისაღები პროფესიული სტუდენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაქსიმალური რაოდენობაა - 30 პროფესიული სტუდენტი) პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ აღემატება „საქართველოს შრომის კოდექსი"-თ დადგენილ ზღვრულ ნორმას - კვირაში 40 საათს. პროგრამას თან ახლავს დანართი, პროგრამის ადამიანური რესურსი - განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ერთზე მეტი განმახორციელებელი პერსონალი. აღნიშნული ასევე დასტურდება განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. ხოლო პრაქტიკული კომპონენტის/კლინიკური სწავლების ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობის (1/7) უზრუნველყოფას.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობისა და ანალოგიური მოდულის/სასწავლო კურსის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც დაწესებულებაში ორგანიზებული, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ ტრენინგები, ისე, უნარების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგები: „ სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება" და „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით". პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია, პროგრამის ხელმძღვანელი, კვალიფიციური ექიმი-ონკოლოგი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანახელმძღვანელი - პრაქტიკოსი ექთანი. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ასევე მისი ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. წარმოდგენილი პირადი საქმით დასტურდება შერჩეული პირის დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავების და განხორციელების საორგანიზაციო პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი პასუხისმგებლები არიან პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე, საჭირო მატერიალური თუ ადამიანური რესურსის მოძიებასა და მათ განვითარებაზე. ჩართულები არიან პროფესიული მასწავლებლების შერჩევა-ადაპტაციის, ასევე შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, მ.შ. საკანონმდებლო აქტები. დაწესებულებას შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალს შესაძლებლობას აქვთ, გაეცნონ საკანონმდებლო სიახლეებს. ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკის მომსახურებით. ვიზიტის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის დასტურადაც ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსის მოძრაობის/სარგებლობის დამადასტურებელი ჟურნალი.

ინდიკატორი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვიდარია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 25-ე, 30-ე და 31-ე მუხლებით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების ან სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, სასწავლო ფართის, სასწავლო რესურსების ადაპტირება და შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა. ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა (მუხლი 25).

პერსონალის განმარტებით, დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა, ადმინისტრაციის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირების მხარდასაჭერად დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, ასისტენტის ან სხვა მხარდამჭერი პირების აყვანას, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. გადაადგილების ან სხვა მოტორული დარღვევის შემთხვევაში, დაწესებულების დაცვის პერსონალი უზრუნველყოფს მათ დახმარებას გადაადგილებასა და სტრუქტურულ ერთეულთან კომუნიკაციაში. პერსონალთან გასაუბრებით ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული მიმართულებით დაწესებულებაში ამგვარ პრაქტიკას ადგილი არ ჰქონია, თუმცა არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს შესაძლებლობა ექნებათ წვდომა ჰქონდეთ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - საგანმანათლებლო პროგრამა ბიუჯეტის მაჩვენებლებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით ფინანსურად მდგრადია, რადგან, პროგრამის ადმინისტრირება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული და საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ადმინისტრირებისა და საოპერაციო ხარჯებს: პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებას, საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების, ასევე პერსონალის განვითარების და სტუდენტური სერვისების, სხვადასხვა სამეურნეო და საკანცელარიო, საბიბლიოთეკო, სატრანსპორტო მომსახურებისა და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო პროგრამის საპროგნოზო და კორექტირებული ბიუჯეტები. საპროგნოზო ბიუჯეტი დაანგარიშებულია 60 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო კორექტირებული (რეალური) 5 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამების ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარია 1პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების პერსონალის განმარტებით, მისიიდან გამომდინარე, დაწესებულებისთვის პროგრამების განხორციელებას არ აქვს კომერციული მიზანი და საჭიროებისას, სწავლება განხორციელდება ერთი სტუდენტისთვისაც. ამგვარ შემთხვევაში, პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო რესურსს გამოყოფს საქართველოს საპატრიარქო. წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კორექტირებული ბიუჯეტით, პროგრამის შემოსავლები ასე გამოყურება: ვაუჩერული დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25 000 ₾, ხოლო საპატრიარქოს დაფინანსება შეადგენს 20 000 ₾.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ექსპერტთა ბოლო ვიზიტის დროს, ინდიკატორთან დაკავშირებით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, გათვალისწინებული იქნეს მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი ფორსმაჟორული არახელსაყრელი ვითარების ფინანსური გადაზღვევა, რისთვისაც დამატებითი სახსრების გაწევა შეიძლება დასჭირდეს დაწესებულებას (მაგ. დიდთოვლობით ან სხვა მეტეოროლოგიური პირობებით გამო გამოწვეული ხარჯები), დაწესებულების ფინანსურ მართვაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სახის ხარჯები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტის მუხლით „სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები“. ბიუჯეტის ანალიზით ირკვევა რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის ფინანსურ მდგრადობას.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუის საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დანართებითურთ (დამტკიცების რეკვიზიტები: № 01-03/20ბ, 28.09.2022);
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
3. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტი (25.01.2025, ბრძანება #02-05-04/01);
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო და კორექტირებული ბიუჯეტები;
5. საქართველოს საპატრიარქოს მიერ სხალთის ეპარქიაში არსებული უძრავი ქონების დაწესებულებისთვის თხოვების ხელშეკრულება;
6. საქართველოს საპატრიარქოს მიერ სხალთის ეპარქიაში არსებული მოძრავი ქონების დაწესებულებისთვის თხოვების ხელშეკრულება;
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დანიშვნის თაობაზე დაწესებულების რექტორის ბრძანება (#01-03/2ა, 07.03.2023);
8. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები;
9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება)
10. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია აგებულია დემინგის ციკლის გათვალისწინებით. შეფასების მეთოდოლოგია გაწერილია დაწესებულების შემდეგ დოკუმენტებში: „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი“ (ბრძანება № 01-03/5, 12.03.2023) და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და შეფასება“. აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებენ: მონიტორინგის დაგეგმვას და პროგრამის შეფასებას სხვადასხვა სამიზნე ნიშნულების/ჯგუფების მიმართულებით: სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების და შრომის ბაზრის კვლევა და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, დაწესებულებაში დანერგილია და გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: წინასწარ დადგენილი შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შესაბამისად ყოველწლიური შეფასება; ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე პროფესიული განათლების მასწავლებლების ურთიერთდასწრება, ასევე შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ საკონტაქტო საათებზე დასწრება; აკადემიური/მოწვეული პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო-პედაგოგიური ანგარიშების მომზადება და მონიტორინგი; პროგრამაში ჩართული პირების, დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) ყოველწლიური გამოკითხვა (ბრძანება № 01-03/5, 12.03.2023, მუხლი 4.) .

პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და დაწესებულების ადმინისტრაციას გაცნობიერებული აქვს პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და თავად პროგრამის განხორციელების ადმინისტრირებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელი პირების სრული ჩართულობა. მათგან მიღებულ უკუკავშირს, სხვადასხვა გამოკითხვის/კვლევის საფუძველზე შემოსულ წინადადებებს ითვალისწინებს პროგრამის განვითარებისა და განხორციელების გაუმჯობესებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა ასევე, რომ მცირერიცხოვანი ჯგუფებიდან გამომდინარე, უფრო ეფექტურად მიიჩნევს ზეპირ გამოკითხვას/ინტერვიუს პროფესიულ სტუდენტებთან, რასაც ხშირად მიმართავენ. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ ასევე ეფექტურად იყენებენ ურთიერთდასწრების მექანიზმს, რაც როგორც სასწავლო პროცესის, ისე მასწავლებლის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. აქვე აღინიშნა, რომ ურთიერთდასწრების გეგმის დამტკიცების პრაქტიკა არ აქვს დაწესებულებას. ასევე არ ყოფილა, დასწრების/მეცადინეობის ან/და პერსონალის შეფასების მტკიცებულებები (დოკუმენტირებული უკუკავშირი). პერსონალის განმარტებით, მეცადინეობის შემდეგ ხდება ზეპირი განხილვა და უკუკავშირი პერსონალთან.

დაწესებულების მიერ, ასევე წარმოდგენილი იყოს 2024 წლის „სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის კვლევის მეთოდოლოგია“, კვლევის სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული განათლების მოწვეული მასწავლებელი/ინსტრუქტორი, ადმინისტრაციული პერსონალი, ხოლო გარე საჭიროებების დადგენის დროს - დამსაქმებელი, პროფესიული ასოციაციები, შრომის ბაზარი და სხვა. (მუხლი 2. პ.3). დოკუმენტის თანახმად, ნებისმიერი სახის კვლევებს სასწავლო უნივერსიტეტში ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული განათლების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სამსახურთან მჭიდრო კომუნიკაციით. კვლევის პერიოდულობა განისაზღვრება თითოეული ამოცანისთვის ინდივიდუალურად. მაგ. პროფესიული სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ, ან კურსდამთავრებულის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ორ წელიწადში ერთხელ. ამასთან, საჭიროებიდან გამომდინარე, კვლევის სიხშირე შესაძლებელია განისაზღვროს დადგენილისგან განსხვავებული სიხშირით (მუხლი 3); განსაზღვრულია ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების კვლევის პერიოდულობა. კვლევის თემატიკა და კითხვარები მოიცავს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე ინფრასტრუქტურის შეფასებას. კვლევა ხორციელდება, როგორც წერილობითი გამოკითხვებით, ან გასაუბრებით, ელექტრონულად Google პლატფორმის გამოყენებით (მუხლი 2. პ.5).

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ განხილული იქნა ასევე „google” პლატფორმის გამოყენებით განხორციელებული გამოკითხვის ანალიზი და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების ფურცლები (08.02.2025) არაც ადასტურებს, რომ **ინდიკატორის 2.3.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>ურთიერთდასწრების ეფექტურად ორგანიზებისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ყველა მოდულის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, ურთიერთდასწრების გეგმა-გრაფიკი წინასწარ იქნეს შემუშავებული და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ დამტკიცებული. ასევე, სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დასწრების შედეგების/შეფასებისა და უკუკავშირის დოკუმენტირება.</u>

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - მოქმედი შიდა რეგულაციებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიების თანახმად, რომლებიც ეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების/გაუქმებისა და გაუმჯობესების პროცედურებს, გულისხმობს გამოკითხვის ან/და პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებული საჭიროების შემთხვევაში გახორციელდეს შესაბამისი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ან/და მათი განხორციელების პროცესში, განსაზღვრული წესების გათვალისწინებთ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, კვლევების ინსტრუმენტები, ჩატარებული კვლევების შეფასებები, ანალიზი, ვერიფიკაციის ანგარიშები, რაც ასახავს განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფისთვის ჩატარებულ აქტივობებს, მეთოდოლოგიების/შიდა რეგულაციების შესაბამისად.

ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი“ (ბრძანება № 01-03/5, 12.03.2023);
2. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და შეფასება“
3. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძანება №02-05-04/01ა, 27.01.2025; ცვლილება: ბრძანება №12-02/01- 11.06. 2025 წ.)
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის კვლევის მეთოდოლოგია (ბრძანება №01-03/29, 2024 წ.)
5. დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანგარიში
6. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - გეგმის თანახმად, ქართული ენის მოდულების გარეშე, პროგრამაზე სწავლების სრული ხანგრძლივობაა - 3 წელი, 123 სასწავლო კვირა. გემაში ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულით გათვალისწინებული საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით (კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს). საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია სწავლის შედგებით გათვალისწინებული კომპეტენციის მიღწევისთვის საჭირო ლოგიკური თანმიმდევრობა და მოდულზე დაშვების წინაპირობები. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულის გადაბარების საჭიროების დადგომისას. პროგრამა დაგეგმილია კურაციული სწავლების მიდგომით. <u>ცალკეა წარმოდგენილი ქართული ენის მოდულების განხორციელების სასწავლო გეგმა, რომლის ხანგრძლივობაა 26 სასწავლო კვირა *(შენიშვნა: გუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით იგივე მოდულების დაგეგმილია 20, ხოლო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღმზრდელის პროგრამაზე - 40 სასწავლო კვირაზე).*</u> ქართული ენის მოდულების გეგმა არ მოიცავს განმეორებითი დადასტურებისთვის პერიოდებს. ამასთან, დაწესებულების პროფესიული სტუდენტების კონტინგენტი, მოიცავს 2024 წლის მიღების ფარგლებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია შუალედური შეფასების წესი, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 აგვისტოს N416 დადგენილებით განსაზღვრულ შუალედური შეფასების პერიოდს. სასწავლო გეგმა ასევე არ მოიცავს საკვალიფიკაციო გამოცდისთვის განსაზღვრულ პერიოდს. <u>***სასწავლო გეგმას დაემატოს პროგრამით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო გამოცდის კვირა/პერიოდი, ხოლო 2024 წლის მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილ სასწავლო გეგმას ასევე შუალედური შეფასების პერიოდი.***</u>

ექსპერტების მიერ განხილული იქნა ასევე პროგრამის ფარგლებში შემუშავებული კალენდარული გეგმები. კალენდარული გეგმა მოიცავს მოდულისა და პროგრამის შესახებ აუცილებელ რეკვიზიტებს, ინფორმაციას განმახორციელებელი პირის შესახებ. გეგმაში, პირდაპირ არის მოდულის სწავლის შედეგი/შესრულების ინდიკატორი გადმოტანილი მოდულის განხორციელების/სასწავლო ცხრილის შესაბამისად. კალენდარული გეგმით ვერ დგინდება რა თემატიკის/რა ტიპის დავალებები სრულდება მეცადინეობაზე, ასევე არაა განსაზღვრული რა ტიპის დამოუკიდებელი სამუშაოა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონკრეტული თემატიკისთვის, რაში გამოიყენება აღნიშნული საათები, რაც არ იძლევა სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას, რამდენად რაციონალურად არის განაწილებული სწავლის ან დამოუკიდებელი სამუშაოსთვის საათები.

განმახორციელებელ პირთან გასაუბრებით, დადგინდა რომ სწავლების მრავალფეროვანი მეთოდი გამოიყენება, როგორიცაა სიტუაციური ამოცანები, დისკუსია, პრეზენტაციები, პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება და სხვა. სწავლების მეთოდების მრავალფეროვან მიდგომებს ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მეცადინეობათა უფრო ეფექტური დაგეგმვა, შეიმუშაოს სრულყოფილი კალენდარული გეგმები, რაშიც აისახება სასწავლო პროცესში რეალურად გამოყენებული მეთოდები/აქტივობა. ამასთან უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო პროცესის/საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის დაგეგმვისა და ხარისხის მაჩვენებელი და ასევე შეიქმნება დამატებითი ინსტრუმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის/კომპეტენციის შეფასებისთვის.

დაწესებულების მხრიდან, ორგანიზებული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრა. მათ აღნიშნეს **სასწავლო პროცესის მიმდინარეობით და ხარისხით კმაყოფილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის 2.4.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

- <u>ქართული ენის მოდულების განხორციელების სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნეს მოდულის სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების/დადასტურების ვადები;</u>
- <u>სასწავლო გეგმებს დაემატოს კვალიფიკაციის მინიჭების, ხოლო 2024 წლის მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილ სასწავლო გეგმებს ასევე დაემატოს შუალედური შეფასების პერიოდი.</u>
- <u>სასწავლო პროცესის/საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის დაგეგმვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილი იქნეს კალენდარული გეგმებში მეცადინეობათა უფრო დეტალური და ეფექტური დაგეგმვა.</u>

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით, პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებენ სტუდენტთა მხარდაჭერას, რომლებიც ნებისმიერი საჭიროების შესახებ მყისიერად იღებენ უკუკავშირს ადმინისტრაციისგან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის 2.4.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - ვიზიტის დროს პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა, პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომას, ინფორმაციის მოძიებისა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. პროგრამას აქვს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიებითა და პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი B და C სასწავლო გარემო. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები, პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები/თანამედროვე ტექნოლოგიები(იხ. ასევე 2.4.1 (1) ინდიკატორის აღწერა).

ინდიკატორის 2.4.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, რისთვისაც „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-თ გაწერილი პროცედურების შესაბამისად, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. აღნიშნულ პრაქტიკას საქმიანობისას ადგილი არ ჰქონია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებას აქვს პოტენციალი და მზაობა უზრუნველყოს ინდივიდუალური გეგმის შემუშავება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით, რისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულებების რეგიონის კლინიკებთან და ასევე საქართველოს საპატრიარქოს წმ. იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრთან. (იხ. ასევე 2.2.1(1) ინდიკატორის აღწერა). პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს თანამშრომლობას. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს: პროგრამის სახელწოდება, ხელშეკრულების საგანი,მხარეთა უფლება მოვალეობები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა, მომსახურების ღირებულება და ანაზღაურების წესი, ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ფორს-მაჟორი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი გაუქმება, შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. ხელშეკრულებებს ახლავს დანართები: საგანმანათლებლო პროგრამა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულები, სწავლების პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ინსტრუქტორის და პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა, ძირითადი ფუნქციები-მოვალეობები; საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლების“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში საჭირო რესურსების ჩამონათვალი და სასწავლო გეგმა/განრიგი.

შერჩეულ ობიექტებს შორის განაწილებულია პროგრამით განსაზღვრული მოდულები, ისე, რომ საქმიანობის სახელმწიფო ნებართვების ფარგლებში იფარება, საგანმანათლებლო პროგრამა. თანამშრომლობის შესახებ მზაობას ადასტურებენ პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებიც.

შერჩეული პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც ასევე დადასტურდა პარტნიორთან გასაუბრებით. თუმცა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს კოოპერაციული სწავლების განმახორციელებელი სუბიექტისთვის დადგენილებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი, რაც არ ყოფილა წარმოდგენილი. ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებენ, რომ დაწესებულება და საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორები, უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ურთიერთათანამშრომლობას, რასაც ადასტურებს გაფორმებული ხელშეკრულებები და გასაუბრების შედეგები.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
დაწესებულებამ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესის შემუშავება.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - საგანმანათლებლო პროგრამის დაწესებულებაში თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება არ საჭიროებს სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას. პროგრამაზე ვრცელდება ტიპური საოფისე საქმიანობისა და მონიტორიან მოწყობილობებთან მუშაობის მოთხოვნები, რის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები“ (09.12.2021 წ. ბრძანება #01-03/29). დოკუმენტით გაწერილია შრომის უსაფრთხოების როგორც ზოგადი მოთხოვნები, ისე კომპიუტერებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები (თავი 5). ვიზიტის დროს შეხვედრა შედგა დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელმაც აღნიშნა, რომ პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება შეხვედრები და ინსტრუქტაჟი, უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ, რასაც ასევე დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა. ხოლო შერჩეულ ობიექტებში, უსაფრთხოების საკითხები ხელშეკრულებით პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტის პასუხისმგებლობაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დანართებითურთ
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
3. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „შრომის უსაფრთხოების მართვის წესი და მექანიზმები“ (09.12.2021 წ. #01-03/29 ბრძანება).
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება);
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - აღნიშნული პრინციპების უზრუნველყოფისათვის, პსდ-ს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 26). საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესები (მუხლი 28 და 29) მ.შ. ინტეგრირებული მოდულების დადასტურების კომისიის რეგლამენტი (მუხლი 17), ასევე შემუშავებულია შუალედური შეფასების წესი (მუხლი 27[1]). რეგულაცია ასევე ითვალისწინებს გასაჩივრების წესებსაც (მუხლი 27).

წესის თანახმად, კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაადასტუროს სწავლის შედეგი პროგრამის დასრულებამდე, ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე ორჯერ, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს მოდული/სწავლის შედეგი. წესის თანახმად სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და კრიტერიუმის მიხედვით; რეგულაციით ასევე შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება. თუმცა პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და სტუდენტებთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების განხილვით, დასტურდება, რომ დაწესებულებაში ძირითადად ცალკეული შედეგების დადასტურების პრაქტიკა არსებობს. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულის ფარგლებში არსებული სწავლის შედეგების ინტეგრირებულად დადასტურება ერთი ტესტის/კომპლექსური პრაქტიკული დავლებების გამოყენებით.

შეფასების სისტემა მოიცავს ასევე შუალედურ შეფასებას, პროცესის მართვის მიზნით შემუშავებულია დამატებით „შუალედური შეფასების წესი (08.12.2022 წ. ბრძ. № 01-03/25). დოკუმენტი შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს #416 დადგენილების საფუძველზე. წესის თანახმად რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება შუალედური შეფასების ჯგუფი და შუალედური შეფასების კომისია, ხოლო ინფორმაცია შუალედური შეფასების ვადების და პირობების შესახებ პროფესიულ სტუდენტს მიეწოდება შეფასების დაგეგმვამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე შუალედური შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი (მუხლი4). დაწესებულების მიერ, არ ყოფილა წარმოდგენილი მიმდინარე პროგრამებზე შუალედური შეფასების ან მისი ორგანიზების მტკიცებულებები. სასწავლო გეგმების/ჩარიცხვის პერიოდების თანახმად, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შუალედური შეფასების პერიოდი, ჯერ აქტუალური არაა. სასწავლო გეგმებში არაა იდენტიფიცირებული შუალედური შეფასების სავარაუდო პერიოდი (იხ. 2.4.1.1 ინდიკატორის აღწერა). ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შუალედური შეფასების ორგანიზება, 416-ე დადგენილების (მუხლი 6, პ.3) და შიდა რეგულაციებით განსაზღვრული პროცედურებისა და ვადების დაცვით.

კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა (მუხლი 29) მოიცავს როგორც პროგრამის ფარგლებში კრედიტების სრულად დაგროვების/სწავლის შედეგების დადასტურება, ასვე საკვალიფიკაციო გამოცდის საფუძველზე, კვალიფიკაციის მინიჭების მოთხოვნების სრულად დადასტურებას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისიწინებული ყველა შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა (მუხლი 29. პ. 5). კვალიფიკაციის მინიჭების პროცესის მართვის მიზნით, დაწესებულებაში შექმნილია, მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისია (ბრძანება #01-03/13, 04.07.2022 წ.), რომლის შემადგენლობაშიც შედიან: დაწესებულების პრორექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, იურისტი, იურიდიული სამსახურის უფროსი. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია მოწვეული იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტები. კომისია განიხილავს პროფესიული სტუდენტის შეფასებებს, პროგრამის ფარგლებში მიღწევებს და იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მიღების შესახებ. კომისიის მუშაობა და გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ფორმდება ოქმის სახით.

დაწესებულების მიერ არაა შემუშავებული თავად საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების წესი, რაც უფრო ორგანიზებულსა და ეფექტურს გახდიდა პროცესს. ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია, საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილების მე-6 მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული წესის შემუშავებამდე (“საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ზოგად წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი“), შემუშავდეს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი, სადაც განისაზღვრება პროცესისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორიცაა: გამოცდის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირები, გამოცდების, მ.შ. განმეორებით გამოცდის პერიოდულობის, საფასურისა და დაშვების მიმართ მოთხოვნები; საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდების შინაარსი და შეფასების სისტემა, კომისიის ფორმირებისა და მუშაობის წესი და ა.შ.

პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან დაისვა კითხვები საკვალიფიკაციო გამოცდის განხორციელების შესახებ. მათ მიერ აღინიშნა, რომ საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდა დაწესებულებაში, "C" გარემოში, სადაც პრაქტიკული უნარების დემონსტრირება მოხდა იმიტირებულად მულაჟებზე. *ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული მიდგომით, შესაძლებელია მხოლოდ პროცედურის ტექნიკური შესრულების შეფასება, ხოლო ისეთი უნარების, მაგალითად როგორიცაა პროფესიული ეთიკა, ღირებულებები და სხვა, სრულფასოვნად დემონსტრირების/შეფასების შესაძლებლობას ვერ იძლევა. შესაბამისად სასურველია, საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდეს რეალურ სამუშაო და არა იმიტირებულ გარემოში.*

დაწესებულების შეფასების სისტემა ითვალისწინებს აპელაციის წესს (მუხლი 27). პროცედურის თანახმად უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიულ მასწავლებლებთან (პ.2). პუნქტით უზრუნველყოფილია ინტერესთა კონფლიქტი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი არაა ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციისა და შეფასების პროცესების ორგანიზებაში. აღნიშნულ პროცესებს უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირები.

ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები. შემოწმებით გამოიკვეთა, რომ კოგნიტური უნარების/თეორიული კომპონენტის შეფასებისთვის გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები მოიცავდა ერთგვაროვან ტესტურ დავალებებს (მაგ. წარმოდგენილი ინსტრუმენტი შედგებოდა მხოლოდ ღია კითხვებისგან). ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, თეორიული კომპონენტის შეფასებისას, ინსტრუმენტის ავტორებმა უზრუნველყონ მრავალფეროვანი ტესტური დავალებების შემუშავება, ასევე ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესში ჩართულმა პირებმა, აქცენტები გააკეთონ ამ მიმართულებითაც და არ შემოიფარგლონ, მხოლოდ შეფასების ინსტრუმენტის მოდულის/სწავლის შედეგთან შინაარსობრივი შესაბამისობის შეფასებით.

შერჩევითი პრინციპით შეფასდა ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის „მეწარმეობა" (სარეგისტრაციო ნომერი 0410005) ფარგლებში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები. მოდულის ფარგლებში მე-2 სწავლის შედეგისთვის „ბიზნესის ორგანიზება" შეფასების მიმართულებაა „პრაქტიკული დავალება". წარმოდგენილ ინსტრუმენტში მითითებულია:
„ შეფასების მიმართულება: პროდუქტი - წერილობითი მსჯელობა თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად;
შეფასების ინსტრუმენტი - პროფესიული სტუდენტის მიერ მოწოდებული წერითი დავალების ელექტრონული ფორმა, როგორც მტკიცებულება.
შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს განმეორებითი შეფასების შესახებ ჩანაწერს - „განმეორებით შეფასებაზე შესაფასებელ პირს შეუძლია გავიდეს შემდგომი მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის ეს მოდული", რაც საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო გეგმით არაა გათვალისწინებული, შესაბამისად ჩანაწერი არა რელევანტური. თუმცა განხილული შეფასების ინსტრუმენტებით იკვეთება, რომ აღნიშნული ჩანაწერი სტანდარტულია და მითითებულია შემუშავებულ ყველა ინსტრუმენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სქემა გულისხმობს: „პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდება თუ თითოეულ კრიტერიუმის შესაბამისად სწორად იქნება შესრულებული წერითი დავალება.

სწავლის შედეგი პრაქტიკულთან ერთად მოიცავს თეორიული შინაარსის შესრულების კრიტერიუმსაც. რომელთა შეფასება/დადასტურება შესაძლებელია პრაქტიკული დავალების/პროექტის ფარგლებშიც დემონსტრირებული ცოდნის ან/და პრაქტიკულ დავალების შესრულებასთან/შეფასებასთან ერთად დამატებითი კითხვების სახით. სწავლის შედეგი შეფასებულია წერილობითი ღია კითხვებით. შეფასების ინსტრუმენტის დავალებებით არ აღიქმება, რომ მოიცავს წერილობით პრაქტიკულ დავალებებს. შესაბამისად ინსტრუმენტი ვერ იქნება განმსაზღვრელი შეფასებისთვის განხილული, როგორც სწავლის შედეგთან/კრიტერიუმებთან ვალიდური. თუმცა მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ასრულებენ ასევე პროექტსაც, რაც დაადასტურეს როგორც პროფესიულმა სტუდენტებმა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გაიცა რეკომენდაცია, რომ ზემოაღნიშნული ინსტრუმენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განმავითარებელი შეფასებისთვის, ხოლო თეორიული კრიტერიუმების/შედეგების შესაბამისი კითხვები შესაძლებელია ჩაშენდეს პროექტის „შეფასების ინსტრუმენტში“, რაც გამორიცხავს ორჯერ ერთიდაიგივე სწავლის შედეგის/კრიტერიუმის დადასტურებას.

დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა ვიზიტის დროს აღნიშნეს, რომ, შემუშავებულია შეფასების ინსტრუმენტის ახალი სტრუქტურა და დაგეგმილია შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა-განახლების პროცესი.

შესწავლილი დოკუმენტაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე, 2.4.2.1. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია შეფასების მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური. ინდიკატორთან/შეფასების სისტემასთან დაკავშირებით გაიცა შემდეგი სახის განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. შემუშავდეს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი, სადაც განისაზღვრება პროცესის ეფექტურად და ორგანიზებულად წარმართისთვის მნიშვნელოვანი საკითხები
2. დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულის ფარგლებში არსებული სწავლის შედეგების ინტეგრირებულად დადასტურება ერთი ტესტის/კომპლექსური პრაქტიკული დავლებების გამოყენებით.
3. თეორიული კომპონენტის შეფასებისას, ინსტრუმენტის ავტორებმა უზრუნველყონ მრავალფეროვანი ტესტური დავალებების შემუშავება, ხოლო ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესში ჩართულმა პირებმა, აქცენტები გააკეთონ აღნიშნული მიმართულებითაც და არ შემოიფარგლონ, მხოლოდ შეფასების ინსტრუმენტის მოდულის/სწავლის შედეგთან შინაარსობრივი ან დადგენილი სტრუქტურის ტექნიკურად შესაბამისობის შეფასებით;
4. გადახედილი იქნეს შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებთან/ტერმინებთან;
5. პროგრამის/ მოდულის ფარგლებში შემუშავდეს ისეთი შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც უზრუნველყოფს გამოირიცხოს დადასტურებული სწავლის შედეგის/კრიტერიუმის კვლავ დადასტურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - დაწესებულების მიერ პროცესის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია შიდა რეგულაციები: „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ (25.03. 2021 წ. # 01-03/03-ა ბრძანება). ზოგად რეგუალციებს მოიცავს ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი 27[2]). წესი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის/შეთანხმების პროცესსაც, რომლის თანახმად, „პროფესიული მასწავლებელი შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს შესათანხმებლად წარუდგენს „უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასების ჩატარებამდე 2 კვირით ადრე, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 1 კვირის ვადაში განიხილავს წარდგენილ შეფასების ინსტრუმენტების ფორმას და პროფესიულ მასწავლებელს აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს წერილობითი ან/და ზეპირ სიტყვიერი ფორმით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ, ხოლო დარგის სხვა სპეციალისტი შინაარსობრივი მხარის შემოწმებას. ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით“.

შიდა ვერიფიკაციის სიტემა მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, ხოლო შეფასებისთვის შერჩევა ეფუძნება რისკების სისტემას (საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება, მოდულის ფარგლებში გადაბარების ფაქტის არსებობა, პრაქტიკული დავალების სიმრავლე, დამწყები მასწავლებელი და ა.შ.).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები:

— „ვერიფიკაციის პროცესის გეგმა“, რომელიც წარმოადგენს სსიპ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვერიფიკაციის და შეფასების პროცესში ჩართულ პირთა პასუხისმგებლობებისა და როლების განაწილების სქემას.
— „ვერიფიკაციის გეგმა“ - რომლის თანახმად 2025 წლის თებერვლის თვეში შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი (3 პირი: მასწავლებლები და დარგის სპეციალისტი), დოკუმენტით განსაზღვრულია შესასრულებელი აქტივობები („დიალოგი შეფასების ინსტრუმენტის შედგენა-გამოყენებაზე“, „საქმიანი შეხვედრა განმეორებითი შეფასება“, „გამოცდილების გაზიარება მიმართულება პრაქტიკული დავალება“ და ა.შ.), თუმცა პასუხისმგებელი პირები შესრულებაზე არიან არა ჯგუფის წევრები.
— „შეფასების ვალიდაცია“ - დოკუმენტში მოცემულია „ვალიდაციის შეფასებისთვის“ შექმნი ჯგუფის შემადგენლობა (აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობა განსხვავდება ვერიფიკაციის დოკუმენტში მითითებული ჯგუფისგან). ჯგუფის მიერ შესაფასებელი საკითხები შემოიფარგლება: „არის თუ არა შეფასების პროცესი დაგეგმილი მიზნის შესაბამისად?“, „ხდება თუ არა შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა მიზნიდან გამომდინარე?“, „აქვს თუ არა სტუდენტს შესაძლებლობა შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე წარმოაჩინოს კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა-უნარები?“, “ვალიდაციის შეფასების შედეგებზე რეაგირება იძლევა თუ არა გაუმჯობესების შესაძლებლობას?“
— „ვერიფიკაციის გეგმა რისკების მიხედვით“ - განსაზღვრულია საინფორმაციო შეხვედრის შინაარსი და პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტის შინაარსი ფაქტობრივად იდენტურია ზემოთ აღწერილი „ვერიფიკაციის გეგმის“. განსხვავდებიან შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ამოცანათა შესრულების პერიოდი განსაზღვრულია 2025 წლის თებერვალი-ოქტომბრის პერიოდით. დოკუმენტი არ მოიცავს დაწესებულების მიერ პროცედურით დადგენილი შერჩევისთვის იდენტიფიცირებულ რისკებს. დოკუმენტის სტრუქტურა არ შეესაბამება პროცესისთვის საჭირო რისკების გეგმას.
— „ვერიფიკაციის დასკვნა“ - დაწესებულების მიერ მოდულის ფარგლებში თითოეული სწავლის შედეგის ინსტრუმენტისთვის დგება დასკვნა და ფასდება შეფასების სისტემის აღიარებული პრინციპების დაცვა: ვალიდურობა (შეფასების ინსტრუმენტი), სანდოობა (მტკიცებულება), გამჭვირვალობა, ეფექტურობა, სამართლიანობა (შეფასების პროცესი). ვიზიტის დროს განხილული ვერიფიკაციის დოკუმენტაცია/დასკვნები დაწესებულების წესის 2.5.4 პუნქტის თანახმად „უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი". დოკუმენტაცია არ მოიცავს ინფორმაციას ვერიფიკაციის დასკვნებში ასახული რეკომენდაციების დანერგვის/გათვალისწინების ან/და მათი შესრულების მონიტორინგის შესახებ. ასევე სასურველია დაწესებულებამ გადახედოს ვერიფიკაციის წესს, შეიმუშაოს პროცესის დოკუმენტური უზრუნველყოფისთვის ისეთი ფორმები, რომლებიც მოიცავენ საკითხთან დაკავშირებულ სრულყოფილ ინფორმაციას/მტკიცებულებებს. პროცესის სრულყოფილად დოკუმენტირების მიზნით, სასურველია შემუშავდეს ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტების წარმოების/მართვის ინსტრუქციები. ამასთან დოკუმენტებში სამუშაო ჯგუფების, შესრულების ან/და გეგმების შესახებ ციტირებისას მითითებული იქნეს დამტკიცების აქტის რეკვიზიტები. უზრუნველყოფილი იქნეს საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში ვერიფიკაციის გეგმის შემუშავების/ფორმის ტიპური ნიმუშის შემუშავება (შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის საფუძვლის/რისკის/რისკების, მოდულის განმახორციელებელი/შეფასების ინსტრუმენტის ავტორის, ვერიფიკატორის, შესრულების ვადების, მ.შ. დასკვნის წარმოდგენის ვადის მითითებით), ასევე დაცული იქნეს შიდა რეგულაციის მოთხოვნა და გამოცემული იქნეს ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (აღნიშნული შინაარსის დოკუმენტი ექსპერტებთან წარმოდგენილი არ ყოფილა). დაწესებულებამ უზრუნველყოს ვერიფიკაციის პროცესში შექმნილი დოკუმენტების დამტკიცების რეკვიზიტების განთავსება/დამტკიცება და შემსრულებლების/პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერა.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, 2.4.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>სასურველია დაწესებულებამ გადახედოს არსებულ ვერიფიკაციის წესს. დახვეწოს/შეიმუშაოს პროცესის სრულყოფილად დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტების წარმოების/მართვის ინსტრუქციები.</u>

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - დაწესებულებაში შექმნილია საქმეთა ნომენკლატურა, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულებაში წარმოებული საქმეების/დოკუმენტების შენახვის ვადები. საქმეთა ნომენკლატურა შეთანხმებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონულ არქივთან (შეთანხმების და დამტკიცების რეკვიზიტები: ოქმი #2 25.04.2025; 15.05.2025). სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, ასევე განსაზღვრულია ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისი დებულებები, კერძოდ: რეგულაციის 25[1] მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოს, ხოლო მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები განსაზღვრავენ მტკიცებულებებისა და შეფასების უწყისების შენახვის ვადებს, რომელთა თანახმად, შეფასების მტკიცებულებები ინახება, კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად ინახება 25 წლის ვადით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული ვადა, შესაბამისია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის № 72 ბრძანებით „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)" დამტკიცების შესახებ" დადგენილი მოთხოვნების. თუმცა ამავე რეგულაციის 26-ე მუხლის მე- 12 პუნქტით განსაზღვრულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული განმარტებების და რეკომენდაციების შესაბამისი ვადა „სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ“. დაწესებულებამ სასურველია მოახდინოს პროცედურას და უზრუნველყოს საკითხის ურთიერთგამომრიცხავი დებულებების რედაქტირება.

შიდა რეგულაციის თანახმად, მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 26). ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტები ინახება დაწესებულების არქივში, ხოლო ვადაგასული დოკუმენტები ნადგურდება კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

ინდიკატორის 2.4.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>სასურველია გადაიხედოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და უზრუნველყოფილი იქნეს საკითხის ურთიერთგამომრიცხავი დებულებების რედაქტირება.</u>

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის უზრუნველყოფის მექანიზმები. პროფესიული განათლების მასწავლებელი, შეფასების შედეგებს აანალიზებს რის საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება ინდივიდუალურად, რასაც ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესს მუდმივად ახლავს თან. პროფესიული სტუდენტების მიღწევების ანალიზისა და შეფასების მიზნით, დაწესებულებაში ასევე დანერგილია, თითოეული მოდულის ფარგლებში შუალედური შეფასება. მასწავლებლების მიერ ხდება შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების გაცემა კომპეტენციების განვითარების მიზნით. უკუკავშირის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს. კონსულტაციების ჩატარებას ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. **შესაბამისად ინდიკატორის 2.4.2.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (27.01.2025 წ. №02-05-04/01ა ბრძანება);
2. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი (08.12.2022 წ. № 01-03/25 ბრძანება);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების რექტორის ბრძანება #01-03/13 „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების“ სტუდენტებისთვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ (04.07.2022 წ.);
4. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ (25.03. 2021 წ. 01-03/03-ა ბრძანება)
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ვერიფიკაციის პროცესის დამდასტურებელი დოკუმენტაცია (ვერიფიკაციის დასკვნები, გეგმები);
6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საქმეთა ნომენკლატურა;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები;
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	
პროფესიული განათლების დონე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	
პროგრამის განხორციელების ენა	
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 12 ივნისის ბრძანება #12-02/02 „ (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში“ ცვლილების შეტანის შესახებ

დანართი 3. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისობის გეგმა

დანართი 4. (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინვენტარიზაციის აქტი (ბრძ. #2-05-04/01, 25.01.2025 წ.)

23.07.2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ქვედანია